

ანგარიში No: AUS0000083

## საქართველო

“საქართველოში მოსახლე ტყეზე  
დამოკიდებულ თემებში არსებული  
კავშირები ტყეებს, საარსებო საშუალებებსა და  
სიღარიბეს შორის.”

მონაცემები და რეკომენდაციები 2016 წლის  
შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევიდან

2018 წლის 12 მარტი

არაოფიციალური თარგმანი

ENV



© 2018 The World Bank 2018  
1818 H Street NW, Washington DC 20433  
Telephone: 202-473-1000; Internet: [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

ზოგიერთი უფლება დაცულია

წინამდებარე ანგარიში მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ მომზადდა. მასში წარმოდგენილი შედეგები, ინტერპრეტაციები და დასკვნები არ არის აუცილებელი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ან მათ მიერ წარმოდგენილი მთავრობების შეხედულებებს გამოხატავდეს. მსოფლიო ბანკი არ იძლევა ამ ანგარიშში მოცემული მონაცემების სიზუსტის გარანტიას. რუკაზე აღნიშნული საზღვრები, ფერები, დასახელებები და სხვა სახის ინფორმაცია არ გამოხატავს ნებისმიერი ტერიტორიის იურიდიული სტატუსის ან საზღვრების დადასტურების ან მოწონების შესახებ მსოფლიო ბანკის მოსაზრებას.

### **უფლებები და უფლებამოსილებები**

ამ ანგარიშში წარმოდგენილი მასალა ექვემდებარება საავტორო უფლებებს. აქედან გამომდინარე მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს მასში მოცემული ინფორმაციის გავრცელებას, ანგარიში შეიძლება გამრავლებული იქნას მთლიანად ან ნაწილობრივ არაკომერციული მიზნებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ სრულად იქნება მითითებული წინამდებარე ნაშრომი.

წყაროს მითითება - გამოიყენეთ შემდეგი ციტირება: "World Bank. {YEAR OF PUBLICATION}. {TITLE}. © World Bank."

უფლებებისა და ლიცენზიების, მათ შორის დამატებითი უფლებების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ მსოფლიო ბანკის პუბლიკაციებს, მსოფლიო ბანკის ჯგუფს, 1818 H Street NW, Washington, DC 20433, USA; fax: 202-522-2625; e-mail: [pubrights@worldbank.org](mailto:pubrights@worldbank.org).

ქართული ვერსია წარმოადგენს 2018 წელს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ანგარიშის არაოფიციალურ თარგმანს ქართულ ენაზე

საქართველოში მოსახლე ტყეზე დამოკიდებულ თემებში არსებული  
კარვშირები ტყეებს, საარსებო საშუალებებსა და სიღარიბეს შორის

*მონაცემები და რეკომენდაციები 2016 წლის შინამეურნეობათა ინტეგრირებული  
კვლევიდან*

*2018 წლის 20 ივნისი*  
მსოფლიო ბანკი

## სარჩევი

1. ტყეები და განვითარების გამოწვევები საქართველოში	19
2. საქართველოს ტყეები	29
3. საქართველოს სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ტყეებით სარგებლობის კვლევა	34
3.1 კვლევის დიზაინი და განხორციელება	34
3.2. სოციალურ-დემოგრაფიული ინდიკატორები, დასაქმების პირობები და შემოსავლის წყაროები	37
3.3 ეკონომიკური მრავალფეროვნება	43
4. სიღარიბე, ტყეზე დამოკიდებულება და მათი კავშირები	45
4.1. სიღარიბის შემთხვევების სიხშირე და სივრცითი ცვალებადობა	46
4.2. ტყესთან ახლომდებარე სოფლების შინამეურნეობების სიღარიბის მიმოხილვა	50
4.3. კავშირები ტყეზე დამოკიდებულებას, საარსებო საშუალებებსა და სიღარიბეს შორის	53
5. ტყეზე ხელმისაწვდომობა, ტყის გამოყენება და საშეშე მერქანი	59
6. სტატისტიკური ანალიზი – შემოსავლისა და განაწილების გავლენის ცვლილებები	66
6.1. შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი	66
6.2. არსებული სოციალური დახმარების პროგრამების მიზნობრიობის შეფასება	70
6.3. პოლიტიკის ცვლილების განაწილებითი გავლენის ანალიზი: სიმულაცია	73
7. დასკვნები და რეკომენდაციები	74
7.1. კვლევის დასკვნები	75
7.2. ტრანსფორმაციული ცვლილებების ხედვა: კეთილდღეობისკენ მიმავალი გზები	80
ცხრილი 4.1 სიღარიბის გავრცელება რეგიონების მიხედვით (შედარებითი სიღარიბის ზღვარი, %) 47	
ცხრილი 4.2 ღარიბი და საშუალო შეძლების შინამეურნეობების შედარება: სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები და აქტივები	51
ცხრილი 4.3 შემოსავლის წყაროების მრავალფეროვნება	55
ცხრილი 4.4 იმ შინამეურნეობების წილი, რომლებზეც ნეგატიურმა მოვლენებმა მოახდინა ზემოქმედება	56
ცხრილი 4.5 სამოვრების გამოყენება და ხელმისაწვდომობა	58
ცხრილი 5.1 საშეშე მერქნის და ენერჯის სხვა წყაროების გამოყენება საწვავად სიღარიბის სტატუსის მიხედვით	60
ცხრილი 6.1 შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი: შემოსავალი წყაროს მიხედვით	67
ცხრილი 6.2 სოციალური დახმარების პროგრამების განაწილებითი ანალიზი: შემწეობა, სოციალური დაზღვევა და შედავათები საწვავ მერქანზე	72
ცხრილი 6.3 ტყისგან მიღებული შემოსავლის ზრდის განაწილებითი გავლენის ანალიზი	74
ცხრილი 7.1 ტყის ეროვნული კონცეფცია და პ.უ.ი.ბ.ე. ჩარჩო	87
სურათი 4.2 შემოსავლების წილების შედარება	54

სურათი 7.1 დასაქმება და წარმოება შვედეთის სატყეო მეურნეობაში 1975–2013 (1975=100) 89

ჩანართი 1	საშეშე მერქნის სოციალური პროგრამა	62
ჩანართი 4	პ.უ.ი.ბ.ე - გზა კეთილდღეობისკენ	84
ჩანართი 5	პოლიტიკიდან გამომდინარე შეზღუდვები ტყის სექტორში კერძო ინვესტირებისთვის	94

#### დანართები

- მეთოდოლოგია
- შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი

## აკრონიმები

CEA	ქვეყნის გარემოსდაცვითი შეფასება
CENN	კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი
ENPI-FLEG	ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი - სატყეო სექტორში კანონდარსრულება და მართვა (პროგრამა)
EU	ევროკავშირი
FSC	ტყის სამეურვეო საბჭო
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
HBS	შინამეურნეობათა ბიუჯეტის კვლევა
HF-HH	ზედა სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და მაღალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირის სტრატა
HF-LH	ზედა სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და დაბალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირის სტრატა
HH or hh	შინამეურნეობა(ები)
his	შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევა
IUCN	ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი
LF-HH	ქვედა სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და მაღალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირის სტრატა
LF-LH	ქვედა სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და დაბალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირის სტრატა
MENRP	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (ყოფილი)
NFA	ეროვნული სატყეო სააგენტო
NFI	ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია
NTFP	ტყის გვერდითი პროდუქცია
P.R.I.M.E.	პროდუქტიულობა, უფლებები, ინვესტიციები, ბაზრები, ეკოსისტემა
PEFC	ტყის სერტიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა
PROFOR	ტყეების პროგრამა
SWIFT	კეთილდღეობის კვლევა ხშირი გაკონტროლების მეშვეობით
TSA	მიზნობრივი სოციალური დახმარება

## მადლობა

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება როგორც მსოფლიო ბანკში, ასევე მის გარეთ სატყეო სექტორსა და სიღარიბის დაძლევის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტების ნაშრომებს. სამუშაო განხორციელდა მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონული დირექტორის მერსი ტემბონისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გლობალური პრაქტიკის ადმინისტრაციული მენეჯერების, ვალერი ჰიკეისა და რუქსანდრა ფლოროიუს ზედამხედველობით. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ტუუკა კასტრენი (სატყეო საქმის უფროსი სპეციალისტი).

პროექტის გუნდს ფასდაუდებელი კონსულტაცია და მხარდაჭერა გაუწიეს მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისის წარმომადგენლებმა სარა მაიქლმა (პროგრამის ხელმძღვანელი) და დარეჯან კაპანაძემ (გარემოს დაცვის მთავარი სპეციალისტი). გუნდს სურს მადლობა გადაუხადოს რეცენზენტებს: ხავიერ ე. ბაეზს, ცეზარ კანჩოს, დიჯ ჩანდრასეჰარანს, რიიმ ჰაჯარს, კლაუს სანდერსსა და სხვა კოლეგებს კომენტარებისა და კვლევაში შეტანილი წვლილისათვის.

შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს სატყეო ადმინისტრაციის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობის გარეშე. გუნდი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს როგორც კარლო ამირგულაშვილის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) და ნათია იორდანიშვილის (ეროვნული სატყეო სააგენტო), ასევე სამინისტროს სხვა თანამშრომლების მიმართ.

საველე სამუშაოები ჩატარდა UDA Consulting-ის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ჰაკან დემირბიუკენის ხელმძღვანელობით. ლიმინ ვანგმა მონაწილეობა მიიღო მონაცემთა ანალიზის და ანგარიშის მომზადების პროცესში.

პროექტის დაფინანსება უზრუნველყო ტყის პროგრამამ (PROFOR), რომელსაც ვერნერ კორნექსლი ხელმძღვანელობს. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს მრავალდონორიან პარტნიორობას, რომელსაც მართავს მსოფლიო ბანკის სამდივნო.

## მოკლე მიმოხილვა

### ა. შესავალი

i. საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანაა და მონაცემების მიხედვით მისი მოსახლეობა 4 მილიონზე ნაკლებია. 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 25%-ით შემცირდა. საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები ძირითადად სიღარიბის დაძლევისას და ეკონომიკურ განვითარებასთან არის დაკავშირებული. ბოლო ათი წლის განმავლობაში სიღარიბის დაძლევის მუდმივი ძალისხმევა იმას მოწმობს, რომ ღარიბი მოსახლეობა მნიშვნელოვან სარგებელს იღებს მთავრობის სოციალური პოლიტიკის განხორციელებისა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის შედეგად. თუმცა, ამ განვითარებამ გარკვეულწილად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა გარემოზე და ასეთმა პროგრესმა შედეგად ვერ მოიტანა ვერც გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მართვა და ვერც ბუნებრივი რესურსების უკეთესი მენეჯმენტი. ტყის დეგრადაცია, ჰაერის დაბინძურება და სხვა, ხშირად „უხილავი“ ეკოლოგიური ხარჯი ეროვნულ ეკონომიკაში გადინებად რჩება, რამაც 2012 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 7.4% შეადგინა.

ii. საქართველოში ტყით დაფარულ მიწებს (საკუთრივ ტყეს) 2.82 მილიონი ჰექტარი, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40%-ი უჭირავს. ტყეების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია; ამჟამად ტყეების უმეტეს ნაწილში ეფექტიანი და სისტემური მართვა არ ხორციელდება. არსებული ტყის საფარის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ არსებობს, რადგან 1990 წლების შემდეგ ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია (NFI) არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, ტყისა და მიწის დეგრადაცია სერიოზულ პრობლემად ითვლება. საქართველოს ტყეები მეტად მრავალფეროვანია; ტყეებში გავრცელებულია 400-ზე მეტი მერქნიანი სახეობა. ზოგადად ტყეები განლაგებულია ციცაბო და მიუწვდომელ რელიეფზე. მთლიან შიდა პროდუქტში სატყეო სექტორის წვლილი მცირეა და დაახლოებით 0.4%-ს შეადგენს, თუმცა როგორც ჩანს, მისი რეალური ღირებულება გაცილებით უფრო მაღალია არასაბაზრო შეშის წარმოების, არარეგისტრირებული ხე-ტყის მოპოვებისა და არაფულადი გარემოსდაცვითი მომსახურებების ხარჯზე.



iii. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი წარმატებით დაწერა მთელი რიგი ინიციატივები სატყეო სექტორის პოლიტიკაში. ეს ინიციატივები ამავდროულად მოიცავენ კომპლექსურ მიდგომას რათა გადაიჭრას ძირითადი პრობლემები დაკავშირებული როგორც სოფლის განვითარებასთან, ასევე მიწათსარგებლობასთან და ტყის რესურსების მდგრად მართვასთან. 2013 წელს შემუშავდა ეროვნული სატყეო კონცეფცია. ამ კონცეფციის მიზანს წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების გაუმჯობესებას. ახალი პოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს ტყის მართვაში ადგილობრივი თემების როლზე და მიზნად ისახავს ელექტროენერჯის წარმოების, ტურიზმის და სასოფლო-სამეურნეო/მეცხოველეობის პროდუქციის კოორდინირების გაუმჯობესებას, ასევე ბაზრის ხელმისაწვდომობას და კერძო სექტორის ჩართულობას ტყის პროდუქციის წარმოებასა და კონსერვაციაში.

#### **ბ. საქართველოს სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ტყით სარგებლობის საკითხების მიმოხილვა**

iv. სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ტყეების, როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტის გამოყენება საჭიროებს როგორც ტყით მოსარგებლე სოფლის მოსახლეობისა და თემების, ასევე ტყეების მნიშვნელობის შესახებ საფუძვლიან ცოდნასა და ინფორმაციას. 2016 წელს მსოფლიო ბანკმა საქართველოში არსებული შინამეურნეობების ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარა, რომელიც ორიენტირებული იყო შინამეურნეობების მიერ ტყის მნიშვნელობის უკეთესად გააზრებაზე. ეს იყო ტყით სარგებლობის, ტყიდან შემოსავლის მიღებისა და ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ტყის როლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე ფოკუსირებული პირველი კვლევა ქვეყანაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის ტყით დაფარულ ტერიტორიებთან და სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფების რისკის მომცველ ზონებთან ახლომდებარე სოფლების წარმომადგენლები. ახალი მონაცემების წყარო ავსებს მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობისა და მთიანი რაიონების თემების შესახებ ინფორმაციის ხარვეზს.

ეროვნულ დონეზე ჩატარებული შინამეურნეობების სისტემატური კვლევის სიაში ეს თემები, როგორც განსხვავებული სტრატა, ხშირად გამოტოვებული იყო.

v. შინამეურნეობების მონაწილეობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით შემოსავლის ძირითადი წყარო ტყის პროდუქტების შეგროვებაა; შერჩეული შინამეურნეობების დაახლოებით 45% შემოსავალს იღებს ბაზარზე ტყის პროდუქტების გაყიდვით ან მინიმალური არსებობის საშუალებების მოხმარებით. შემოსავლის სხვა მნიშვნელოვანი წყაროებია პენსია (43%), ხელფასები (26%), და სოციალური დახმარების პროგრამები (19%). შინაური ცხოველების პროდუქტები (12%), მიწათმოქმედება (11%), და თვითდასაქმება (12%) შემოსავლის ნაკლებად გავრცელებული წყაროებია.

vi. საქართველო ბუნებრივი კატასტროფების მხრივ დაუცველია. ზემოქმედების/მოწყვლადობის დონე რეგიონების მიხედვით განსხვავებულია; ბუნებრივი კატასტროფების რისკები გაცილებით მაღალია მთიან და ტყით დაფარულ რეგიონებში. ტყის არამდგრადი მართვისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გახშირებული ექსტრემალური მოვლენების გამო მოსახლეობის მოწყვლადობის დონე უარესდება. დაბალი საფრთხის შემცველ სოფლებში შინაური ცხოველების პროდუქციიდან და მიწათმოქმედებიდან მიღებული შემოსავლები თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ბუნებრივი კატასტროფების მაღალი სიხშირის მქონე სოფლებში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტიქიური უბედურების რისკი მნიშვნელოვან კავშირშია შემოსავლის მიღებასთან, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალთან, რომელიც საკმაოდ დაუცველია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ. გარდა ზემოთ აღნიშნული კავშირისა, შესაძლოა სხვა მიზეზებიც არსებობდეს. მაგალითად, დაბალი საფრთხის მომცველი რაიონების მოსახლეობისთვის ბაზარი უფრო მეტად ხელმისაწვდომია.

## **გ. ეკონომიკური მრავალფეროვნება სოფლებში**

vii. შინამეურნეობების შესაძლებლობების გაფართოების უნარი, მოიძიონ უკეთესი საარსებო საშუალებები, გარდა ტყესთან დაკავშირებული საქმიანობისა და გააძლიერონ ადაპტაციის უნარი იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის ერთი-ერთი წყარო შეუწყდებათ, ეკონომიკური დივერსიფიცირების ინდიკატორებით იზომება. ტყესთან ახლოს მდებარე სოფლის შინამეურნეობები ხასიათდებიან შემოსავლის შეზღუდული დივერსიფიცირებით და, შესაბამისად, შინამეურნეობების 59% და 31% ჩართულია შემოსავლის მოპოვების ერთ ან ორ საქმიანობაში. მოსახლეობის უმეტესი ნაწილის - ანუ ერთი საქმიანობით დაკავებული შინამეურნეობების (20%), საარსებო საშუალებები მხოლოდ ტყესთან არის დაკავშირებული. ერთი საქმიანობით დაკავებული შინამეურნეობებისთვის პენსიები (17%) და ხელფასები (9%) შემოსავლის მეორე და მესამე წყაროს წარმოადგენენ. სამი შინამეურნეობიდან ერთი შემოსავალს ორი წყაროდან იღებდა, თუმცა მათი უმცირესი ნაწილი - 2%-ზე ნაკლები, ტყიდან მიღებულ შემოსავლის გარდა შემოსავალს სხვა წყაროებიდანაც იმატებდა. შინამეურნეობების უმეტესობას, რომლებიც მათი პირველადი შემოსავლის წყაროზე - ტყეზე არიან დამოკიდებულნი, არ აქვთ შესაძლებლობა ტყიდან მიღებული დაბალი შემოსავალი გაზარდონ პენსიების ან სოციალური დახმარების საშუალებით.


## **დ. სიღარიბე, ტყეზე დამოკიდებულება დ მათი კავშირები**

viii. ეროვნულ სიღარიბის მაჩვენებელზე დაყრდნობით, რაც განისაზღვრება მოზრდილ ადამიანზე თვეში 130 ლარით, სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 46% შეადგენს, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა კვლევებში. რეგიონული სიღარიბის ფაქტები მოწმობენ, რომ ტყესთან ახლომდებარე სოფლებში სიღარიბის სივრცითი ცვალებადობა საკმაოდ დიდია. მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ სოფლებში ჩატარებულ რეგულარულ კვლევებში, რომლებიც მიზნად ისახავენ სიღარიბის მონიტორინგსა და სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული სოციალური დახმარების პროგრამებისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფას, ტყესთან მდებარე თემებში მცხოვრები ღარიბი შინამეურნეობების უმრავლესობა სავარაუდოდ წარმოდგენილი არ არის. გადაწყვეტილების მიმღებმა უფლებამოსილმა პირებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ არა მხოლოდ შიდა რეგიონულ უთანასწორობაზე, არამედ სოფლად არსებული სიღარიბის კერებზეც.

ix. იმის გაგება, თუ როგორ განსხვავდება ღარიბი და საშუალო შეძლების შინამეურნეობები სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და მათი ტყეზე დამოკიდებულების მიხედვით, უზრუნველყოფს სიღარიბესთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორების გააზრებას. ღარიბ შინამეურნეობებს საშუალო შეძლების შინამეურნეობებთან შედარებით განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები აქვთ. ღარიბი შინამეურნეობები ზომით უფრო დიდია და მათი ტყეზე დამოკიდებულების ხარისხიც მაღალია; საშუალოდ, შინამეურნეობის თავკაცი უფრო ახალგაზრდაა, განათლების დაბალი დონით, და სავარაუდოდ, უფრო მეტად უხელფასო და არაფორმალური საქმიანობითაა დაკავებული, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობებში იგივე ფუნქციის მქონე პირები. გენდერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავება არ არსებობს შინამეურნეობების თავკაცების სტატუსებს შორის. ღარიბ შინამეურნეობებს ნაკლები ქონება აქვთ, უფრო დაბალი ღირებულების შინაური ცხოველები (როგორცაა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) და ნაკლებად პროდუქტიული საქონელი ჰყავთ (მაგ. ცხვარი და შინაური ფრინველები).

x. ღარიბი შინამეურნეობები უფრო მეტად არიან დამოკიდებული ტყეზე; ტყიდან მიღებული შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის 30%-ს შეადგენს. მათგან განსხვავებით, საშუალო შეძლების შინამეურნეობები უფრო მეტად დამოკიდებულნი არიან ისეთ მაღალ შემოსავლიან წყაროებზე, როგორცაა ხელფასი, პენსიები, ხოლო ტყიდან მიღებული დამატებითი შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. ღარიბი შინამეურნეობები უფრო მეტად არიან დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო/მეცხოველეობის პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალზე, რაც მათი მთლიანი შემოსავლის 15%-ს შეადგენს, მაშინ როცა საშუალო შეძლების შინამეურნეობების იგივე წყაროებიდან მიღებულ შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის 5%-ს შეადგენს. საშუალო შეძლების შინამეურნეობების შემოსავალი უფრო სტაბილურია, რადგან მათი შემოსავლების 80% პენსიები დ ხელფასებია. ღარიბი შინამეურნეობების სტაბილური წყაროებიდან მიღებული შემოსავალი კი მხოლოდ 20%-ს უდრის. მათ არ გააჩნიათ საკმარისი შესაძლებლობები რათა მოახდინონ შემოსავლის მომტანი საქმიანობების დივერსიფიცირება. სამი დომინანტური წყაროდან, როგორცაა ტყესთან დაკავშირებული საქმიანობა, სოციალური დახმარება და პენსია - ღარიბი შინამეურნეობების უმეტესობა (76%) შემოსავალს ერთი წყაროდან იღებს. მათგან განსხვავებით, საშუალო შეძლების შინამეურნეობების დაახლოებით 45% შემოსავალს იღებს ერთი, მაგრამ მაღალშემოსავლიანი წყაროდან, როგორცაა ხელფასი და პენსია.

**შემოსავლების წილების შედარება**



xi. მიღებული შედეგებიდან ჩანს,<sup>1</sup> რომ საშუალო შეძლების შინამეურნეობების უფრო მაღალ პროცენტზე მოახდინა უარყოფითი ზემოქმედება ისეთმა მოვლენებმა, როგორცაა გვალვა/წყალდიდობა, მოსავლის მავნე დაავადებები და წყლის შეზღუდული მიწოდება, ვიდრე ღარიბ შინამეურნეობებზე. მეორეს მხრივ, საშუალო შეძლების შინამეურნეობებთან შედარებით, ღარიბი შინამეურნეობებისთვის პრობლემას უფრო საკვები პროდუქტების ფასი წარმოადგენს. ეს ფაქტი იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ღარიბ შინამეურნეობებს ნაკლები ქონება აქვთ და, შესაბამისად, ნაკლები ზიანი ადგებათ. ზოგადად, ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება შედარებით მცირე იყო და აღნიშნულმა მოვლენებმა ორივე ჯგუფზე ანალოგიური ზემოქმედება მოახდინა.

**ე. ტყეზე ხელმისაწვდომობა, ტყით სარგებლობა და საშეშე მასალა**

<sup>1</sup> კვლევის მიზანი იყო აღნიშნა განიცადეს თუ არა შინამეურნეობებმა უარყოფითი ზემოქმედება. ეს კვლევა არ ითვალისწინებდა აღნიშნული ზემოქმედების სიმძიმისა და სიღრმის შეფასებას.

xii. ღარიბი შინამეურნეობები შემაზე, როგორც საწვავ მასალაზე უფრო მეტად არიან დამოკიდებული, ვიდრე სხვა შინამეურნეობები. ამასთან, ღარიბი შინამეურნეობებისთვის საშეშე მასალა რთულად ხელმისაწვდომია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვებზე მეტად არიან ტყეზე დამოკიდებული, ტყიდან შორს ცხოვრობენ. ღარიბი შინამეურნეობების დაახლოებით ნახევარი შეშას სახელმწიფო მიწაზე აგროვებს, მაშინ როცა საშუალო შეძლების შინამეურნეობების მხოლოდ 30% ეწევა ამ საქმიანობას. ღარიბ შინამეურნეობებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ საშეშე მასალის შესყიდვა. ბაზარზე შეშას უმეტესად ღარიბი შინამეურნეობების დაახლოებით 49% ყიდულობს, ხოლო საშუალო შეძლების შინამეურნეობების - 45%. თუმცა ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) ვაუჩერების პროგრამის ხელმისაწვდომობის შეფასებისას საპირისპირო სურათი იქმნება. ამ პროგრამაზე ხელი მიუწვდება ღარიბი შინამეურნეობების მხოლოდ 41%-ს, ხოლო საშუალო შეძლების შინამეურნეობების 44%-ს.

### ვ. შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი

xiii. მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობის თავკაცის ან მეუღლის განათლების ხარისხი არ ახდენს გავლენას შემოსავალზე, კვლევის შედეგების მიხედვით შემოსავლების წყაროების უმეტესობაში იკვეთება გენდერული მიკერძოება მამაკაცის სასარგებლოდ. მაშინ როდესაც ყველა სხვა ფაქტორი იდენტურია, შემოსავალი იმ შინამეურნეობისა, რომელსაც მამაკაცი უძღვება, საშუალოდ 50%-ით მეტია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ფუნქციას შინამეურნეობაში ქალი ასრულებს. როდესაც ოჯახის თავკაცი მამაკაცია, მისი პენსია 30%-ით უფრო მაღალია და თვითდასაქმებით მიღებული შემოსავალი 85%-ით მეტია, ვიდრე ქალის შემთხვევაში.

xiv. ემპირიულად, შემოსავლის დონესა და წყაროს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა საკმაოდ პრობლემატურია იმის გამო, რომ შემოსავლის დონე და მისი მახასიათებლები ან წყაროები ხშირად საკმაოდ მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული. ეს ფაქტი მოდელის იდენტიფიცირების პრობლემას ქმნის, თუმცა, ზოგადი დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია. პირველ რიგში, შედეგებიდან ჩანს, რომ ინტერნეტზე წვდომა წარმოადგენს ტყიდან მიღებული შემოსავლის ერთადერთ მნიშვნელოვან სტატისტიკურ ფაქტორს. მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორები ერთი და იგივეა, შინამეურნეობებს, რომლებსაც გააჩნიათ კომპიუტერი აქვთ და ხელი მიუწვდებათ ინტერნეტზე, 35%-ით მაღალი შემოსავალი აქვთ. შემდგომი კვლევებია საჭირო იმისათვის, რომ გამოვლინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ერთის მხრივ, კომპიუტერსა და ინტერნეტით სარგებლობასა და მეორეს მხრივ, ტყიდან მიღებულ შემოსავალს შორის, თუ რასაკვირველია, მსგავსი რამ არსებობს. შინამეურნეობების შემოსავლისთვის სოფლის ზომასაც მნიშვნელობა აქვს. საშუალო სიდიდის სოფელში მცხოვრებ შინამეურნეობებს ტყიდან შემოსავლის მიღების მეტი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე პატარა სოფელში მცხოვრებ მათ მსგავს ოჯახებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი გვიჩვენებს, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოლა დაკავშირებულია როგორც მეცხოველეობიდან, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალთან. ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და მეცხოველეობა ურთიერთშემავსებელი ფაქტორებია, რაც სხვა კვლევებშიც ვლინდება.

xv. რაც შეეხება მთლიან შემოსავალს, რეგრესიის ანალიზიდან ჩანს, რომ ხუთი ცვლადი ასპექტი მნიშვნელოვან კავშირშია შინამეურნეობების მთლიან შემოსავალთან. ეს ცვლადებია კომპიუტერზე/ინტერნეტზე წვდომა, გაზის/ელექტრო ღუმელები, ავტომანქანის ფლობა, სამოვრებზე ხელმისაწვდომობა და საკუთრებას შინაურ პირუტყვზე.

## **ზ. შემოსავლების განაწილების ზემოქმედების ანალიზი**

xvi. იმის გამო, რომ საკმაოდ რთულია სატყეო სექტორის სტრატეგიების, რეფორმებისა და სახელმწიფო საინვესტიციო წინადადებების ზემოქმედების სრულფასოვანი შეფასება, სტრატეგიული მოდელის სავარჯიშოს შეუძლია აჩვენოს სხვადასხვა პროგრამული წინადადებების განაწილების ზემოქმედება. ერთი რომელიმე სტრატეგიის მოდელირების შემთხვევაში ყურადღება ექცევა შემოსავლების განაწილების ზემოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ტყის სექტორში გატარებულმა რეფორმებმა უზრუნველყვეს ტყიდან მიღებული შემოსავლების 20%-ით გაუმჯობესება, რამაც თავის მხრივ განაპირობა სატყეო აქტივობებში ჩართული შინამეურნეობების ტყიდან მიღებული შემოსავლის გაზრდა. ამ ანალიზიდან ჩანს, რომ ეს ზემოქმედება შესაძლოა პროგრესირებადი იყოს ღარიბი შინამეურნეობებისთვის, რომელთა სარგებელიც არაპროპორციულია. ორი უღარიბესი კვინტილი<sup>2</sup> უფრო მეტ სარგებელს მიიღებს მათი შემოსავლის 65% და 33% გაზრდით, შესაბამისად, ორ უმაღლეს კვინტილთან შედარებით, რომელთა შემოსავლის ზრდა 3%-ს შეადგენს. ეს შედეგი არ არის გასაკვირი, რადგან კვლევის მიხედვით ღარიბი შინამეურნეობები კონცენტრირებული არიან დაბალ შემოსავლიან სატყეო აქტივობებზე, მაშინ როცა საშუალო შეძლების შინამეურნეობები დამოკიდებული არიან ხელფასებსა და პენსიებზე.

## **თ. დასკვნები და რეკომენდაციები**

xvii. სიღარიბის დაძლევისა და ტყის რესურსებს შორის კავშირის შესახებ კვლევის შედეგების და დიდი რაოდენობით ფაქტების მიხედვით ერთ დასკვნამდე მივდივართ. სხვა ცვლილებებისგან იზოლირებულად მხოლოდ ტყის რესურსების მოპოვების იმედად ყოფნა არ არის საკმარისი ტყეზე დამოკიდებული შინამეურნეობებისთვის სიღარიბიდან თავის დასაღწევად. თუმცა, ტყიდან მიღებულმა შემოსავალმა შესაძლოა მნიშვნელოვანი დამატებითი წვლილი შეიტანოს თუ პირობები სწორად იქნება დაცული.

## **კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები**

xviii. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა სოფლის შინამეურნეობების შემოსავლების და მათ მიერ ტყის რესურსებით სარგებლობის დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის მონაცემების შეგროვება. ეს იყო ამ ტიპის პირველი კვლევა საქართველოში და ტარდებოდა იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში სატყეო სექტორში მასშტაბური რეფორმა ხორციელდებოდა. ამდენად, ეს კვლევა არ იძლევა დროის სხვადასხვა პერიოდში გატარებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას, არამედ წარმოადგენს 2016 წელს საქართველოში სოფლად არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვას.

<sup>2</sup> ნებისმიერი ხუთი თანაბარი ჯგუფი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობა შემოსავლების განაწილების შესაბამისად იყოფა.



*სტრატეგიული კითხვა 1. წარმოადგენენ თუ არა ტყის რესურსები შინამეურნეობებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს და უზრუნველყოფენ თუ არა ისინი ტყეზე დამოკიდებული შინამეურნეობებისთვის სიღარიბის დაძლევის საშუალებას?*

xix. როგორც აღმოჩნდა, დარიცხული შემოსავლის ანალიზის შესაბამისად ტყეები და ტყის პროდუქტები შინამეურნეობების შემოსავლების შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ტყის პროდუქტების შეგროვებასა და გაყიდვაში შესწავლილი შინამეურნეობების თითქმის ნახევარი მონაწილეობდა. შემის და ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო. კომერციული და ფულადი აქტივობები ნაკლებად იყო გავრცელებული და ტყის ნაწარმით ვაჭრობაში შინამეურნეობების მცირე რაოდენობა იყო ჩართული. თუმცა ეს არის ის თემა, როდესაც აღნიშნული კვლევა ვერ უზრუნველყოფს პრობლემის სრულყოფილ დასაბუთებას: შინამეურნეობების საკმაოდ დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ისინი შეშას სხვა პირებისგან ყიდულობდნენ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებდა, რომ ადგილი ჰქონდა ტყის ნაწარმით ვაჭრობას, რაც კვლევაში რატომღაც არც თუ ისე მკაფიოდ იქნა ასახული.

xx. ღარიბი შინამეურნეობების საერთო შემოსავალში სატყეო მომსახურებების წვლილი ამკარად უფრო დიდი იყო, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობებისათვის; მათთვის ტყიდან მიღებული შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის 1/3 შეადგენდა; ხოლო ღარიბი ოჯახებისთვის ტყის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავლის წილი 2%-ს უდრიდა. საშუალო შეძლების შინამეურნეობების იგივე წყაროებიდან მიღებულ შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის 5%-ს შეადგენს. საშუალო შეძლების შინამეურნეობების საერთო შემოსავლის ძირითად წყაროებს პენსიები და ხელფასები შეადგენდა, მაშინ, როცა ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყარო სახელმწიფო დახმარება და ტყის პროდუქტები წარმოადგენდა, რადგან მათ სხვადასხვა სახის წყაროებზე ხელი არ მიუწვდებოდათ. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ტყის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი ღარიბი შინამეურნეობებისთვის გაცილებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობებისთვის. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ტყე და ტყის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი ღარიბებისთვის მახეა და რომ ისინი ვერ შეძლებენ თავი დააღწიონ ტყეზე დამოკიდებულებას? ამ ფაქტის ზედაპირული დასაბუთება შეიძლება იყოს ის, რომ ტყის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი გადაიქცა გადარჩენის გარანტად იმ შინამეურნეობებისთვის, რომელთა სხვა სახის შემოსავალი ძალიან მწირია. სახელმწიფო სოციალური პროგრამები ხელს უწყობს ფინანსური პრობლემების შერბილებას, თუმცა ამ პროგრამებიდან მიღებული

შემოსავალი ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების მხოლოდ 20%-ს უზრუნველყოფს.

**სტრატეგიული კითხვა 2: ამცირებს თუ არა ტყიდან მიღებული შემოსავალი შემოსავლების უთანასწორობას, ე.ი. არის თუ არა იგი ღარიბი შინამეურნეობებისთვის სარგებლის მომტანი?**

xxi. შემოსავლების თანასწორობაზე ტყის პროდუქტების მოხმარებისა და ჩანაცვლების დინამიური ზემოქმედების შეფასება დიდ დროსა და გრძელვადიან პერიოდში მოპოვებულ მონაცემებს საჭიროებს. ღარიბი და საშუალო შეძლების შინამეურნეობების მიერ ტყის პროდუქტების მოპოვებით მიღებული შემოსავალი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთულია შეფასება იმისა, თუ რას გამოიწვევდა მზარდი შემოსავალი, რომელიც არ არის დაკავშირებული ტყის პროდუქტების მოპოვებასთან (მაგ. სოციალური დახმარებები) - შემოსავლის არსებული დონის რეალურ ზრდას თუ მხოლოდ შემოსავლის წყაროს ჩანაცვლებას (ტყის პროდუქტების შეგროვების ნაცვლად მათი ყიდვა).

xxii. სტრატეგიის მოდელირებიდან ჩანს, თუ როგორ გავლენას ახდენს სატყეო სტრატეგია და განვითარების ინტერვენციები შემოსავლების განაწილებაზე. ზოგადად, ტყის გაუმჯობესებულმა მართვამ და ტყის მდგრადმა გამოყენებამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს შემოსავლების განაწილებაზე ღარიბი შინამეურნეობების ინტერესების გათვალისწინებით. რადგან კვლევა მოვლენის ერთჯერად მიმოხილვას წარმოადგენს, დინამიური სტრატეგიის მოდელირება სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ტყის პროდუქტებიდან მიღებული მზარდი შემოსავალი განსაკუთრებით ღარიბ შინამეურნეობებს მოუტანს სარგებელს. უღარიბესი შინამეურნეობებისთვის ტყის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავლების 20%-ნი ზრდა მათ საერთო შემოსავალს 65%-ით გაზრდის.

**სტრატეგიული კითხვა 3: როგორია კომერციალიზაციის დონე? წარმოადგენს თუ არა ტყის სექტორი არარეგულირებად წყაროს?**

xxiii. კვლევის მასალებიდან ჩანს, რომ რეგულირებადი კომერციული საქმიანობები საქართველოს სოფლის რაიონებში არსებულ ტყის ტერიტორიაზე უმნიშვნელო როლს ასრულებენ, რაც იმ მხრივ აისახება, რომ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ტყეების კონტრიბუცია საკმაოდ დაბალია და დასაქმებაში მათი წვლილი საკმაოდ შეზღუდული. ტყესთან დაკავშირებული საქმიანობისთვის ხელფასი შინამეურნეობების ძალიან მცირე რაოდენობას აქვს აღებული და შინამეურნეობების 10%-ზე ნაკლები აცხადებს, რომ ტყის პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი, ისევე როგორც სუფთა მოგება, ძალიან დაბალია.

### *ხედვა ძირეული ცვლილებების შესახებ: შემდგომი ნაბიჯები*

xxiv. ამჟამად, ტყეების ეფექტიანი გამოყენების დონე ძალიან დაბალია და სტატისტიკურად არ არის სათანადოდ ასახული. ეს შესაძლოა იმას მიუთითებდეს, რომ პროდუქციის მოცულობა დაბალია და მასთან დაკავშირებული საქმიანობა მინიმალური ან ტყის გამოყენება არალეგალურია ან არარეგულირებადი. ქვეყანაში არ არსებობს ტყის ინვენტარიზაციის განახლებული ვერსია, რაც რესურსების ბაზის შესახებ საიმედო ინფორმაციას უზრუნველყოფდა, თუმცა ქვეყნის ტერიტორიის 40% ტყით არის დაფარული. მიუხედავად იმისა, რომ ტყეები ძნელად მისაწვდომ მთიან ადგილებშია განლაგებული, ტყის მდგრადი მართვის პოტენციალი ჯერ კიდევ არსებობს. იქიდან გამომდინარე, რომ ტყეები ქვეყნის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს ფარავენ, უკეთესი ინფორმაციისა და ხელსაყრელი ინვესტიციების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი გახდებოდა სატყეო მეურნეობის მდგრადი მართვის გზით განვითარება. თუ იარსებებს სატყეო მეურნეობის ასეთი პოტენციალი და საქართველო შეძლებს მის სათანადოდ გამოყენებას, საჭირო გახდება ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და შესაბამისი ინვესტირება ისეთი სფეროებისა, როგორცაა ტყის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფა (მათ შორის ინვენტარიზაცია), პროფესიული ტრენინგების ჩატარება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (მათ შორის ტყესთან მისასვლელი გზები).

xxv. ამჟამად სოფლის დარიბი მოსახლეობის საარსებო საშუალებების ძირითად ელემენტებს ტყეები უზრუნველყოფენ. თუმცა, ეს ელემენტები ვერ ასრულებდნენ და სავარაუდოდ, მომავალშიც ვერ შეასრულებენ ეკონომიკური დივერსიფიკაციისათვის საჭირო ელემენტების ფუნქციას, რომლებიც გააძლიერებდნენ სოფლის ეკონომიკას. შესაძლოა საკამათო იყოს თანამედროვე ტერმინის - „დაბალშემოსავლიანი წონასწორობის“ გამოყენება, რომლის მიხედვით დაბალშემოსავლიანი საარსებო საშუალებების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს შესაბამის სტიმულს, რათა ინვესტიციები განხორციელდეს უფრო მომგებიანი ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის, ეკონომიკური საქმიანობის და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული P.R.I.M.E /პ.რ.ი.მ.ე. სისტემა განაპირობებს ინტერვენციების იდენტიფიცირების ზოგად სტრუქტურას, რაც ხელს შეუწყობს ტყის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისთვის შესაფერისი პირობების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დიდი რაოდენობითაა ტყით დაფარული ფართობები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მხოლოდ მათი სიმრავლე იყოს საკმარისი სიღარიბის დასაძლევად, თუმცა სავსებით შესაძლებელია, რომ ტყის მდგრადი მართვა იყოს ფართო ეკონომიკური დივერსიფიკაციის ნაწილი. ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტიულობის, უფლებების, ინვესტიციების, ბაზრების, ეკოსისტემების (პ.რ.ი.მ.ე.) ძირითადმა ელემენტებმა შესაძლოა დადებითი ზემოქმედება მოახდინონ ტყის მდგრად გამოყენებაზე და დარიბი შინამეურნეობების შემოსავლის გაუმჯობესებაზე.

- **პროდუქტიულობა** არის ტყის ეკონომიკური პოტენციალის მდგრადი გამოყენების საფუძველი. პროდუქტიულობას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ზოგიერთი ფაქტორები დამოკიდებულია ბაზარზე მოქმედი - როგორც მცირე საწარმოების, ასევე კერძო მეწარმეების არჩევანზე, ზოგიერთი კი - სახელმწიფოს ქმედებებზე. ბიზნესებმა თვითონვე უნდა მოახდინონ პროდუქციის ტექნოლოგიის ინვესტირება, თუმცა ინვესტიციების ინტენსიურობა დამოკიდებულია პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე, უფლებების დაცვის გარანტირებაზე და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. პროდუქტიულობის გაუმჯობესებას ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს სახელმწიფო ინტერვენციებმა - ტრენინგებისა და განათლების მეშვეობით.
- ტყის ეროვნული კონცეფცია უზრუნველყოფს ტყის მართვის დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი თემების **უფლებების** დაცვას ტყის გამოყენებასა და ხელმისაწვდომობაზე. ტყეზე საკუთრების უფლება გლობალურადაა აღიარებული, როგორც მდგრადი სატყეო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, თუმცა ეს რთული საკითხია და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით ერთ გარკვეულ წესს არ ექვემდებარება.
- ეკონომიკურ საქმიანობების და სატყეო სექტორში რეფორმების **ინვესტირება** მოითხოვს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის რესურსებს. საქართველოში არსებული ტყის მართვის სისტემები ძირეულ ცვლილებებს განიცდიან და ტყის ახლებურად მართვის მიზნით რესურსების შესახებ უკეთეს ცოდნასა (მაგ. ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის განახლებას) და შესაძლებლობებს საჭიროებენ, როგორც ინფორმაციის მართვის, ასევე ადამიანური და ტექნიკური რესურსებს მიმართულებით. ამ შესაძლებლობების განვითარება მოითხოვს სახელმწიფო ინვესტიციებს. მთიანი რაიონების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სატყეო გზების ქსელის შექმნის ინვესტირება, რათა შემცირდეს სამრეწველო ხის მასალაზე არსებული მაღალი ფასები. სატყეო გზების გაუმჯობესებული ქსელი ხელს შეუწყობს ტურიზმისა და ტყის მართვის სხვა საქმიანობების (მაგ. ტყის ხანძრების მართვა) განვითარებას.
- იმისათვის, რომ ტყე მხოლოდ საარსებო საშუალებების წყაროს არ წარმოადგენდეს და ძლიერი ეკონომიკური საქმიანობის წყაროც გახდეს, აუცილებელია მოქმედი **ბაზრების** არსებობა. მოქმედი ბაზრები წარმოადგენენ ტყის სექტორში კერძო კაპიტალის მოზიდვის წინაპირობას. ამჟამად ტყის ნაწარმის ბაზრები ნაკლებად განვითარებულია და იაფფასიანი პროდუქტების სეგმენტზეა ფოკუსირებული. საშენი ხის მასალაზე დაბალი მოთხოვნა, განუვითარებელი საერთაშორისო ვაჭრობა და არაკონკურენტუნარიანი მრეწველობა აფერხებენ ბაზრის განვითარებას.

- ეკოსისტემებისგან მიღებული მომსახურება და მათი მოვლა-შენარჩუნება სათანადო კანონმდებლობას მოითხოვს. ტყის ეროვნული კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს მდგრად განვითარებასა და გარემოსდაცვით მომსახურებებზე. ყოველივე ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს ბაზარზე ორიენტირებულ ინსტრუმენტებთან. მაგალითად, ტყის მდგრადი მართვის სერტიფიცირება ხელს შეუწყობს როგორც ბაზრის განვითარებას, ასევე გარემოსდაცვით მდგრადობას. გრძელვადიან პერსპექტივაში გარემოსდაცვითი სერვისების სხვადასხვა ფორმით დაფინანსებამ შესაძლოა სათანადო გარემოსდაცვითი მართვის მონეტარიზება უზრუნველყოს.

xxvi. წინამდებარე კვლევა საქართველოს ტყეებისა და სიღარიბის შესახებ ამ ტიპის პირველი კვლევა იყო და შესაბამისად არსებობდა გარკვეული შეზღუდვები. კვლევა ვერ უზრუნველყოფს დროის დინამიკას ან ხანგრძლივი დაკვირვებების მონაცემებს და არ შეუძლია დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გამოვლენა. მაგრამ ამავე დროს იგი იძლევა არსებული მდგომარეობის შესახებ საინტერესო სურათს და წარმოადგენს შემდგომი კვლევებისათვის საფუძველს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი კვლევა დროის გარკვეულ პერიოდში განმეორდეს და ტყით სარგებლობისა და ამ პროცესში მიმდინარე ცვლილებები უფრო ღრმად იქნას გააზრებული. მონაცემების სისტემატურად შეგროვება და მათზე ხელმისაწვდომობა კარგად შემუშავებული სტრატეგიის წინაპირობას წარმოადგენს. ეს ეხება როგორც რესურსების შესახებ ბიოფიზიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მონაცემებს. მონაცემების სისტემატურად შეგროვება შესაძლებლობას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებებს გააკეთონ დასაბუთებული არჩევანი და უზრუნველყონ ზემოქმედების სათანადო შეფასება. ტყეებსა და ტყეზე დამოკიდებულ შინამეურნეობებზე კლიმატის ცვლილებაც მოახდენს ზემოქმედებას. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შესახებ წინასწარი მონაცემების მოპოვება ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებისათვის საჭირო ზომებისა და ადაპტაციის იდენტიფიცირებას.

## 1. ტყეები და განვითარების გამოწვევები საქართველოში<sup>3</sup>

1. საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანაა 3.7 მლნ მოსახლეობით<sup>4</sup>. რეგიონში არსებული ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 25%-ით შემცირდა. მოსალოდნელია, რომ დემოგრაფიული ვარდნა გაგრძელდება და 2050 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობა 3.2 მლნ-მდე შემცირდება. საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები ძირითადად სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. ბოლო წლებში მოსახლეობა განსაკუთრებით შემცირებულია სოფლად, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 50% ცხოვრობს. 2002 - 2014 წლების პერიოდში, როდესაც საქართველომ მოსახლეობის 14 % დაკარგა სოფლისა და ქალაქის ტერიტორიები შესაბამისად 60% და 24%-ით შემცირდა.

---

<sup>3</sup> საქართველოში ზოგადი განვითარების შესახებ განხილვები, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, ეფუძნება მსოფლიო ბანკს. 2018

<sup>4</sup> 4 მლნ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით

2. ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის განვითარებაში. ათი წლის წინ გლობალური ფინანსური კრიზისის და სხვა გარე ზემოქმედების მიუხედავად ეკონომიკა სწრაფად იზრდება, საშუალოდ წლიური 5% მაჩვენებლით. იმ დროს, როცა საქართველოში სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად, საქართველომ მოახერხა სიღარიბის შემცირება როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. 2010-2015 წლებში სოფლად სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 41%-დან 25%-მდე შემცირდა, ხოლო ქალაქად (თბილისის გამოკლებით) 36%-დან დაახლოებით 20%-მდე.<sup>5</sup> ბოლო ათი წლის მანძილზე სიღარიბის მუდმივი შემცირება იმაზე მეტყველებს, რომ ღარიბმა მოსახლეობამ მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო, როგორც ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნით, ასევე მთავრობის მიერ გატარებული სოციალური პოლიტიკის დახმარებით. თუმცა, მთავრობის გაფართოებული სოციალური პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ სიღარიბის შემცირებას, ეროვნული ბიუჯეტისთვის დამატებით ტვირთს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ უთანასწორობა სხვა ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ მაღალია, უკანასკნელ წლებში იგი კლებულობს და დაბალშემოსავლიანი ოჯახების კეთილდღეობა 40%-ით უმჯობესდება. მართალია, თავად საქართველო მძლავრ რეფორმატორად ითვლება, ქვეყანაში მაინც ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. ზრდის ტემპი ბოლო ორი წლის განმავლობაში თითქმის 2.7%-ით დაეცა. არსებობს სამუშაო ადგილების ნაკლებობა და მაღალია უმუშევრობის დონე, რომელიც 30%-ს უახლოვდება. 2015 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული გარემოსდაცვითი შეფასების (CEA) მიხედვით, საქართველოში განვითარების პროცესს გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მართვა ან ბუნებრივი რესურსების უკეთესი მენეჯმენტი არ მოჰყოლია შედეგად. ტყის დეგრადაცია, ჰაერის დაბინძურება და სხვა, ხშირად „უხილავი“ ეკოლოგიური ხარჯები ეროვნულ ეკონომიკას ჯერ კიდევ ტვირთად აწვება, რაც 2012 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 7.4% შეადგენდა.<sup>6</sup>

<sup>5</sup> როგორც განსაზღვრულია ეროვნული სიღარიბის ზღვრით \$2.5/დღეში 2005 PPP. მსოფლიო ბანკი. 2016.

<sup>6</sup> მსოფლიო ბანკი. 2015

3. მიუხედავად იმისა, რომ საერთო განვითარება პოზიტიური იყო, თანასწორობის პრობლემები მაინც არსებობს და სოფლის მოსახლეობა და თემები ვერ ახერხებენ მათ გადალახვას. სიღარიბის მაჩვენებლები სოფლად უფრო მაღალია და სოფელსა და ქალაქს შორის შესაძლებლობების განვითარების მხრივ უთანასწორობა ჯერ კიდევ საგრძნობლად დიდია. სოფლის ეკონომიკის განვითარებისთვის ტყის რესურსები მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე ტყის რესურსები გარემოსდაცვით მომსახურებასაც უზრუნველყოფენ. მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) სატყეო სექტორის წვლილი მცირეა და დაახლოებით 0.4%-ს შეადგენს, თუმცა დიდი მოცულობით არასაბაზრო პროდუქციის (საშეშე მასალა), არარეგისტრირებული ტყის მოპოვებისა და არამონეტარული გარემოსდაცვითი მომსახურების გათვალისწინებით, რეალურად ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი უნდა იყოს. განვითარების შედეგებსა და შესაძლებლობებს შორის გეოგრაფიული შეუსაბამობის შესახებ ძირითადი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: როგორია ტყეების როლი და პოტენციალი მდგრადი გზით სიღარიბის შემცირებასა და სოციალური კეთილდღეობის მიღწევაში?

4. ტყეები რომ სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ, საჭიროა სოფლის მოსახლეობის, თემებისა და ასევე ტყეების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და მონაცემების მოპოვება. 2016 წელს მსოფლიო ბანკმა<sup>7</sup> ჩაატარა ფართომასშტაბიანი კვლევა, რათა უკეთ შეესწავლა სოფლის შინამეურნეობების ცხოვრებაში ტყეების როლი. ეს იყო ტყით სარგებლობის, ტყიდან შემოსავლის მიღებისა და ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში ტყის როლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე ფოკუსირებული პირველი კვლევა ქვეყანაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის ტყით დაფარულ ტერიტორიებთან და სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფების რისკის მომცველ ზონებთან ახლომდებარე სოფლების წარმომადგენლები. ახალი მონაცემების წყარო ავსებს მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობისა და მთიანი რაიონების თემების შესახებ ინფორმაციის ხარვეზს. ეროვნულ დონეზე ჩატარებული შინამეურნეობების რეგულარულ კვლევაში, როგორცაა *საქართველოს შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა* (IHS),<sup>8</sup> ეს თემები, როგორც განსხვავებული სტრატა, ხშირად გამოტოვებული იყო.

<sup>7</sup> მსოფლიო ბანკის ტყის პროგრამების დაფინანსებით - PROFOR (ტყეების პროგრამები, <https://www.profor.info/>)

<sup>8</sup> ეს არის საქართველოში პირველად ჩატარებული კვლევა და ამდენად იგი არ უზრუნველყოფს გრძელ მონაცემებს. სიღარიბისა და ტყის დინამიკა სრულად საჭიროებს ხანგრძლივადიან მონაცემებს განმეორებითი კვლევების ჩათვლით. იხ. მიმოხილვა 48-ე გვ.



5. კვლევაში თავმოყრილ იქნა სამიზნე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის, მათი შემოსავლის წყაროების, ტყის ხელმისაწვდომობის და ტყით სარგებლობის, სოციალური პროგრამების, მათ შორის პენსიების, სოციალური დახმარების და საშემე მასალის სუბსიდირების პროგრამების შესახებ პირველი მონაცემები. კვლევაში წარმოდგენილია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კომპლექსური ცოდნა, ტყეზე დამოკიდებულების, შინამეურნეობების საარსებო საშუალებების შესახებ სტრატეგიები და ასევე შეფასება იმისა, თუ პოტენციურად როგორ შეიძლება სახელმწიფო ინვესტიციებმა და პროგრამებმა ხელი შეუწყონ ღარიბი შინამეურნეობების კეთილდღეობას.

6. საქართველოს ტყეები მეტად მრავალფეროვანია; ტყეებში გავრცელებულია 400-ზე მეტი მერქნიანი სახეობა. ზოგადად ტყეები განლაგებულია ციცაბო და მიუწვდომელ რელიეფზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტყის საფარი შედარებით მაღალმთიან რაიონებშია განლაგებული (მაგ. იგი ოთხჯერ მაღალ საფეხურზეა, ვიდრე სომხეთში და აზერბაიჯანში) იგი ტყის პირველადი და მეორადი პროდუქტების წყაროდ გვევლინება. ტყეების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია; ამჟამად ტყეების უმეტეს ნაწილში ეფექტური და სისტემური მართვა არ ხორციელდება. არსებული ტყის საფარის 40%-ის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ არსებობს, რადგან 1990 წლების შემდეგ ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია (NFI) არ ჩატარებულა.<sup>9</sup> ერთის მხრივ, ტყის ფართობი შეიძლება გაფართოვდეს მთიან რაიონებში არსებული მიტოვებულ მეურნეობებში ბუნებრივი რეგენერაციის გზით. მეორე მხრივ, უნებართვო ჭრებმა და სხვა არალეგალურმა აქტივობებმა შესაძლოა ტყის დეგრადაცია გამოიწვიონ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სოციალური სტატისტიკა არ არსებობს ნიადაგის დეგრადაცია სერიოზულ პრობლემებად ითვლება.<sup>10</sup> დეგრადაცია არის ტყეების დამცავი ფუნქციისა და მათი თვითაღდგენის უნარის შემცირების მიზეზი, რაც ტყის ეკოსისტემების შეუქცევად განადგურებას იწვევს. ტყის დეგრადაციის გამომწვევი ძირითადი პოტენციური ფაქტორებია ხე-ტყის და ტყის სხვა რესურსების არამდგრადი მოპოვება როგორც კომერციული, ასევე საარსებო მიზნებით და შინამეურნეობების ძლიერი დამოკიდებულება ტყეზე, საშემე მასალის მოსაპოვებლად. სოფლად შინამეურნეობების დაახლოებით 80% მთელი წლის განმავლობაში შეშას გასათბობად და საკვების მოსამზადებლად იყენებს.

<sup>9</sup> ტყის ახალი ეროვნული ინვენტარიზაცია დაგეგმილია 2018-19წწ.

<sup>10</sup> მსოფლიო ბანკი. 2015

7. შინამეურნეობების გამოკითხვის საფუძველზე აღნიშნული კვლევა შეისწავლის ტყეებს, საარსებო საშუალებებსა და სიღარიბეს შორის კავშირებს. იგი გვთავაზობს ტყეზე დამოკიდებული სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის მოპოვების გზებს სახელმწიფო ინვესტიციებისა და რეფორმების და ასევე გრძელვადიანი ეფექტურობისა და შედეგების სრულფასოვანი შეფასების მეშვეობით. საბოლოო ჯამში, ანალიზი მიმართულია სამი ძირითადი ანალიტიკური საკითხის გადაჭრაზე:

- i. წარმოადგენენ თუ არა ტყეები შინამეურნეობებისთვის შემოსავლის წყაროს და უზრუნველყოფენ თუ არა ისინი სიღარიბის დაძლევის საშუალებებს?
- ii. ამცირებს თუ არა ტყიდან მიღებული შემოსავალი შინამეურნეობების შემოსავლების უთანასწორობას და ზოგადად, არის თუ არა ტყით სარგებლობა ღარიბი მოსახლეობისთვის ხელშემწყობი საშუალება? და
- iii. როგორია კომერციალიზაციის დონე ტყით სარგებლობაში ან ხასიათდება თუ არა ტყით სარგებლობა არაფორმალურობით?

საქართველოში უღარიბესი მოსახლეობა ყველაზე მეტად არის ტყეზე დამოკიდებული საარსებო საშუალებების მოპოვების კუთხით. უფრო მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების შემოსავლის წყაროები უფრო მრავალფეროვანია და ამიტომ ისინი შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებული ტყეზე. კვლევის შედეგების მიხედვით ჩანს, რომ ტყეები ნამდვილად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ სოფლის მოსახლეობისა და მათი კეთილდღეობისთვის. სხვადასხვა კვლევიდან ცნობილია, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში სატყეო სექტორში კანონდარსებებისა და მართვის პროგრამის (ENPI-FLEG) <sup>11</sup> საფუძველზე სხვადასხვა კვლევები ჩატარდა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის ენერჯით მომარაგებაში და რომ სატყეო სექტორში ოფიციალური დასაქმების და პროდუქციის წარმოების დონე ძალიან დაბალია. ამ კვლევამ უზრუნველყო ტყეზე დამოკიდებულების და გარკვეული ჯგუფების შემოსავლებს შორის განსხვავების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

---

<sup>11</sup> ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში სატყეო სექტორში კანონდარსებებისა და მართვის პროგრამა დაფინანსებულ იქნა ევროკომისიის და ავსტრიის მთავრობის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავდა სატყეო სექტორში კანონდარსებებისა და მართვის გაუმჯობესებას შვიდ ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი და უკრაინა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. <http://www.enpi-fleg.org/activities/georgia>

8. კვლევაში განხილულია ის კომერციული მომსახურება და ფულადი შემოსავლები, რომლებსაც ტყე უზრუნველყოფს. ეს წვლილი საკმაოდ მცირე აღმოჩნდა. სატყეო სექტორში ფორმალურად დასაქმებულია ან ტყის პროდუქტების გაყიდვით ფულად შემოსავალს ადამიანების შედარებით ნაკლები რაოდენობა იღებს<sup>12</sup>. შინამეურნეობების უმეტესობა ტყეებიდან სარგებელს მხოლოდ საარსებო საშუალებების მოპოვების გზით ღებულობს. ტყით დაფარული ფართობების მიუწვდომლობის გამო, მათი კომერციული გამოყენების დაბალი დონე აჩვენებს, რომ ტყისა და ტყის პროდუქტების ბაზრები საქართველოში განუვითარებელია და ეკონომიკური აქტივობებისთვის ტყის უფრო ეფექტიანად და მდგრადად გამოყენების პოტენციალი არსებობს. ეს მოითხოვს სახელმწიფო ინვესტიციებისა და პოლიტიკის რეფორმების სწორ შერწყმას.

9. უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია სატყეო სექტორის პოლიტიკის რიგი ინიციატივების დანერგვაში, რომლებიც მოიცავენ სოფლის განვითარებასთან, მიწათსარგებლობასთან და ტყის რესურსების მდგრად მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების გადაჭრის მიმართ ინტეგრირებულ მიდგომას. კვლევის შედეგები უზრუნველყოფენ დამატებით ინფორმაციას, რაც საშუალებას იძლევა სტრატეგიული ცვლილებების შემოსავლების განაწილების ზემოქმედების სრულფასოვანი შეფასებისთვის. 2013 წელს შემუშავდა ეროვნული სატყეო კონცეფცია<sup>13</sup>. მას მოჰყვა ახალი სატყეო კოდექსის პროექტის შემუშავება. ეს დოკუმენტები მიზნად ისახავენ მდგრადი მართვის სისტემის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ტყეებიდან სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლის მიღებას.

10. ახალი პოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს ტყის მართვაში ადგილობრივი თემების მობილიზაციაზე, რათა ხელი შეეწყოს ტყის დაცვას (უნებართვო ჭრების, ტყის ხანძრების და დაავადებათა კონტროლის პრობლემების გადაჭრა) და კოორდინირების გაუმჯობესებას ისეთ სექტორებში, როგორცაა ენერგომომარაგება (საშემე მასალაზე დამოკიდებულების შემცირება და შინამეურნეობების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ენერჯის მოპოვების თანამედროვე წყაროებზე), ტურიზმს, სასოფლო-სამეურნეო/მცხოვრებლების პროდუქციის წარმოებას, ბაზრის ხელმისაწვდომობასა და კერძო სექტორის ჩართულობას. ყველაზე ძირეული ცვლილებებია ყურადღების გამახვილება ტყის მდგრადი მართვის სისტემების განვითარებასა და ტყის მართვის დეცენტრალიზაციაზე.<sup>14</sup>

<sup>12</sup> ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ტყის პროდუქტების არაოფიციალური გაყიდვების შესახებ ანგარიშის არქონით. შინამეურნეობების დიდი რაოდენობა იტყობინება, რომ ისინი ყიდულობენ ტყის ნაწარმს, კერძოდ, საშემე მასალას, სხვა პირებისგან ყიდულობენ.

<sup>13</sup> 2014 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და CENN. 2014

<sup>14</sup> ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში სატყეო სექტორში კანონმდებლობისა და მართვის პროგრამა (ENPI-FLEG). 2017

11. ამ კვლევის შედეგებიდან და სხვა კვლევებიდან, ჩანს, რომ თუმცა ტყით სარგებლობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული, იგი მაინც ძალიან დაბალ დონეზეა. ეს სიტუაცია მოგვაგონებს „დაბალშემოსავლიან წონასწორობას“, რომლის მიხედვით ტყიდან მიღებული რეალური შემოსავლები აბრკოლებს ინვესტირებას, რაც საჭიროა ტყის მომსახურების გასაუმჯობესებლად. მაშინ ისმევა კითხვა - როგორ უნდა შეეწყოს ხელი შესაფერისი სატყეო ინვესტიციების მოძიებას და ინტერვენციების განხორციელებას ძირეული ცვლილების გასააქტიურებლად. სატყეო პოლიტიკის ცვლილებებმა დადებითი ზემოქმედება უნდა მოახდინონ შემოსავლების განაწილებაზე, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ტყის რესურსების და სერვისების მდგრადი და პროდუქტიული გამოყენება. გლობალური გამოცდილების მიხედვით სატყეო ინვესტიციები უნდა იყოს მულტი-სექტორული და ფართო ინსტიტუციურ განვითარებასთან ინტეგრირებული. მიღებული გამოცდილების მიხედვით იკვეთება სამი ძირითადი ასპექტი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: (i) ინსტიტუციური შესაძლებლობების და ადამიანური რესურსების განვითარება, რაც საჭიროა ტყის მართვის სისტემების და პრაქტიკის მოდერნიზებისათვის; (ii) სატყეო სექტორის განვითარების ინტეგრირება სხვა სექტორებთან, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, წყალი ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვა, რათა მოხდეს სინერგიების გაძლიერება; (iii) ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენება, როგორცაა ტყის რესურსების გაზომვის ახალი მეთოდები (GIS, მიწაზე დაკვირვებები ა.შ.), მდგრადი ენერჯის წყაროებზე შინამეურნეობების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, საშეშე მასალაზე მათი დამოკიდებულების შესამცირებლად, და კომუნიკაციების ტექნოლოგიების გაუმჯობესება - ინტერნეტის და მობილური მომსახურების მეშვეობით.

12. წინამდებარე კვლევა გვჩვენებს უკეთესად გავიგოთ, თუ როგორ არის სოფლის მოსახლეობა დამოკიდებული ტყეებზე შემოსავლებისა და საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად და როგორ გამოიყენება ტყეები საძოვრებად და ცხოველების საკვებად. სატყეო პოლიტიკის სტრუქტურისა და მიზნების შემუშავება და სახელმწიფო ინვესტიციების პროექტები საჭიროებენ კარგ ცოდნას ტყეების, საარსებო საშუალებების და სიღარიბის კავშირების შესახებ, და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ტყის რესურსების მართვა და სერვისები, რათა შემცირდეს სოფლად სიღარიბე და გაიზარდოს ეკონომიკური განვითარება. გარდა ამისა, საქართველოში არსებული ბევრი სოფელი დაუცველია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ და ეს რისკები უფრო მწვავედება ბუნებრივი რესურსების არამდგრადი მართვისა და არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების გამო. მძიმეა ბუნებრივი კატასტროფების ეკონომიკური ხარჯის გამოთვლა, რაც მერყეობს მსოფლიო ბანკის (2009 წლის) მონაცემებით 90 მლნ დოლარიდან 4 მილიარდ დოლარამდე (Pusch-ის მიხედვით). სასოფლო სამეურნეო და მეცხოველეობის აქტივობები განსაკუთრებით დაუცველია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> მსოფლიო ბანკი. 2017

13. მოცემული კვლევა უზრუნველყოფს ინფორმაციას ამჟამად ტყეების გამოყენების შესახებ. ტყეების გამოყენება მოგვაგონებს „დაბალშემოსავლიან წონასწორობას“ და ავლენს სატყეო სექტორის პოტენციალს, რაც მოითხოვს ძირეული ცვლილებების გატარებას. კვლევის შედეგები უზრუნველყოფს იმ გზების იდენტიფიცირებას, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში საქართველოს ტყეების წვლილი, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდება პროდუქტიულობის, უფლებების დაცვის, ინვესტიციების, ბაზრების და ეკოსისტემების (P.R.I.M.E.) გამოყენებით - ეს არის 2017 წელს მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული კეთილდღეობისკენ მიმავალი სისტემა.<sup>16</sup> ეს სისტემა ჩამოყალიბდა გლობალური გამოცდილების მიმოხილვის, ბოლო დროს განხორციელებული პროექტების შედეგებისა და მსოფლიო ბანკის და სხვა პარტნიორების ინვესტიციების საფუძველზე. იგი განვითარების პოტენციალის და ხუთი ურთიერთდაკავშირებული შეხედულების დეტალიზებას ახდენს: (i) მიწისა და სამუშაო ძალის პროდუქტიულობის (P) გაუმჯობესება; (ii) ტყეებთან, ხეებთან და მიწასთან დაკავშირებით თემების, შინამეურნეობების და ქალთა უფლებების (R) გაძლიერება; (iii) დამატებითი ინვესტიციების მოძიება (I) ინსტიტუციებისა და სახელმწიფო სერვისებისთვის, რაც ეკონომიკური განვითარებისკენ ძალისხმევის განუყოფელი ნაწილია; (iv) ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა (M), იქნება ეს მერქნული თუ არამერქნული პროდუქტები (NTFPs); და (v) ტყის ეკოსისტემების სერვისების ((E)) შეფასების მექანიზმების გაძლიერება, და ღარიბი მოსახლეობისთვის შეღავათების გაფართოება. ამ სისტემის მთავარი გზავნილი იმაში მდგომარეობს, რომ ტყიან ლანდშაფტებზე სიღარიბის შემცირება დამოკიდებული იქნება, თუ რამდენად კარგად იქნება გამოყენებულ სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციები, რაც შესაძლებელს გახდის შინამეურნეობების მიერ იმ რესურსების უკეთესად გამოყენებას, რაზეც ისინი არიან დამოკიდებული (მაგ. სამუშაო, მიწა და ტყეები).

---

<sup>16</sup> See <http://www.profor.info/content/prime-pathways-toward-prosperity>

14. ეს დოკუმენტი ძირითადად გამიზნულია საქართველოს სატყეო სექტორში მოქმედი გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის და სოციალური განვითარების და სოფლად ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების დამცველებისთვის. კვლევის შედეგები დახმარებას გაუწევენ საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს - ძირითადად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს<sup>17</sup>, და ეროვნულ სატყეო სააგენტოს, განსაკუთრებით მიმდინარე სექტორული რეფორმების გატარებაში. ზოგიერთი ასპექტები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას რეფორმებში: (i) როგორ უნდა განხორციელდეს სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაცია და გაძლიერდეს ტყეზე დამოკიდებული ეკონომიკური აქტივობები; (ii) როგორ უნდა გაუთანაბრდეს ტყის მდგრადი მართვა ტყიდან მიღებულ სოციალურ სარგებლებს ; და როგორ უნდა შემცირდეს სოფლის თემების მოწყვლადობა.

15. წინამდებარე კვლევის სტრუქტურა შემდეგნაირია: შესავალი ნაწილის შემდეგ (თავი 1), ანგარიშში შეჯამებულია ქვეყანაში არსებული სატყეო სექტორისა და სატყეო პოლიტიკის განვითარების შესახებ თავდაპირველი ინფორმაცია (თავი 2). შინამეურნეობების მოკლე მიმოხილვა აღწერილია თავი 3-ში, ხოლო უფრო დეტალურად 1 დანართში. მე-4 თავში წარმოდგენილია სიღარიბის ტიპების შესახებ ინფორმაცია; მე-5 თავში გაშუქებულია ტყის რესურსების ხელმისაწვდომობა, საშემე ტყის. ტყეების როლი სიღარიბის შემცირებასა და შემოსავლების გადანაწილებაში დეტალურად არის აღწერილი მე-6 თავში. და ბოლოს მე-7 თავში მოცემულია დასკვნები, ძირითად საკითხებზე პასუხები და რეკომენდაციები. მე-7.1 თავში აღწერილია ამჟამად ტყის გამოყენების სტრუქტურა, ხოლო მე-7.2 თავი უზრუნველყოფს საქართველოს სატყეო სექტორის ახლებურ ხედვას.

---

<sup>17</sup> 2018 წელს გამოცხადდა, რომ გარემოსდაცვითი ადმინისტრაცია საქართველოში რესტრუქტურისა და ექვემდებარება და სატყეო საკითხების მართვა დაევალება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. რეორგანიზაციის დეტალები ი დროისთვის არ იყო ცნობილი (მარტი 2018) და ამიტომ ტექსტში მოხსენიებულია , როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MENRP) და მისი დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოები.

## 2. საქართველოს ტყეები<sup>18</sup>

16. საქართველოს ტყეები სასიცოცხლო მნიშვნელობის გარემოსდაცვითი და ეკონომიკური რესურსია. ტყეებს უკავიათ 2.8 მლნ ჰექტარი ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40%. ტყეების უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. ტყეების დაახლოებით 1.9 მლნ ჰექტარი ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფება. თუმცა უკანასკნელ დროს ტყის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და შესაძლოა ტყის შესახებ მონაცემები არაზუსტი იყოს. ტყეები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით მომსახურებას, როგორცაა ბიომრავალფეროვნება, ნიადაგის ეროზიის პრევენცია, წყლის რეგულირება, ბუნებრივი კატასტროფების შერბილება, და კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია. საქართველოს ტყეები უმეტესად მთიან რაიონებშია განლაგებული და რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების ფასეულობას წარმოადგენენ. ტყეების დაახლოებით 98% ბუნებრივია, და უმეტესად დიდი და მცირე კავკასიონის მთიან ფერდობებზეა განლაგებული. წიფელი, მუხა, წაბლი, იფანი, ნეკერჩხალი, არყა, ნაძვი, სოჭი, ურთხმელი, და ფიჭვი წარმოადგენენ ტყის ტიპიურ სახეობებს. მათგან ფართოფოთლოვანი სახეობები ტყიანი ტერიტორიების 80%-ს შეადგენენ. გაშენებული ტყეების მასშტაბი ძალიან მცირეა და ჯამში დაახლოებით 60,000 ჰა მოიცავს - ტყის მთლიანი ფართობის 2.3%-ს და ძირითადად წარმოადგენილია ფიჭვით<sup>19</sup>. საქართველოში ფაქტიურად ყველა ხელშეუხებელი ტყე მაღალი კონსერვაციული ღირებულებისაა და შენარჩუნებულია საქართველოში<sup>20</sup>. დაცული ტერიტორიების სააგენტო ზედამხედველობას უწევს 450,000 ჰა-ზე განლაგებულ ტყიან ტერიტორიებს, რომლებიც უმეტესად მკაცრი დაცვის ზონებში, ეროვნულ პარკებში, და ადკვეთილებში მდებარეობს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს) სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში დაახლოებით 140,000 ჰა. ამჟამად ხე-ტყის კერძო კომპანიები ტყის რესურსების მოპოვებაზე გრძელვადიანი (20 წლამდე ვადით) ლიცენზიების საფუძველზე მართავენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების დაახლოებით 170,000 ჰა. დანარჩენი ტყეები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაშია.

<sup>18</sup> თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, საქართველოს ტყის სექტორის შესახებ ზოგადი მონაცემები ეფუძნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და CENN ინფორმაციას. 2014 და გარფორთი და სხვები. 2016

<sup>19</sup> FAO. 2016

<sup>20</sup> ბუთხუზი. 2019



17. 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში სატყეო პოლიტიკის გადახედვის არაერთი მცდელობა განხორციელდა. 1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი საბჭოთა კავშირის დროინდელი ტყის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და ამგვარად დაამტკიცა ტყის პირველი კოდექსი დამოუკიდებელი საქართველოსთვის. ამ კოდექსის მიხედვით ქვეყანაში არსებული ტყეები სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და იმართებოდა სატყეო დეპარტამენტის მიერ. 1999 წლამდე მართვის ძველი სტილი ძალაში რჩებოდა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ყველა სახის მართვისა და ეკონომიკურ ფუნქციებს ერთი ადმინისტრაციული ორგანო ასრულებდა.

18. 1999 წელს მიღებული იქნა სატყეო ურთიერთობების მარეგულირებელი კანონი - საქართველოს ტყის კოდექსი. ახალი კოდექსი არეგულირებდა ტყის რესურსების, ტყის დაცვის, აღდგენის და გამოყენების შესახებ სამართლებრივ საკითხებს. საქართველოს ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს<sup>21</sup> გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციას და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს. ეს უკანასკნელი მოიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან პრინციპებს, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, საფრთხის შერბილებას, და მდგრად განვითარებას. 1999 წელს მიღებული ტყის კოდექსის თანახმად საქართველოს ტყეების დაცვის ერთ-ერთი მიზანი იყო ხელშეუხებელი ტყეების უნიკალურობის შენარჩუნება და ენდემური და მნიშვნელოვანი სახეობების დაცვა. სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეების პრივატიზაცია და დეცენტრალიზაცია ექვემდებარებოდა სპეციალური კანონმდებლობის მიღებას. თუმცა, პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით არ განხორციელებულა; ტყეები რჩება სახელმწიფო საკუთრებისა და მართვის ქვეშ. ტყის ჭრები ტყის გამოყენების ძირითადი ფორმაა.

---

<sup>21</sup> იურიდიულად არასავალდებულო ოფიციალური განცხადება ყველა ტიპის ტყის მართვის, შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების შესახებ გლობალური კონსენსუსის პრინციპები, რომელიც მიღებულ იქნა დედამიწის სამიტზე რიო-დე-ჟანეიროში, ბრაზილიაში 1992 წელს.

19. 2004 წელს კონსტიტუციურ შესწორებებს აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურული ცვლილებები მოჰყვა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გადაკეთდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდ (MENRP). ყოფილი სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტი გადავიდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. ბუნებრივი ნაკრძალების, დაცული ტერიტორიების და სანადირო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი (შემდგომში სააგენტო) გადაკეთდა დაცული ტერიტორიების დეპარტამენტად და ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. რესტრუქტურის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ეკოლოგიური პოლიციის ცენტრალური ადმინისტრაცია გაუქმდა. ახალ გარემოსდაცვით ინსპექციას - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტს დაევალა ტყეების გარემოსდაცვითი სტატუსის მონიტორინგი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დაარსდა საგამომიებო დეპარტამენტი და მას მიენიჭა გარემოსდაცვითი დანაშაულების წინასწარი გამოძიების უფლებამოსილება, ხოლო ლიცენზიებისა და გარემოსდაცვითი ნებართვების დეპარტამენტს ტყის ლიცენზიების გამოყენებაზე ზედამხედველობა. ამ ცვლილებების შედეგად ბიომრავალფეროვნებასა და ტყეების მართვასთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქცია თავმოყრილ იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.<sup>22</sup>

---

<sup>22</sup> სატყეო ადმინისტრირების უკანასკნელი ცვლილებების შესახებ იხ. fn. 17 მე-5 გვ.

20. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ ტყის სექტორში ახალი ინსტიტუციური სტრუქტურა ჩამოაყალიბა. მრავალწლიანი მონაწილეობით პროცესის შედეგად ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს 2013 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეროვნული სატყეო კონცეფცია.<sup>23</sup> კონცეფცია მოიცავს სატყეო და სხვა მსგავს სექტორებთან დაკავშირებულ საკითხებს, მიზნებსა და ინდიკატორებს და მოქმედებს, როგორც მდგრადი გარემოსდაცვითი სტრატეგია საქართველოსთვის. კონცეფციაში აღწერილია სატყეო და სხვა მსგავს სექტორებთან დაკავშირებული პრობლემები და ასევე ამ პრობლემების გადაჭრის გზები. კონცეფციის საერთო მიზანია ტყის მდგრადი მართვის განვითარება ქვეყანაში არსებულ ყველა ტყეში. ტყის მართვა ლოკალიზებული უნდა იქნას. რაც შეეხება ინსტიტუციურ რეფორმას, პოლიტიკის განვითარებას, მართვასა და ზედამხედველობის ფუნქციებს, ისინი უნდა გაიმიჯნოს. კონცეფცია განსაზღვრავს სექტორის მიმართ საერთო მიდგომას და მოიცავს ტყიდან მიღებულ სხვადასხვა ფასეულობებს და სერვისებს. იქიდან გამომდინარე, რომ ტყეების უმეტესობა სახელმწიფო საკუთრებაში რჩება, სტრატეგია გამოიყენება ყველა სახის ტყესთან მიმართებაში დამოუკიდებლად მათი მფლობელობისა. კონცეფციაში იდენტიფიცირებული ზოგიერთი გამოწვევები მოიცავენ სუსტ სამართლებრივ ჩარჩოებს, ტყის ფასეულობებისა და ფუნქციების გაუთვალისწინებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სოფლად სიღარიბეს, არასაკმარის ინფორმირებულობას და შეუსაბამო დაფინანსებას. ტყის ახალი კოდექსი მომზადდა სატყეო კონცეფციაში წარმოდგენილი პრინციპების განხორციელების მიზნით. კოდექსის წინასწარ ვერსიასთან დაკავშირებით კონსულტაციები ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან. კოდექსის საბოლოო ვარიანტს პარლამენტი სავარაუდოდ 2018 წელს დაამტკიცებს.

21. სატყეო კონცეფციის საერთო მიზანი შემდეგში მდგომარეობს:

*„სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, აგრეთვე სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობისათვის, ადამიანების კეთილდღეობისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ამ კონცეფციის მიზანს წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობასა და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.*

<sup>23</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება, N1742-IS, 11.12.2013; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და CENN (2014)

*აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოში ტყით სარგებლობა ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მისი ეკოლოგიური სიჯანსაღის შენარჩუნება და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება.“*

22. კონცეფციაში აღწერილია ამ მიზნების მიღწევის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- ტყის მდგრადი მართვა: ტყეები უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპით, რათა შენარჩუნებულ იქნას ტყეების დაცვითი ფუნქცია და მათი ეკოლოგიური წონასწორობა;
- მონაწილეობა და დეცენტრალიზაცია: ყველა ტყე ადგილობრივია;
- ინსტიტუციური რეფორმა: სატყეო პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა;
- *დარგთაშორისი კავშირები*: ტყე წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარების განუყოფელ ნაწილს.

### 3. საქართველოს სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ტყეებით სარგებლობის კვლევა

23. ტყეებით მოსარგებლეთა 2016 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში პირველად მოხდა შინამეურნეობათა დონის მონაცემების (სულ 950 შინამეურნეობა) ფართომასშტაბიანი შეგროვება სხვადასხვა სახის ტყიანი ტერიტორიებისა და ბუნებრივი საფრთხეების მქონე რეგიონებში. საქართველოს ტყის რესურსების მნიშვნელობა, როგორც ეკონომიკური და გარემოსდაცვითი აქტივებისა, ვრცლად იყო დოკუმენტირებული სხვადასხვა ანგარიშში<sup>24</sup>, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ტყეზე დამოკიდებულება და სიღარიბის მასშტაბი არაადეკვატური აღმოჩნდა შინამეურნეობების ინდივიდუალიზებული კვლევის უქონლობის გამო. ხშირად მოშორებულ და მთიან რაიონებში მდებარე ეს შინამეურნეობები არ არიან დეტალურად შესწავლილი ეროვნულ კვლევებში, როგორცაა შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევა, რომელიც წარმოადგენს ძირითადი მონაცემების წყაროს ეროვნულ დონეზე სიღარიბის მონიტორინგისათვის. მცირე მასშტაბის შემთხვევების ზოგიერთი შესწავლა მხოლოდ ლოკალური სიტუაციების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას ახერხებს.<sup>25</sup>

#### 3.1 კვლევის გეგმა და განხორციელება

24. კვლევა ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში. სოფლების შერჩევა ნიმუშში ხორციელდებოდა ორი ინდიკატორის მიხედვით: i) ტყიანი ტერიტორიები და ii) ბუნებრივი რისკების სიხშირე. კვლევის მიზანი იყო ტყეების კონცენტრაციის და დიდი სივრცითი ცვალებადობისა და ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, როგორც ეს 3.1 სურათზეა ნაჩვენები. კვლევაში შინამეურნეობების შესარჩევად ორსაფეხურიანი სტრატეგიკაციის მეთოდი გამოიყენებოდა, რამაც ოთხსტრატეგიული სტრუქტურა მოგვცა.

- 1-ი სტრატა: ზედა სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები<sup>26</sup> და მაღალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირე (HF-HH)
- მე-2 სტრატა: ზედა სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და დაბალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირე (HF-LH)
- მე-3 სტრატა: დაბალ სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და მაღალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირე (LF-HH)


<sup>24</sup> მაგ. მსოფლიო ბანკი. 2015. და გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის სამინისტრო და CENN. 2014

<sup>25</sup> მაგ. ENPI-FLEG. 2014.

<sup>26</sup> მაღალმთის ტყიანი ტერიტორიების ზღვრული მაჩვენებელი - 1.63ა/კაცზე. იხ. დანართი 1.

- მე-4 სტრატა: დაბალ სარტყელში მდებარე ტყიანი ტერიტორიები და დაბალი ბუნებრივი საფრთხის სიხშირე (LF-LH)

სურათი 3.1 ტყეების კონცენტრაცია და ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე




25. კვლევა ყურადღებას ამახვილებდა შინამეურნეობათა მონაცემების შეგროვებაზე. იგი უზრუნველყოფს ინფორმაციას სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებზე, შემოსავლის (კერძოდ, ტყესთან დაკავშირებული შემოსავლის) მოპოვების აქტივობებზე, ტყის რესურსების ხელმისაწვდომობაზე, სოციალური დახმარების პროგრამების ხელმისაწვდომობაზე, სოციალური დახმარებით შემოსავლების მიღებაზე, სადაზღვევო პროგრამებზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებულ საშემე მერქნის ვაუჩერების პროგრამებზე. ცხრილი 3.1 წარმოგვიდგენს შერჩეული პროექტის დიზაინს და შერჩევის ნიმუშის სიდიდეს. შინამეურნეობების სივრცითი განაწილება წარმოდგენილია 3.2 სურათზე. დეტალური მეთოდოლოგია და მიმოხილვა გამოქვეყნებულია ცალკე ანგარიშში.<sup>27</sup> დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. დანართი 1.

<sup>27</sup> UDA კონსალტინგი, 2017

ცხრილი 3.1 მოსახლეობა და შერჩევის ნიმუშის ზომა სტრატების მიხედვით

მოსახლეობა და შერჩევის ნიმუშის სიდიდეები	1-ლი სტრატა HF-HH	მე-2 სტრატა HF-LH	მე-3 სტრატა LF-HH	მე-4 სტრატა LF-LH	სულ
ქვეყანაში სოფლების მთლიანი რაოდენობა (N)	827	1207	748	948	3730
შერჩეული სოფლების რაოდენობა (n)	21	31	19	24	95
შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა (h)	210	310	190	240	950
ადამიანების რაოდენობა შერჩეულ შინამეურნეობებში (m)	671	1013	598	716	2998

სურათი 3.2 შერჩეული სოფლების მდებარეობა



3.2. სოციალურ-დემოგრაფიული ინდიკატორები, დასაქმების პირობები და შემოსავლის წყაროები

26. მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს სოფლებში თემები დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე დგანან. მოსახლეობა ბერდება და არა აქვს ანაზღაურებადი სამუშაო. სხვადასხვა სტრატა ბევრი ასპექტით ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებები მაინც არსებობს. დამოკიდებულების კოეფიციენტი შერჩეულ სოფლებში (61%-75%) ბევრად მაღალია, ვიდრე საშუალო ეროვნული მაჩვენებელი - 46%, რაც გვამბობს საფუძველს, ვივარაუდოთ სამუშაოს შედარებითი ნაკლებობა.<sup>28</sup> საშუალოდ, ქალებს უფრო მეტი განათლება აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, გარდა LF-HH სოფლებისა. ბოლო 12 თვის განმავლობაში სამუშაო ასაკის მოსახლეობიდან მხოლოდ 41%-ს ჰქონდა ანაზღაურებადი სამუშაო, დაახლოებით ერთი მესამედი უმუშევარი იყო და ერთ მესამედს არაანაზღაურებადი სამუშაო ჰქონდა. LF-LH სოფლებში დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობები იყო და მოსახლეობის 46%-ს ანაზღაურებადი სამუშაო ჰქონდა. LF-HH სოფლებში დასაქმების მხრივ უარესი პერსპექტივები იყო: სამუშაო ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 70% უმუშევარი იყო და არაანაზღაურებადი სამუშაო ჰქონდა.

27. კერძო სექტორი უფრო განვითარებულია LF-LH სოფლებში, სადაც დასაქმების პერსპექტივები მეტია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მდებარეობა და მასთან დაკავშირებული კატასტროფების რისკები სერიოზულ ზემოქმედებას ახდენენ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე. LF-LH სოფლები უფრო ახლოს მდებარეობენ ბაზრებთან, ინფრასტრუქტურაზე უკეთესი წვდომა აქვთ და კატასტროფების რისკები ნაკლებად ემუქრებათ და შედეგად, უფრო მეტი ეკონომიკური აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა და სამუშაოს პერსპექტივა აქვთ. ცხრილი 3.2 წარმოგვიდგენს სტრატების მიხედვით სოფლის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული და დასაქმების პირობების შესახებ ინფორმაციას.

ცხრილი 3.2 ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები სტრატების მიხედვით

<sup>28</sup> დამოკიდებულების კოეფიციენტი: 16 წელზე ქვემოთ და 65 წელზე ზემოთ / 16-65 წლის ადამიანები



	სტრატა				სულ
	LF-HH	LF-LH	HF-HH	HF-LH	
			- % -		
<b>ა) ასაკი</b>					
0-15	17	17	19	14	17
16-64	63	65	60	64	63
65-ის ზემოთ	20	17	21	22	20
დამოკიდებულების კოეფიციენტი	61	63	75	60	66
<b>ა) განათლება (საშუალო და უფრო მაღალი )</b>					
მამაკაცები	90.1	88.1	81.5	87.6	87.0
ქალები	84.6	92.1	86.4	90.0	88.8
<b>ბ) დასაქმების სტატუსი</b>					
ანაზღაურებადი სამუშაო	31.2	46.0	43.1	38.7	41.0
არანაზღაურებადი სამუშაო	29.5	29.2	24.4	30.9	28.7
უმუშევარი	39.3	24.8	32.5	30.4	30.3
კერძო სექტორი	50.7	66.1	41.2	49.1	54.2
სახელმწიფო სექტორი	49.3	33.9	58.8	50.9	45.8

შენიშვნა: განათლების მიღწევები შეფასებულია 15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებს შორის დასაქმების სტატუსი შეფასებულია მომუშავეთა შორის

28. მოსახლეობის ნახევარი შემოსავალს - მონეტარულს ან საარსებო წყაროს - იღებს ტყიდან, რაც შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროს წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობა უფრო ასაკოვანია, ვიდრე საშუალოდ მოსახლეობა, და პენსია შემოსავლის მეორე მნიშვნელოვანი წყაროა. 3.3 ცხრილში შეჯამებულია სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობიდან<sup>29</sup> მიღებული შემოსავლების წყაროები და ამ აქტივობებში შინამეურნეობათა მონაწილეობის მაჩვენებლები. შემოსავლის სხვადასხვა წყაროს მნიშვნელობის რიგითობა შეფასებულია როგორც მონაწილეობის მაჩვენებლის (იმ შინამეურნეობების პროპორციული რაოდენობა, რომლებიც თითოეული წყაროდან იღებს შემოსავალს), ისე შემოსავლის გამოყენებით. შინამეურნეობათა მონაწილეობის მაჩვენებელზე დაყრდნობით, ტყის პროდუქტების შეგროვება შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ტყის პროდუქტების შეგროვებისა და პენსიების შემდეგ შემოსავლის შემდეგი მნიშვნელოვანი წყაროა ხელფასები (26%), სოციალური პროგრამებით მიღებული შემოსავალი (19%), შინაური ცხოველების პროდუქტები (12%), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (11%) და თვითდასაქმება (12%). საშუალო შემოსავლის სიდიდეზე დაყრდნობით შემოსავლის წყაროების კლასიფიცირებისას ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ანაზღაურებადი სამუშაო (6,000 ლარი შინამეურნეობაზე ბოლო 12 თვის განმავლობაში), პენსიები (2232 ლარი), თვითდასაქმება (1500 ლარი), შინაური ცხოველების პროდუქტები (1000 ლარი), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (750 ლარი), ტყიდან მიღებული შემოსავალი (750 ლარი) და სოციალური დახმარების პროგრამები (150 ლარი).

29. როდესაც ტყიდან მიღებული შემოსავლის ანალიზი სტრატეგის მიხედვით კეთდება, გასაკვირია იმის აღმოჩენა, რომ თუმცა ტყიდან მიღებული საშუალო შემოსავალი იდენტურია ყველა სტრატაში, მიუხედავად ტყიანი ტერიტორიებისა, ტყესთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია ზედა სარტყელში მდებარე სოფლებში (20%), შედარებით ქვედა სარტყელში მდებარე სოფლებთან (30% და 41%). იხ. ქვემოთ ცხრილი 3.4 .

### **ცხრილი 3.3 შინამეურნეობათა შემოსავალი წყაროსა და მონაწილეობის მიხედვით (ბოლო 12 თვის განმავლობაში)**

<sup>29</sup> წარმოდგენილია ორივე - დაბალიც და საშუალოც, რადგან როდესაც დაბალი შემოსავალი დარღვეულია ბევრი სხვა დიდი სიდიდით (როგორც ამ კვლევის შემთხვევაში), საშუალო შინამეურნეობების შემოსავლის უფრო შესაფერისი საზომია. მონაცემები ემყარება ბოლო 12 თვეს. შემოსავალი თითოეული აქტივობის შემთხვევაში შეფასებულია მხოლოდ მონაწილე შინამეურნეობებზე დაყრდნობით. ამიტომ იგი ზომავს მნიშვნელობას არა ზოგადად სოფლის მოსახლეობისთვის, არამედ იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებიც აქტიურები არიან სპეციფიკურ სამუშაოში.

შემოსავლის წყარო	დაბალი	საშუალო (p50)	მთლიანი შემოსავლის წილი	შინამეურნეობები (შემოსავლით)	შინამეურნეობები (შეგროვებით)	მონაწილეობის კოეფიციენტი
	- ლარი -		- % -		- რაოდ.-	- % -
ტყიდან მიღებული შემოსავალი	875	750	23	277	452	47
სამასალე მერქანი	655	655	n/a	2	25	
საშეშე მასალა	35	35	n/a	1	340	
ტყის გვერდითი პროდუქცია	1459	400	n/a	58	452	
სამკურნალო მცენარეები	183	100	n/a	15	104	
სოფლის მეურნეობა	1540	750	5	106		11
შინაური ცხოველები	1636	1000	5	114		12
ხელფასები	6787	6000	20	247		26
პენსიები	2850	2232	33	405		43
სოციალური პროგრამები	243	150	7	178		19
თვითდასაქმება	2256	1500	7	117		12
სულ						
შინამეურნეობის შემოსავალი	3926	2250				
შემოსავალი ერთ სულზე	1759	1000				

შენიშვნა: თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრი შინამეურნეობა აგროვებს ტყის სხვადასხვა პროდუქტებს, იმ შინამეურნეობების რიცხვი, რომლებიც აგროვებენ ტყის პროდუქტებს, განისაზღვრება ყველაზე მაღალი შემოსავლის მომტანი პროდუქტის მიხედვით (სამასალე მერქანი, საშეშე მასალა, ტყის გვერდითი პროდუქცია და სამკურნალო მცენარეები).

30. საქართველო მოწყვლადია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ. დაუცველობის დონე რეგიონებში მერყეობს: ბუნებრივი კატასტროფების რისკები უფრო მაღალია მთიან რაიონებში და ტყიან ტერიტორიებზე. ეს რისკი ნაწილობრივ შესაძლოა გამოწვეული იყოს ტყის გაჩეხვით და ნაწილობრივ ამინდის ექსტრემალური გაუარესებით, რისი მიზეზია კლიმატის ცვლილება. ამიტომ მნიშვნელოვანია, შეფასდეს ტყიანი ტერიტორიებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების ზემოქმედება ტყის მახლობლად მცხოვრებ შინამეურნეობებს შორის შემოსავლის წყაროებზე. ცხრილი 3.4 წარმოგვიდგენს შემოსავლის წყაროების და მონაწილეობის შეჯამებას სტრატეგების მიხედვით. ეს მონაცემები საინტერესო შედეგს გვაჩვენებს. შინაური ცხოველებისგან და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პროდუქციიდან მიღებული შემოსავლები დაბალი რისკის მქონე სოფლებში (ტყიანი საფარის მიუხედავად) თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ბუნებრივი კატასტროფების რისკის მაღალი სიხშირის მქონე სოფლებში. ეს გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ კატასტროფის რისკი ნამდვილად მნიშვნელოვან კავშირშია შემოსავლის მიღებასთან. ეს შესაბამისობა განსაკუთრებით რელევანტურია სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველების პროდუქციით მიღებულ შემოსავალთან, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების მიმართ უფრო მოწყვლადია. ამ კორელაციას შეიძლება სხვა მიზეზებიც ჰქონდეს. მაგალითად, რისკის დაბალი სიხშირის მქონე სოფლებს უკეთესი წვდომა აქვთ ბაზრებზე.

**ცხრილი 3.4 საშუალო შემოსავალი და სტრატეგების მიხედვით მონაწილეობის მაჩვენებელი**

სტრატა	LF-HH		LF-LH		HF-HH		HF-LH	
	საშუალო	მონაწილეობა	საშუალო	მონაწილეობა	საშუალო	მონაწილეობა	საშუალო	მონაწილეობა
შემოსავლის წყარო	- ლარი -	- % -	- ლარი -	- % -	- ლარი -	- % -	- ლარი -	- % -
ტყიდან მიღებული შემოსავალი	750	30	750	41	750	19	750	20
სასოფლო-სამეურნეო შინაური ცხოველები	450	10	1000	11	500	11	1150	13
ხელფასი დასაქმება	700	7	1500	9	600	20	1200	14
პენსია	5300	20	6000	27	4800	27	6000	29
სოციალური პროგრამები	2020	41	2160	32	2115	48	2592	53
თვითდასაქმება	140	20	205	12	120	21	114	24
სულ შინამეურნეობის შემოსავალი	1500	13	1500	14	1500	12	1500	10
ერთ სულზე	2035	100	1800	100	2240	100	3000	100
	740	-	750	-	1137	-	1747	-


შენიშვნა: მონაწილეობა: მონაწილეობა შეფასებულია დადებითი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების გამოყენებით.

### 3.3 ეკონომიკური მრავალფეროვნება

31. ტყიანი ტერიტორიების მახლობლად მდებარე სოფლებში მცხოვრები შინამეურნეობები შემოსავლის შეზღუდული მრავალფეროვნებით ხასიათდებიან: შინამეურნეობათა 59% და 31% შემოსავლის მოსაპოვებლად ჩართულია მხოლოდ ერთ და ორ აქტივობაში, შესაბამისად (იხ. სურათი 3.3). ეკონომიკური მრავალფეროვნება შინამეურნეობათა კეთილდღეობის მნიშვნელოვან ასპექტს ავლენს. იგი ზომავს შინამეურნეობების უნარს, გააფართონ თავიანთი შესაძლებლობები საარსებო საშუალებათა გასაუმჯობესებლად და ტყიდან მიღებული შემოსავლის გარდა სხვა შემოსავლის მოსაპოვებლად, ასევე განამტკიცონ შოკური მოვლენების მიმართ საკუთარი მედეგობა, თუ შემოსავლის მოპოვების ერთ-ერთი წყარო გამოეცლებათ ხელიდან. ეს სახელმძღვანელო პოლიტიკისთვის ღირებული ინფორმაციაა საიმისოდ, რომ ღარიბ შინამეურნეობებს დახმარება გაეწიოთ სიღარიბის დამლევაში პროდუქტიულობის გაზრდისა და შემოსავლების დივერსიფიცირების მეშვეობით. ეკონომიკური დივერსიფიცირება იზომება ეკონომიკური აქტივობების წარმოებით, რაც მიიღწევა 3.5 ცხრილში მითითებული აქტივობების კომბინირებით. ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა ტყესთან დაკავშირებული აქტივობები: შინამეურნეობათა 20% მხოლოდ ამ წყაროდან იღებს შემოსავალს. მას მოჰყვება პენსიები (17%) და ანაზღაურებადი დასაქმება (9%). სამი შინამეურნეობიდან ერთი შემოსავალს ორი წყაროდან იღებს. შემოსავლის ყველაზე გავრცელებული კომბინაციაა ხელფასი და პენსია (7%) და პენსია და სოციალური დახმარება (7%). შინამეურნეობების 2%-ზე ნაკლები ტყიდან მიღებულ შემოსავალს ავსებს სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით.

32. იმ შინამეურნეობათა უმეტესობა, რომლებიც ტყეზე არიან დამოკიდებული როგორც შემოსავლის პირველად წყაროზე, ვერ ახერხებს, შეავსოს ტყიდან მიღებული დაბალი შემოსავალი პენსიით ან სოციალური დახმარებით. იმ შინამეურნეობების დიდი ნაწილი, რომლებიც შემოსავალს მხოლოდ ტყიდან იღებენ, აღნიშნავს, რომ ტყიდან მიღებული შემოსავალი ანაცვლებს (კი არ ემატება) ოფიციალური სექტორიდან მიღებულ შემოსავალს. ეს ნიშნავს, რომ სოციალური პროგრამები შეიძლება გახდეს ეფექტიანი ინსტრუმენტი ტყეზე დამოკიდებული მოსახლეობის სიღარიბის დასაძლევად. კვლევის მონაცემების თანახმად, შინამეურნეობები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სოციალურ პროგრამებზე, შემოსავლის მისაღებად დამოკიდებული არიან მხოლოდ ტყეებზე.

**სურათი 3.3. შემოსავლის მრავალფეროვნება: შემოსავლის წყაროების რაოდენობის გადანაწილება**



**ცხრილი 3.5 შემოსავლების მრავალფეროვნება: შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირება**

ერთადერთი წყარო	შინამეურნეობების % –	რამდენიმე წყარო	შინამეურნეობების %
ტყე	20.4	სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველები	0.6
სასოფლო-სამეურნეო	2.1	ტყე და სასოფლო-სამეურნეო და/ან შინაური ცხოველები	0.7
შინაური ცხოველები	2.1	ტყე და ხელფასები	0.4
ხელფასები	8.8	ტყე და პენსიები	0.5
პენსიები	17.2	ხელფასები და პენსიები	6.8
სოციალური პროგრამები	5.2	ხელფასები და სოციალური პროგრამები	0.9
თვითდასაქმება	3.4	ხელფასები და თვითდასაქმება	0.4
		თვითდასაქმება და სოციალური პროგრამები	0.6
		პენსიები და სოციალური პროგრამები	7.2
		სხვა კომბინაცია	22.5
<b>სულ</b>	<b>59.2</b>	<b>სულ</b>	<b>40.8</b>

#### 4. სიღარიბე, ტყეზე დამოკიდებულება და მათი კავშირები

33. საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სიღარიბის შემცირების მხრივ და 2010-2015<sup>30</sup> წლების პერიოდში სიღარიბის მაჩვენებელმა 15 პროცენტით დაიკლო. სიღარიბის მაჩვენებელი ისევ მაღალია სოფლად და ჩამორჩება ქალაქში სიღარიბის შემცირებას. ტყეზე დამოკიდებული შინამეურნეობების კვლევა პირველად იძლევა სოფლის შინამეურნეობებს შორის სიღარიბის მასშტაბის ანალიზის შესაძლებლობას. სიღარიბის დონე ტყეზე დამოკიდებულ შინამეურნეობებს შორის შეფასების მიხედვით უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის დანარჩენ ტერიტორიებზე. იმის გამო, რომ წარსულში კვლევების არ ტარდებოდა, ოფიციალური შეფასებები სამიზნე შინამეურნეობების შესახებ არ არსებობდა. ამ თავში შეფასებულია ტყეზე დამოკიდებული შინამეურნეობების სიღარიბის დონე სოფლის სხვა მოსახლეობასთან შედარებით; ასევე მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება სიღარიბის მაჩვენებლები ტყესთან ახლომდებარე სოფლებში და რა განსხვავებაა ღარიბ და საშუალო შეძლების შინამეურნეობებს შორის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, დასაქმების სტატუსისა და აქტივების ფლობის თვალსაზრისით.

---

<sup>30</sup> მსოფლიო ბანკი, 2017.



#### 4.1. სიღარიბის შემთხვევების სიხშირე და სივრცითი ცვალებადობა

34. ამ კვლევაში მონაწილე თემების სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ზოგადად სოფლის მოსახლეობისა, რაც სხვა კვლევებთან შედარებით ამ კვლევაში კარგად არის წარმოჩენილი. სოფლად სიღარიბის ეროვნული ზღვრის გამოყენებით, რომელიც ერთ ზრდასრულ მოსახლეზე თვეში 130 ლარით განისაზღვრება 2016 წლის შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის მიხედვით,<sup>31</sup> ტყესთან ახლომდებარე სოფლებში სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 46%-ს შეადგენს, რაც საგრძნობლად უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად სიღარიბის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის მონაცემების მიხედვით გამოთვლილ მოხმარების აგრეგირებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით 24%-ის ტოლია.<sup>32</sup> კვლევაში სიღარიბის ანალიზი, ამ კვლევაში შეგროვებული მოხმარების შესახებ მონაცემების ნაკლებობის გამო, ეფუძნება ერთ ზრდასრულ მოსახლეზე კეთილდღეობის მაჩვენებელს, რომელიც განისაზღვრება როგორც შემოსავალი ზრდასრულ მოსახლეზე.<sup>33</sup> რეგიონული სიღარიბის შეფასება ტყესთან ახლომდებარე თემებში განხორციელდა შედარებითი სიღარიბის ზღვრის გამოყენებით, რათა კვლევაში მონაწილე თემების სიღარიბის შესახებ უფრო სრულყოფილი სურათი მიგვეღო. შედარებითი სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლის 60%-ით (შინამეურნეობების ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი 83 ლარია და, ამგვარად, შედარებითი სიღარიბის ზღვარი 50 ლარის ტოლი იქნება). ქვემოთ 4.1 ცხრილში წარმოდგენილი რეგიონული სიღარიბის მაჩვენებელი ააშკარავებს დიდ სივრცით ცვალებადობას სიღარიბეში ტყესთან ახლომდებარე სოფლებში. სიღარიბის მაჩვენებელი ნახევარზე მეტია ოთხ რეგიონში: სამცხე-ჯავახეთში (76%), იმერეთში (74%), კახეთში (66%) და შიდა ქართლში (57%), მაშინ, როცა სიღარიბის მაჩვენებელი შედარებით დაბალია აჭარაში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში და რაჭა-ლეჩხუმში. სიღარიბის მაჩვენებელი უკანასკნელ ოთხ რეგიონში დაახლოებით 20% ან ნაკლებია.

<sup>31</sup> იხ. [http://geostat.ge/index.php?action=page&&p\\_id=176&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&&p_id=176&lang=eng)

<sup>32</sup> მსოფლიო ბანკი, 2017ა. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად სიღარიბის 24%-იანი მაჩვენებელი გამოანგარიშებულია კეთილდღეობის მაჩვენებლების მიხედვით, მოხმარებაზე და არა შემოსავალზე დაყრდნობით. ამიტომ სიღარიბის მაჩვენებლის ამ დაანგარიშებების შედარებისას სიფრთხილე გვმართებს.

<sup>33</sup> ხანგრძლივი დებატები მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ რომელია ცხოვრების დონის უკეთესი საზომი - შემოსავალი თუ მოხმარება. იხ. დიტონი და გროში. 2000

**ცხრილი 0.1 სიღარიბის გავრცელება რეგიონების მიხედვით (შედარებითი სიღარიბის ზღვარი, %)**

Region	შინამეურნეობების % –
სამცხე-ჯავახეთი	76.2
იმერეთი	74.8
კახეთი	66.1
შიდა ქართლი	57.3
სამეგრელო-ზემო ს.	42.9
ქვემო ქართლი	26.8
აჭარა	21.2
გურია	20.0
მცხეთა-მთიანეთი	17.5
<u>რაჭა-ლეჩხუმი</u>	<u>11.5</u>
სულ	45.7

შენიშვნა: სიღარიბის კოეფიციენტის შეფასება 2016 წლის კვლევის გამოყენებით ეფუძნება შედარებითი სიღარიბის ზღვარს, რომელიც განისაზღვრება კვლევაში მონაწილე შინამეურნეობათა ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლის 60%-ით, რაც შეესაბამება 50 ლარს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი 83 ლარის ტოლია.

**35. პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღებმა პირებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სოფლად შიდა რეგიონულ უთანასწორობაზე, განსაკუთრებით სიღარიბის მაღალი დონის მქონე სოფლებში.** ტყესთან ახლომდებარე თემებში მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის უმეტესობა არ არის წარმოდგენილი შინამეურნეობების რუტინულ კვლევებში, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბის მონიტორინგს და სიღარიბის საწინააღმდეგო სოციალური პროგრამებისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფას. მიზანშეწონილია სოფლად შიდა რეგიონული უთანასწორობის მნიშვნელობის ილუსტრირება რეგიონული სიღარიბის კოეფიციენტის შედარებით და მონაცემთა ორი ნაკრების - ამ კვლევისა და 2016 წლის შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის მონაცემების - გამოყენებით. უკანასკნელი წარმომადგენლობითია სოფლის მოსახლეობის თვალსაზრისით, მაგრამ სავარაუდოდ ნაკლებად წარმომადგენლობითი ტყეზე დამოკიდებული მოსახლეობის თვალსაზრისით.<sup>34</sup>


<sup>34</sup> სიღარიბის შეფასება მონაცემთა ორი წყაროს ან კვლევის მიხედვით ხშირად არ ედრება ერთმანეთს. მაგ. საქართველოში IHS იყენებს სამომხმარებლო ფასებს, როგორც კეთილდღეობის საზომს, ხოლო 2016 წლის კვლევა იყენებს შემოსავლების შესახებ მონაცემებს.

36. სიღარიბის რეგიონული კოეფიციენტი ორი სხვადასხვა წყაროს მონაცემების გამოყენებისას განსხვავებულია. რეგიონებში, რომლებშიც 2015 წლის შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის მონაცემების მიხედვით შედარებით უკეთესი მდგომარეობა აღინიშნება, მაგ. სამცხე-ჯავახეთში, შესაძლოა ტყესთან ახლომდებარე თემებში სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი დადგინდეს. ამის საპირისპიროდ რეგიონებს, რომლებიც უღარიბესად ითვლება, როგორცაა მცხეთა-მთიანეთი, არ არის აუცილებელი, რომ სიღარიბის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ჰქონდეს. ეს შედეგები არ განსხვავდება 2016 წელს თურქეთში ტყესთან ახლომდებარე სოფლებში ჩატარებული კვლევისგან<sup>35</sup>. შინამეურნეობების კვლევები უნდა ჩატარდეს პერიოდულად, რათა გაკონტროლდეს სიღარიბე ადგილობრივ დონეზე და შეფასდეს განვითარების იმ პროგრამების ზემოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბის პრობლემების დაძლევას ტყიან ადგილებში და, ამავე დროს, ტყის მდგრადი მართვისა და სხვა რესურსების გამოყენების ხელშეწყობას (სურათი 4.1).

---

<sup>35</sup> მსოფლიო ბანკი, 2017 ბ

სურათი 4.1 სიღარიბის კოეფიციენტის შედარება ორი სხვადასხვა წყაროს გამოყენებით (2016 ტყის კვლევისა და 2015 შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის მონაცემები)



#### 4.2. ტყესთან ახლომდებარე სოფლების შინამეურნეობების სიღარიბის მიმოხილვა

37. იმის გააზრება, თუ როგორ განსხვავდება ღარიბი და საშუალო შეძლების<sup>36</sup> შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ტყეზე დამოკიდებულება, უზრუნველყოფს სიღარიბესთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორების სიღრმისეულ შეფასებას. ღარიბ შინამეურნეობებს მკაფიო სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები აქვთ საშუალო შეძლების შინამეურნეობებთან შედარებით. ისინი უფრო დიდები არიან და დამოკიდებულების კოეფიციენტიც უფრო მაღალი აქვთ. საშუალოდ, შინამეურნეობის თავი უფრო ახალგაზრდაა, განთლების უფრო დაბალი დონით, და უფრო მეტად არის ჩართული არაანაზღაურებად საქმიანობებში, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობის თავი. სიღარიბის მოდელის განხილვისას შემდეგ თავში წარმოდგენილია ღარიბ და საშუალო შეძლების შინამეურნეობებს შორის შედარება სამ ასპექტის მიმართულებით: ა) სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები; ბ) შემოსავლის წყაროები და მათი მრავალფეროვნება; გ) ტყის რესურსებზე წვდომა. შინამეურნეობების საშუალო ზომა და ღარიბებს შორის დამოკიდებულების კოეფიციენტი 3.6 და 0.5-ია საშუალო შეძლების შინამეურნეობებთან შედარებით, რომელთა შესაბამისი მაჩვენებლების 1.9 და 0.4. მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღინიშნება შინამეურნეობის თავის გენდერული სტატუსის მხრივ. როგორც მოსალოდნელი იყო, ღარიბები მცირე რაოდენობით აქტივებს ფლობენ, როგორცაა ინტერნეტსა და კომპიუტერზე წვდომა, წყლის საქაჩი, ჯაჭვის ხერხი და/ან მანქანა. გარდა ამისა, ღარიბ შინამეურნეობას ნაკლები ღირებულების შინაური ცხოველი ჰყავს (მაგ. პირუტყვი) და მეტი ნაკლებად პროდუქტიული შინაური ცხოველები, მაგ. ცხვარი და შინაური ფრინველები (ცხრილი 4.2).

---

<sup>36</sup> საშუალო შეძლების შინამეურნეობები განეკუთვნებიან შემოსავლების განაწილების ზედა ზღვრის 30%-ს, მაშინ როცა ღარიბი შინამეურნეობები შედარებითი სიღარიბის ზღვრის ქვემოთ არიან, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოთ მოცემულ თავში.

ცხრილი 0.2 ღარიბი და საშუალო შემდლების შინამეურნეობების შედარება: სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები და აქტივები

	დარიბი	საშუალო შედლების	სულ*
<b>i) სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები</b>			
შინამეურნეობების ზომა	3.9	2.1	3.2
<i>რომელშიც</i>			
c) 0-15 წწ.	0.8	0.2	0.5
d) 16-64 წწ.	2.6	1.1	2.0
e) 65 წელზე მეტი	0.5	0.9	0.6
დამოკიდებულების კოეფიციენტი	0.5	0.4	0.5
შინამეურნეობის თავი, ასაკი (წწ.)	58.8	63.2	60.1
შინამეურნეობის თავი, სქესი (მდედრ. %)	28.6	28.6	28.9
<b>ii) განათლება</b>			
შინამეურნეობის თავი, მხოლოდ საშუალო სკოლა (%)	53.7	32.9	44.2
შინამეურნეობის თავი, უმაღლესი (%)	26.0	39.6	32.0
<b>iii) დასაქმება</b>			
შინამეურნეობის თავი, ანაზღაურებადი სამუშაო (%)	7.7	12.1	10.8
შინამეურნეობის თავი, არანაზღაურებადი სამუშაო (%)	48.6	20.4	35.3
<b>iv) აქტივები (%)</b>			
სმარტფონი	11.1	12.9	11.9
კომპიუტერი	18.6	22.1	21.9
ინტერნეტი	13.7	15.1	13.6
წყლის საქაჩი	8.3	13.6	9.5
გაზის/ელექტროლუმელი	43.4	45.7	48.3
ჯაჭვის ხერხი	22.0	29.3	27.2
ავტომანქანა	28.9	33.2	30.6
<b>v) შინაური ცხოველები (რაოდენობა)</b>			
პირუტყვი (%)	56.6	55.0	58.0
რაოდენობა	1.7	2.3	1.9
ცხვარი (%)	8.3	4.3	6.1
რაოდენობა	1.1	0.5	0.8
ღორი (%)	22.9	17.9	22.4
რაოდენობა	0.5	0.6	0.6
შინაური ფრინველები (%)	66.0	61.4	65.8

\* მთლიანობაში მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (დარიბები) მყოფ შინამეურნეობებს, ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 30%-ს (საშუალო შეძლების) და ასევე

სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფ შინამეურნეობებს, მაგრამ ისინი არ ითვლებიან საშუალო შეძლების შინამეურნეობებად.

#### 4.3. კავშირები ტყეზე დამოკიდებულებას, საარსებო საშუალებებსა და სიღარიბეს შორის


38. ღარიბი შინამეურნეობების ტყეზე დამოკიდებულების ხარისხი გაცილებით მაღალია: ტყიდან მიღებული შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის 30%-ს შეადგენს (სურათი 4.2 და ცხრილი 4.3). ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე თურქეთის (29%) ან სხვა დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მაჩვენებლები (საშუალოდ 28%, რაც დაანგარიშებულია ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ორ ჯგუფში შემავალი 24 განვითარებადი ქვეყნის მონაცემებით)<sup>37</sup>. საპირისპიროდ, საშუალო შეძლების შინამეურნეობები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი შემოსავლის ისეთ წყაროებზე, როგორცაა ანაზღაურებადი სამუშაო და პენსია. ტყიდან მიღებული შემოსავალი მათი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. გარდა ამისა, ღარიბები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სამეურნეო საქმიანობაზე და შინაურ ცხოველებზე, რაც მათი მთლიანი შემოსავლის 15%-ს შეადგენს, განსხვავებით 5%-ისგან საშუალო შეძლების შინამეურნეობების შემთხვევაში. ზოგადად, საშუალო შეძლების შინამეურნეობათა შემოსავლის წყაროები უფრო სტაბილურია: შინამეურნეობათა 80%-ზე მეტის შემოსავალს ერთობლივად პენსიები და ხელფასები შეადგენს. ღარიბებისთვის მსგავსი სტაბილური წყაროები მხოლოდ 20%-ია.

39. ღარიბი შინამეურნეობების უფრო დიდი ნაწილი (76%) შემოსავალს ერთი წყაროდან იღებს, რომელიც სამი მთავარი წყაროსგან შედგება: ტყესთან დაკავშირებული აქტივობები (37%), სოციალური დახმარების პროგრამები (14%) და პენსიები (7%). შემოსავლების მრავალფეროვნების შედარებას თუ მივმართავთ, კვლევის მონაცემები გვაჩვენებს, რომ ღარიბებს უფრო შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, მოახდინონ შემოსავლების მომტანი აქტივობების დივერსიფიცირება. საპირისპიროდ, საშუალო შეძლების შინამეურნეობების დაახლოებით 45% შემოსავალს იღებს ერთი, მაგრამ მაღალი შემოსავლის მომტანი წყაროდან, როგორცაა ანაზღაურებადი სამუშაო (14%) და პენსიები (29%). საშუალო შეძლების შინამეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ, ანაზღაურებადი სამუშაოდან მიღებული შემოსავალი პენსიით შეავსონ. საშუალო შეძლების შინამეურნეობათა 13%-ს აქვს შემოსავლის აღნიშნული ორი წყარო, ღარიბებთან შედარებით, რომელთა შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია.

<sup>37</sup> ანგელსენი და სხვები. 2014; მსოფლიო ბანკი. 2017ბ



სურათი 0.1 შემოსავლების წილების შედარება



**ცხრილი 0.3 შემოსავლის წყაროების მრავალფეროვნება**

	ლარიზი	საშუალო შეძლების
<b>ერთადერთი წყარო</b>		
ტყე	37.1	0.4
სოფლის მეურნეობა	4.3	0.4
შინაური ცხოველები	4.3	0.4
ხელფასები	4.0	13.6
პენსიები	7.4	29.3
სოციალური პროგრამები	13.7	0.0
თვითდასაქმება	4.9	1.8
<b>ჯამი</b>	<b>75.7</b>	<b>45.7</b>
<b>რამდენიმე წყარო</b>		
სოფლის მეურნეობა და/ან		
შინაური ცხოველები	1.4	0.4
ტყე + (სოფლ და შინ.)	0.6	0.4
ხელფასი და პენსია	0.6	13.2
ხელფასი და სოციალური		
პროგრამა	1.1	0.7
ხელფასი და თვითდასაქმება	0.3	0.7
თვითდასაქმება და		
სოციალური პროგრამა	1.1	0.0
პენსია და სოციალური		
პროგრამა	4.9	13.2
სხვა კომბინაციები	24.3	9.3
<b>ჯამი</b>	<b>34.3</b>	<b>54.3</b>
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>

დამრგვალების გამო რიცხვების ჯამი არ იძლევა 100%-ს.

40. საშუალო შეძლების შინამეურნეობების უფრო დიდ ნაწილზე იმოქმედა უარყოფითად ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა გვალვა/წყალდიდობა, მოსავლის მავნე დაავადებები და წყლის შეზღუდული მიწოდება, ვიდრე ღარიბ შინამეურნეობებზე.<sup>38</sup> მეორე მხრივ, საშუალო შეძლების შინამეურნეობებთან შედარებით, ღარიბ შინამეურნეობებზე უფრო მეტად მოქმედებს საკვები პროდუქტების ფასებთან დაკავშირებული დარტყმები, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობებზე. (ცხრილი 4.4). ეს ფაქტი იმიტაც შეიძლება აიხსნას, რომ ღარიბ შინამეურნეობებს უბრალოდ ნაკლები ქონება აქვთ და, შესაბამისად, ნაკლები ზიანიც ადგებათ. ზოგადად, ამ ორ ჯგუფს შორის შედარებით მცირე განსხვავებები იყო და აღნიშნულმა მოვლენებმა მათზე ანალოგიური ზემოქმედება მოახდინა. თუმცა შინამეურნეობათა შემოსავალზე, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებულ და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ შემოსავალზე ბუნებრივი კატასტროფების რისკების ზემოქმედება მნიშვნელოვანია. თუ გავითვალისწინებთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებულ და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ შემოსავალზე ღარიბების დამოკიდებულების მაღალ დონეს, ეს გვაჩვენებს, რომ ღარიბები ტყეებთან ახლომდებარე სოფლებში ეკონომიკურად უფრო მოწყვლადები არიან, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობები. და თუმცა 2016 წლის კვლევა არ იძლევა სიღარიბის დინამიკის ფართო სურათს, შინამეურნეობათა შემოსავლის წყაროებთან და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან და შინაური ცხოველებიდან მიღებულ შემოსავალზე ბუნებრივი კატასტროფების რისკების უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული ზემოთ მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ ღარიბები უფრო მოწყვლადები არიან იმის გამო, რომ მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, მოახდინონ საკუთარი შემოსავლების დივერსიფიცირება და ჰქონდეთ უფრო მეტი შემოსავლის მომტანი და უფრო დაცული შემოსავლის წყაროები.

**ცხრილი 0.4 იმ შინამეურნეობების წილი, რომლებზეც ნეგატიურმა მოვლენებმა მოახდინა ზემოქმედება**

<sup>38</sup> კვლევის ფარგლებში დასმული იყო კითხვები, რომლებზე შეიძლებოდა მხოლოდ „დიახ“ და „არა“ პასუხების გაცემა. კვლევა არ ისახავდა მიზნად ზემოქმედების *სიღრმის* შესწავლას.

ბოლო 12 თვის მანძილზე მომხდარი მოვლენები	შინამეურნეობები, რომლებზეც ნეგატიურმა მოვლენებმა მოახდინა ზემოქმედება (%)		
	ლარიბი	საშუალო შეძლების	სულ*
გვალვა/წყალდიდობა	31.4	34.3	31.8
მოსავლის დაავადებები	29.4	32.9	32.6
შინაური ცხოველების სიკვდილი/მოპარვა	8.6	6.8	9.2
მოსავალზე ფასების ვარდნა	18.9	15.0	17.7
საკვები პროდუქტების ფასების ზრდა	64.9	56.8	65.7
წყლის მიწოდების უკმარისობა	15.4	19.3	17.7
შინამეურნეობის წევრის ავადმყოფობა	16.9	18.2	17.3

\* მთლიანობაში მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (ლარიბები) მყოფ შინამეურნეობებს, ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 30%-ს (საშუალო შეძლების) და ასევე სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფ შინამეურნეობებს, მაგრამ ისინი არ ითვლებიან საშუალო შეძლების შინამეურნეობებად.

41. უთანასწორობის ერთ-ერთი ასპექტი საძოვრების ხელმისაწვდომობაა. პროპორციულად, საძოვრებს პირუტყვის ძოვებისთვის საშუალო შეძლების შინამეურნეობების უფრო დიდი რაოდენობა (28%) იყენებდა, ვიდრე ლარიბი შინამეურნეობებისა (19%), და დაახლოებით ერთი მესამედი საშუალო შეძლების შინამეურნეობებისა აცხადებდა, რომ საძოვრები ადვილი ხელმისაწვდომი იყო, ლარიბებთან შედარებით (18%). 4.5 ცხრილში ნაჩვენებია საძოვრების ხელმისაწვდომობაში განსხვავება საშუალო შეძლების შინამეურნეობებსა და ლარიბებს შორის. საშუალო შეძლების შინამეურნეობებს ხუთჯერ უფრო მაღალი საშუალო თვიური შემოსავალი (დაახლოებით 382 ლარი) აქვთ შინაური ცხოველებისგან, ვიდრე ლარიბებს (70 ლარი). კვლევაში არ არის კლასიფიცირებული შემოსავალი შინაური ცხოველების სახეობების მიხედვით, როგორცაა პირუტყვი, ცხვარი ან ღორები, თუმცა სხვა წყაროები გვაჩვენებს, რომ პირუტყვის ძოვება საძოვრებზე და ტყეებში ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობად ითვლება საქართველოში<sup>39</sup>. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლარიბ შინამეურნეობებს საშუალოდ ნაკლებად პროდუქტიული შინაური ცხოველები ჰყავთ, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობებს.

<sup>39</sup> ENPI-FLEG. 2014

**ცხრილი 0.5 საძოვრების გამოყენება და ხელმისაწვდომობა**

	ღარიბები	საშუალო შეძლების – % –	სულ*
<b>საძოვრების გამოყენება და ხელმისაწვდომობა</b>			
პირუტყვი	18.9	27.9	22.9
საძოვრების ადვილი ხელმისაწვდომობა	17.7	27.9	22.2

\* მთლიანობაში მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (ღარიბები) მყოფ შინამეურნეობებს, ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 30%-ს (საშუალო შეძლების) და ასევე სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფ შინამეურნეობებს, მაგრამ ისინი არ ითვლებიან საშუალო შეძლების შინამეურნეობებად.

## 5. ტყეზე ხელმისაწვდომობა, ტყის გამოყენება და საშეშე მერქანი

42. 2016 წლის კვლევაში შეგროვებულია ინფორმაცია შინამეურნეობების ტყეზე ხელმისაწვდომობის, ტყის გამოყენების, საძოვრებით სარგებლობის და ენერჯის გამოყენების შესახებ. კვლევიდან ჩანს, რომ შინამეურნეობების უმეტესობა ტყეებს იყენებს საშეშე მასალის წყაროდ და ნაკლებად სარგებლობს სხვა მიზნებისთვის, როგორცაა სამკურნალო მცენარეების შეგროვება ან სამშენებლო მასალისთვის ტყის მოპოვება. 5.1 ცხრილში წარმოდგენილია ტყის ენერჯის წყაროდ გამოყენების შეჯამება. სოფლის შინამეურნეობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ენერჯის წყაროდ საკვების მოსამზადებლად, გასათბობად და წყლის ასადულებლად ითვლება საშეშე მასალა, რასაც მოჰყვება ელექტროენერჯია და ბუნებრივი გაზი. კვლევა ცხადყოფს, რომ ენერჯის წყაროდ წლის განმავლობაში ყველაზე ხშირად შეშას იყენებენ: შინამეურნეობათა 68% შეშას საკვების მოსამზადებლად იყენებს, 80% გასათბობად, 56% კი წყლის ასადულებლად.

43. საშუალო შეძლების შინამეურნეობებთან შედარებით ღარიბი შინამეურნეობები საკვების მოსამზადებლად და წყლის ასადულებლად უფრო მეტად საშეშე მასალაზე არიან დამოკიდებულნი, ვიდრე ენერჯის ალტერნატიულ, შედარებით უფრო ძვირ, წყაროებზე, მაგალითად ელექტროენერჯიაზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ღარიბი შინამეურნეობები (35%) უფრო მეტად იყენებენ ბუნებრივ აირს, როგორც ენერჯის წყაროს, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობები (22%). მომდევნო თავში აღწერილია საშეშე მერქნის ხელმისაწვდომობისა და სუბსიდირების მიზნობრივი პროგრამის დეტალური ანალიზი.

**ცხრილი 0.1 საშეშე მერქნის და ენერჯის სხვა წყაროების გამოყენება საწვავად სიღარიბის სტატუსის მიხედვით**

	ღარიბი	საშუალო შეძლების – % –	სულ*
<b>საშეშე მერქანი</b>			
<b>ა) გამოყენება</b>			
ყველაზე მეტად გამოიყენება საკვების მოსამზადებლად	68.9	66.4	67.8
ყველაზე მეტად გავრცელებული საწვავის წყაროა გასათბობად	79.4	81.8	80.5
ყველაზე მეტად გამოყენებული საწვავის წყაროა წყლის ასადულებლად	58.9	51.4	55.6
<b>ბ) წყარო</b>			
ყველაზე ხშირად ყიდულობენ ბაზარში	49.4	45.4	47.6
ყველაზე ხშირად იღებენ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამის ფარგლებში	41.4	44.3	42.7
საშეშე მერქნის შეგროვება საერთო სარგებლობის მიწის ფართობებიდან უარს ამბობენ გამყლავნებაზე, თუ სად აგროვებენ საშეშე მერქანს	24.3	30.0	26.8
მანძილი ტყემდე (კმ)	8.4	6.4	7.4
გამწელებული მისვლა საშეშე მერქნის შეგროვების ადგილამდე	42.9	40.0	41.6
<b>გაზის და ელექტროენერჯის გამოყენება</b>			
გაზი (საკვების მომზადება, გათბობა ან წყლის ადუღება)	34.9	21.8	29.0
ელექტროენერჯია (საკვების მომზადება, გათბობა ან წყლის ადუღება)	17.7	36.8	26.2

\* მთლიანობაში მოიცავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (ღარიბები) მყოფ შინამეურნეობებს, ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობების 30%-ს (საშუალო შეძლების) და ასევე სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფ შინამეურნეობებს, მაგრამ ისინი არ ითვლებიან საშუალო შეძლების შინამეურნეობებად. აქედან გამომდინარე, *მთლიანი* რაოდენობა არ წარმოადგენს აღნიშნული ორი კატეგორიის საშუალო (შეწონილ) მაჩვენებელს.

44. ღარიბი შინამეურნეობები არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან საშემე მერქნის ხელმისაწვდომობის მხრივ, იმის მიუხედავად, რომ ისინი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ამგვარ საშემე მერქანზე. ღარიბი შინამეურნეობები ცხოვრობენ ტყიდან მოშორებით და მათ საშუალოდ 8.4 კმ მანძილის გავლა უწევთ, საშუალო შემდეგის შინამეურნეობებთან შედარებით, რომლებსაც საშუალოდ 6.4 კმ მანძილის გავლა უწევთ. ღარიბ შინამეურნეობებს ასევე უფრო დიდი ფინანსური ხარჯების გაწევა უწევთ საშემე მერქნის შესაძენად. ღარიბი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი აგროვებს საწვავად გამოსაყენებელ შემას საერთო სარგებლობის მიწის ფართობებიდან, არა ღარიბი მოსახლეობის 30%-თან შედარებით. როგორც ნაჩვენებია ზემოთ მოცემულ ცხრილში ცხრილი 0.1, ღარიბი შინამეურნეობების დაახლოებით 49% შემას უმეტესად იძენს ბაზრებიდან, საშუალო შემდეგის მოსახლეობის 45%-თან შედარებით. ამგვარი თანაფარდობა სრულიად იცვლება, როცა ხდება ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამის ხელმისაწვდომობის შეფასება (იხ. ქვემოთ, ჩანართი 1). ღარიბი შინამეურნეობების მხოლოდ 41%-ს აქვს წვდომა აღნიშნულ პროგრამასთან, მაშინ, როცა საშუალო შემდეგის შინამეურნეობებს შორის ეს მაჩვენებელი ოდნავ მაღალია და 44%-ს შეადგენს. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ არსებობს ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამის უფრო კარგად მცხოვრებ შინამეურნეობებზე გავრცელების მტკიცებულებები.



## ჩანართი 1 საშეშე მერქნის სოციალური პროგრამა

ამჟამად მოქმედ (1999) ტყის კოდექსში და ტყით სარგებლობის წესებში ყურადღება გამახვილებულია ღარიბი შინამეურნეობებისთვის, სოფლად მცხოვრები შინამეურნეობებისთვის და ისეთი საჯარო დაწესებულებებისათვის, როგორცაა სკოლები, საწვავად და სამშენებლო მასალად ხე-ტყის გამოყოფის წესებსა და პროცედურებზე. სოციალური პროგრამების ფარგლებში ხე-ტყის მიმღებები არ იხდიან გადასახადს მოჭრის ადგილის მონიშვნისათვის, ისინი იხდიან გადასახადს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, რომელიც უფრო დაბალია ფაქტობრივად გამოყოფილი ხეების კატეგორიისთვის დაწესებულ სტანდარტულ გადასახადთან შედარებით.

2015 წელს დაახლოებით 600,000 მ3 ხე-ტყე იქნა გამოყოფილი სოციალური პროგრამის ფარგლებში. ტყის ახალი კოდექსის პროექტი ითვალისწინებს ხე-ტყის გამოყოფას გაჭირვებული ოჯახებისათვის 2018 წლის ბოლომდე. თუ ტყის ახალი კოდექსი მიღებული იქნება ახლანდელი ფორმით, მომავალში ხე-ტყის ყველა მომხმარებელს მოუწევს საბაზრო ფასების გადახდა, რომლებიც გაცილებით მაღალი იქნება სუბსიდირებულ ფასთან შედარებით. საბაზრო ფასი მაღალი იქნება მაშინაც, თუ მთავრობა წარმატებას მიაღწევს ხე-ტყის უკანონო მოჭრის აღმოფხვრის საქმეში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საშეშე მერქანს ბაზარზე.

სოციალური პროგრამა საგრძნობ დანაკარგს იწვევს ხელისუფლებისთვის. აღნიშნული დანაკარგები ყოველწლიურად დაახლოებით 30 მილიონ ლარს შეადგენს. ბუნებრივი წყაროთი სარგებლობისათვის შემცირებული გადასახადით მიღებული ფინანსური დანაკარგი კიდევ უფრო ღრმავდება იმ ფაქტით, რომ საწვავად გამოსაყენებელი ხეების არსებითი ნაწილის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მრეწველობაში.

წყარო: გარფორტი და სხვები, 2016

45. პროპორციულად უფრო მეტი ღარიბი შინამეურნეობები აგროვებენ ხე-ტყეს საზოგადოებრივი სარგებლობის ტყის ფართობებიდან, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობები. აღნიშნული თანაფარდობა შეადგენს შესაბამისად 47%-ს 38%-თან შედარებით. თუმცა შედარება გართულებულია საშუალო შეძლების შინამეურნეობების მაღალი პროპორციის (30%) გამო, რომლებმაც უარი განაცხადეს გაეცათ პასუხი კითხვაზე იმ ტყეების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, სადაც საშუალო მასალას აგროვებენ. ღარიბი შინამეურნეობებიდან შედარებით მცირე - თუმცა მაინც მნიშვნელოვანმა - რაოდენობამ (24 %) უარი თქვა პასუხის გაცემაზე. შინამეურნეობის მიერ შეშის წლიური მოხმარება იცვლება რეგიონების მიხედვით 8 მ<sup>3</sup>-დან 13მ<sup>3</sup> (40)-მდე. ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეშის წლიური ჯამური გამოყენება 2.3 მილიონ მ<sup>3</sup>-ს უახლოვდება, აქედან გამოთვლებით 80% არალეგალურია<sup>41</sup>. ის აღმოჩენა, რომ შედარებით შეძლებული შინამეურნეობების უფრო დიდმა ნაწილმა უარი თქვა პასუხი გაეცა ხე-ტყის შეგროვების წყაროს შესახებ, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ორივე კატეგორია ღებულობს სარგებელს შეშის სოციალური პროგრამიდან და თანაბრად პასუხისმგებელია ტყეების გაკაფვაზე, რაც განპირობებულია არალეგალური ხე-ტყის დამზადებით და ტრანსპორტირებით. აღნიშნულ სფეროში შემდგომი კვლევა მოგვცემს უკეთეს წარმოდგენას საწვავი შეშის ხელმისაწვდომობის, შეშის მიზნობრივი სუბსიდირების პროგრამის და შეშის სუბსიდირების პოლიტიკაში მომავალი რეფორმების ზემოქმედების შესახებ (იხ. ჩანართები 2 და 3).

---

<sup>40</sup> WEG. 2015

<sup>41</sup> გარფორტი და სხვები, 2016

**ჩანართი 2. მაგალითი: საშემე მერქანზე დამოკიდებულების შემცირება ისეთი სახის ინვესტიციებით, რომლებიც შეარბილებს ტყეზე ადამიანის ზემოქმედებას**

შინამეურნეობების მიერ ენერჯის მოხმარების შესახებ 2014 წელს ჩატარებული კვლევის<sup>42</sup> მიხედვით, ხეების უკანონო ჭრების და ტყის დეგრადაციის ძირითადი მიზეზია სათბობად და საკვების მოსამზადებლად საშემე მერქანზე დამოკიდებულება. გლობალური გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ბიომასის წვის შედეგად ენერჯის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიების და ეფექტიანი წვის დანადგარების გამოყენებაზე მიმართული ინვესტიციების განხორციელება ერთ-ერთ პერსპექტიულ გზას წარმოადგენს ტყის რესურსების მდგრადი მართვისა და ენერჯის მოხმარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

**საშემე მერქანზე თანამედროვე ღუმელების ზემოქმედება**

გაზის/ელექტროღუმელებზე გაფართოებული ხელმისაწვდომობის გამო საშემე მერქანზე ზემოქმედება შესაძლოა შეფასდეს რეგრესიის მოდელის მეშვეობით, რაც აკონტროლებს ყველა სხვა შემაფერხებელ ფაქტორს. სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ ზემოქმედება ძალიან დიდია. ორი იდენტური შინამეურნეობის ყველა სხვა ასპექტის (ეს გულისხმობს ისეთი შემაფერხებელი ფაქტორების გაკონტროლებას, როგორებიც არის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლები, შენობის ადგილმდებარეობა) მიხედვით შედარება გვაჩვენებს, რომ ერთი შინამეურნეობა, რომელიც იყენებს ელექტრო/გაზის ღუმელს, საშუალოდ 17%-ით ნაკლებად მოიხმარს საშემე მერქანს, როგორც ზოგადი მოხმარების ძირითადი ენერჯის წყაროს. საკვების მოსამზადებლად და წყლის ასადულებლად საშემე მერქნის გამოყენება სავარაუდოდ უფრო ნაკლებია - 27% და 16% შესაბამისად.

გარდა ამისა, ხეების უკანონო ჭრის გამო ტყის დეგრადაციის საფრთხის შესამცირებლად ისეთი ინვესტიციების განხორციელება, რომლებიც გააუმჯობესებს შინამეურნეობების ხელმისაწვდომობას თანამედროვე და უფრო ეფექტიანი ბიომასის ენერჯის წყაროებზე, შესაძლებელს გახდის მრავალჯერადი სარგებლის უზრუნველყოფას. ეს სარგებელი მოიცავს შემოსავალზე და ენერჯის გამოყენებაზე ორმაგი ხარჯის შემცირებას ღარიბი მოსახლეობისთვის, რომელიც ვერ ახერხებს ენერჯიაზე ხარჯების დაზოგვას, ასევე სახლებში ჰაერის დაბინძურების შემცირებას და საშემე მერქნის შესაგროვებლად დახარჯული დროის გამოთავისუფლებას, განსაკუთრებით ქალებისთვის.<sup>43</sup>

<sup>42</sup> აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო. 2014

<sup>43</sup> მალა და ტიმისონი. 2014

46. 2016 წლის შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის მონაცემების შესაბამისად, ენერჯის ხარჯების წილი სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების ბიუჯეტში დაახლოებით 10%-ს შეადგენს და სავარაუდოდ, ბევრად უფრო მაღალია სოფლად მცხოვრები დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეობებისთვის. გარდა ამისა, ღარიბი მოსახლეობისთვის გამიზნული ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამა, როგორც ეს ზემოთ, 5.1 ცხრილშია ნაჩვენები, ნიშნავს ისეთ პროგრამების არსებობას, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტიანი და ალტერნატიული ენერჯის წყაროებზე შინამეურნეობათა წვდომის გაუმჯობესებას, მაშინაც კი როცა ისინი მომავალში აღარ იქნებიან ეროვნული სატყეო სააგენტოს პროგრამის მონაწილეები.

### ჩანართი 3 „ტყე არ არის შეშა“

2015 წელს სატყეო სექტორში კანონდარღულებისა და მართვის პროგრამამ (FLEG) და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავროვნო ორგანიზაციების ქსელმა (CENN)) დახმარება გაუწიეს საქართველოს მთავრობას სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაში, რომელიც შეძლებს სოფლის მოსახლეობას უზრუნველყოფას საკმარისი სათბობი რესურსებით. პროგრამა უზრუნველყოფს ტექნოლოგიებს ტყის რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენების გასაუმჯობესებლად და ენერჯის იმ წყაროების გასაფართოებლად, როგორცაა გაზი, ქვანახშირი, ქვანახშირის და ტორფის ბრიკეტები და თხილის ნაჭუჭი.

FLEG პროგრამამ და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ხაზგასმით აღნიშნეს, რატომ არ უნდა წარმოადგენდეს ტყე ერთადერთ ხელმისაწვდომ წყაროს საქართველოს შინამეურნეობების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეროვნული სატყეო სააგენტოს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით FLEG პროგრამის ჯგუფმა და CENN-მა მოამზადეს ქვეყანაში საშეშე მერქნის შექმნისა და მოხმარების შეფასება. „წინასწარი გამოთვლებით, ჩვენ გვჭირდება დაახლოებით 3,285,000მ3 საშეშე მერქანი წელიწადში თითქმის 550,000 ქართული ოჯახის სახლების გასათბობად,“ - განუმარტა მარიკა ქავთარიშვილმა, FLEG პროგრამის კოორდინატორმა, საქართველოს IUCN-ს. „ამჟამად ხელმისაწვდომი საშეშე მერქნის ყოველწლიური რაოდენობა დაახლოებით 188,000მ3-ს შეადგენს. შოკისმომგვრელი სინამდვილე არის ის, რომ არსებობს უზარმაზარი დეფიციტი. თუ ჩვენ მხოლოდ შეშის მეშვეობით ვაპირებთ ამ ხარვეზის შევსებას, მაშინ რამდენიმე წელიწადში საქართველოს ტყეები აღარ იქნება.“

[www.enpi-fleg.org/news/forest-is-not-firewood/#sthash.nv5m7sNO.dpf](http://www.enpi-fleg.org/news/forest-is-not-firewood/#sthash.nv5m7sNO.dpf)

## 6. სტატისტიკური ანალიზი – შემოსავლისა და განაწილების გავლენის ცვლილებები

### 6.1. შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი

47. ტყეზე დამოკიდებულ თემებში სიღარიბის დინამიკისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ არსებული ცოდნა შეზღუდულია. სიღარიბის დაძლევის ტენდენციებისა და მამოძრავებელი ძალის ანალიზი საქართველოში წარმოაჩენს მნიშვნელოვან ცვლილებებს ეროვნულ დონეზე სიღარიბის შემცირების ძირითად მაჩვენებლებში<sup>44</sup>. მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობათა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია სიღარიბის დინამიკის ანალიზის შეზღუდულ შესაძლებლობას გვაძლევს, იგი გამოავლენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ასოცირებულია ტყეზე დამოკიდებული თემების შინამეურნეობათა შემოსავალთან. 2010-2014 წლებში ეკონომიკური აქტივობიდან მიღებულმა შემოსავალმა დიდი როლი ითამაშა სიღარიბის შემცირებაში. ეს მკვეთრად განსხვავდება 2010 წლამდე არსებულ პერიოდთან, როცა სოციალური დახმარებით მიღებული შემოსავალი მეტად მნიშვნელოვანი იყო და ეკონომიკურ აქტივობას შეზღუდული გავლენა ჰქონდა.

48. შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი ჩატარდა ეკონომეტრიკის მოდელის გამოყენებით, რომელიც აკონტროლებს ცდომილებას. შემოსავლის ანალიზი ჩატარდა შემოსავლის წყაროებისა და საერთო ოჯახური შემოსავლის მიხედვით. შემოსავლის წყაროები მოიცავდა როგორც ტყესთან დაკავშირებულ, ისე სხვა აქტივობას. ანალიზის მოდელი<sup>45</sup> საგანგებოდ ისეა შედგენილი, რომ გამოაშკაროს საკვანძო ფაქტორები ოჯახურ დონეზე და სოფლის მასშტაბითაც. დასკვნები ინფორმატიულია და ამ რეგრესიული ანალიზის ინტერპრეტაციისას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას. ასეთი კავშირის გამოვლენა რთულია, რადგან შემოსავალი და მისი განმაპირობებელი ისეთი ფაქტორები, როგორცაა აქტივების მფლობელობა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები, ხშირ შემთხვევებში კრებსითად განისაზღვრება. ეს მოდელის იდენტიფიკაციის პრობლემას ქმნის. ცვლილებების დინამიკის დადგენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გამოკითხვა რამდენჯერმე მეორდება და პანელურ მონაცემებს იძლევა (ცხრილი 0.1).

<sup>44</sup> მსოფლიო ბანკი. 2017ა

<sup>45</sup> შემოსავლის მოდელი მითითებულია, როგორც  $\log(\text{საყოფაცხოვრებო შემოსავალი}) = f(X_{hh}, W_{\text{სოფელი}}, \text{რეგიონული მაჩვენებლები})$ , სადაც  $X_{hh}$  მიაწოდებს საყოფაცხოვრებო მახასიათებლებს, როგორცაა ასაკი, სქესი, ოჯახის თავის განათლება, აქტივების მესაკუთრეობა, სამოვრების ხელმისაწვდომობა, საერთო შრომით აქტივობებში ჩართულობა, სოლის ზომა და ფიქსირებული რეგიონული ეფექტები.

**ცხრილი 0.1 შემოსავლის განსაზღვრის ანალიზი: შემოსავალი წყაროს მიხედვით**

	შემოსავლის წყარო						საერთო შემოსავალი
	მიწათმ ტყე	ოქმედ.	საქონელი	ხელფასი	პენსია	თვით- დასაქმე ბული	
<b>საყოფაცხოვრებო აქტივები</b>							
მობილური						↑	
კომპიუტერი და ინტერნეტი	↑						↑
წყლის ტუმბო			↓				
გაზის/ელექტრო ღუმელი							↑
მექან. ხერხი							
მანქანა							↑
პირუტყვის რაოდენობა		↑	↑				↑
ცხვრის რაოდენობა				↓			
ღორების რაოდენობა			↑				
ფრინველის რაოდენობა							
<b>სამოვრებზე ადვილი ხელმისაწვდომობა</b>							↑
<b>საკვანძო სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა</b>							
შინამეურნეობის ზომა						↑	
მამაკაცი შინამეურნეობის თავის როლში							↑
<b>სოფლის ზომა*</b>							
ცხოვრობს საშუალო ზომის სოფელში	↑				↑		↑
ცხოვრობს დიდ სოფელში			↑				
<b>დაკვირვებების რაოდ.</b>	209	95	114	205	325	96	739
<b>R2</b>	0.26	0.46	0.53	0.26	0.43	0.37	0.35

\* პატარა სოფლებთან შედარებით

შენიშვნა: ზემოთ მიმართული ისარი აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით ეფექტს, ქვემოთ მიმართული ისარი კი სტატისტიკურად მნიშვნელოვან უარყოფით ეფექტს შემოსავალზე. მაგალითად, გაზის/ელექტროლუმის მქონე შინამეურნეობებს ნაკლები შემოსავალი აქვთ საქონლისგან, თუმცა აქვთ მეტი საერთო შემოსავალი. საშუალო ზომის სოფლებში მაცხოვრებელ შინამეურნეობებს მეტი შემოსავალი აქვთ ვიდრე პატარა სოფლებში მაცხოვრებლებს. მსგავსი კორელაცია არ შეინიშნებოდა დიდი და პატარა სოფლების შედარებისას. იხილეთ დანართი 2.

49. რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხუთ ცვლადს აქვს მნიშვნელოვანი კორელაცია სრულ საყოფაცხოვრებო შემოსავალთან. მათ შორისაა კომპიუტერზე/ინტერნეტთან წვდომა, გაზის/ელექტრო ღუმელები, მანქანის მფლობელობა, ასევე საძოვრების ხელმისაწვდომობა და პირუტყვის ქონა. საერთო ჯამში, თუკი ყველა სხვა ფაქტორი უცვლელი დარჩება, საშუალო საყოფაცხოვრებო შემოსავალი 30-40%-ით უფრო მაღალია კომპიუტერთან/ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, 20-23%-ით უფრო მაღალია გაზის/ელექტრო ღუმლის ქონის შემთხვევაში, და 23%-ით უფრო მაღალია საძოვრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში მათთან შედარებით, ვინც არ ფლობს ამ აქტივებს. ერთი სულით მეტი პირუტყვის ყოლა საყოფაცხოვრებო შემოსავალს 7%-ით ზრდის. სხვა შემთხვევაში - მაგალითად, მანქანის ქონისას - მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარებისას უფრო მოსალოდნელია რომ მაღალშემოსავლიანმა შინამეურნეობამ იქონიოს მანქანა და არა პირიქით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილის შეძენამ შეიძლება შემოსავლის მომტანი საქმიანობის საშუალება მისცეს შინამეურნეობას, უფრო მოსალოდნელია, რომ მანქანა იქონიონ უკვე მაღალშემოსავლიანმა შინამეურნეობებმა.

50. ტყისგან მიღებული შემოსავლის განხილვისას შედეგებმა აჩვენა, რომ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა ერთადერთი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორია: შინამეურნეობებს, რომლებსაც კომპიუტერზე/ინტერნეტზე მიუწვდებათ ხელი, 35%-ით ეზრდება შემოსავალი, როცა სხვა ფაქტორები უცვლელია. დამატებითი კვლევაა საჭირო, რომ დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კომპიუტერის/ინტერნეტის ქონასა და ტყისგან მიღებულ შემოსავალს შორის, თუკი ეს უკანასკნელი არსებობს.<sup>46</sup> აგრეთვე მნიშვნელოვანია სოფლის ზომა: საშუალო ზომის სოფლებში მცხოვრებ შინამეურნეობებს უკეთ შეუძლიათ ტყის რესურსებისგან შემოსავლის მიღება, ვიდრე პატარა სოფლების მცხოვრებლებს. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის დონეზე სხვა მახასიათებლების შესახებ მწირი ინფორმაციაა, შეიძლება სოფლის ზომას მიეწეროს სხვა ფაქტორებით გამოწვეული ეფექტები. მიწათმოქმედებისგან მიღებული შემოსავლების ანალიზმა აჩვენა, რომ პირუტყვის მფლობელობა კორელაციაშია საქონლისგან მიღებულ შემოსავალთან, რაც გასაკვირი არცაა. ამის მსგავსად, დამატებითი პირუტყვი მიწათმოქმედებისგან მიღებულ შემოსავალს ზრდის 11%-ით. ეს ადასტურებს მიწათმოქმედებასა და საქონლის აქტივობებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, რაც სხვა კვლევებიდანაც ირკვევა.

---

<sup>46</sup> მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ძნელი დასადგენია და უპრიანი იქნებოდა დამატებითი გამოკითხვის ჩატარება. თუმცა, მსოფიო მასშტაბით იზრდება კვლევის დაგროვილი შედეგები, სადაც აქცენტი კეთდება ეკონომიკურ აქტივობაზე ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გავლენაზე. მრავალ ქვეყანაში ამ შედეგებმა დაასაბუთა, რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობას თან სდევს შემოსავლის მომატება.

51. შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი გენდერული მიკერძობულობა მამაკაცების მიერ მართული შინამეურნეობების სასიკეთოდ შემოსავლის ყველა წყაროს მონაცემში ტყისგან მიღებული შემოსავლისა და სოციალური დახმარების პროგრამების გარდა. შინამეურნეობის თავისა თუ მისი მეუღლის მიერ განათლების მიღებას არ აქვს გავლენა შემოსავალზე. ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის შემთხვევაში, კაცის მიერ მართული შინამეურნეობების შემოსავალი დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატება ქალის მიერ მართული შინამეურნეობების შემოსავალს 30%-ით მეტი პენსიისა და თვითდასაქმების შედეგად 85%-ით მეტი შემოსავლის წყალობით. მნიშვნელოვანია, რომ უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ ქალის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი შინამეურნეობების მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობის ძირითადი მიზეზები ტყის მახლობლად მცხოვრებ თემებში.

52. იყო თუ არა ეს შედეგები მოსალოდნელი და რამდენად მიაწინებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე გამოვლენილი კორელაცია? მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და თითქმის ტრივიალურადაც კი მიიჩნევა დადებითი ურთიერთდამოკიდებულება შემოსავალსა და ისეთ პროდუქტიულ აქტივებს შორის როგორცაა პირუტყვი და საძოვარი მიწები, გაზის/ელექტროდუმელის ეფექტი შემოსავლის ზრდაზე ნაკლებადაა ცნობილი. ერთი სავარაუდო ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ თანამედროვე დუმელის მქონე შინამეურნეობებს შეუძლიათ საწვავი მერქნის მოხმარების შემცირება (იხილეთ ჩანართი 2, გვერდი 64). შესაბამისად, ამ შინამეურნეობებს აქვთ მეტი დრო ჩაერთონ შემოსავლის მომტან სხვა აქტივობაში. აგრეთვე, შეიძლება არსებობდეს გარეშე ფაქტორები, რომლებიც არაა დაფიქსირებული ამ კვლევაში და რომლებსაც შეეძლოთ განეპირობებინათ *ორივე* - აქტივების მფლობელობა და მაღალი შემოსავალი. დადებითი ურთიერთობა დუმლის ქონასა და შემოსავალს შორის მეტწილად ასახავს დადებით კორელაციას, მაგრამ *მიზეზ-შედეგობრივი* კავშირის დასამყარებლად დამატებითი კვლევა და მონაცემებია საჭირო.



## 6.2. არსებული სოციალური დახმარების პროგრამების მიზნობრიობის შეფასება

53. საქართველოს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნის პერიოდში მთავრობა შეეცადა აელორძინებინა ეკონომიკა სხვადასხვა რეფორმის მეშვეობით. მათ შორის იყო ფართომასშტაბიანი სოციალური დახმარების სისტემები, როგორცაა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა. 2016 წლის კვლევამ ინფორმაცია შეაგროვა სოციალური დახმარების მრავალი პროგრამის შესახებ, მათ შორის სოციალური დაზღვევის, სოციალური დახმარების საშემოსავლო და საწვავი მერქნის ვაუჩერების პროგრამების შესახებ. ეს პროგრამები მოიცავს პენსიებს, შეღავათებს ბავშვის ყოლაზე, ჯანდაცვას და სხვა სოციალური დახმარებას. ამ პროგრამების რეგიონულმა შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მონაცემები აქვს ევროპასა და ცენტრალურ აზიაში როცა მრავალი ინდიკატორი ერთობლივად განისაზღვრება; ისეთები, როგორცაა მიმართულობა, დაფარვის არეალი და სიღარიბე. თუმცა, ეროვნული კვლევები ნაკლებად ითვალისწინებს, თუ რამდენად კარგად აღწევს ეს პროგრამები სოფლის მეტად მოშორებულ და ტყის რესურსებზე დამოკიდებული თემების მოსახლეობამდე.

54. გასული ათწლეულებიდან დაგროვილი მსოფლიო მონაცემები ხაზს უსვამს, რომ სიღარიბის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში, არის მძაფრი გარე ზემოქმედების მიმართ მოწყვლადობა<sup>47</sup>. ღარიბები განიცდიან შემოსავლის მაღალ არასტაბილურობას, რაც განპირობებულია ბუნებრივ რესურსებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებით, როგორცაა ტყე, მიწა, წყალი და აგრეთვე მათი შეზღუდული შესაძლებლობებით, რომ მოახდინონ ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაცია. ამასთანავე, დამცრობილია ღარიბი შინამეურნეობების შესაძლებლობა, რომ გაუმკლავდნენ ბუნებრივ შოკებს, რადგან მათ შეზღუდულად მიუწვდებათ ხელი ფინანსურ აქტივებზე, როგორცაა კრედიტი და დაზღვევა რისკთან გასამკლავებლად. სიღარიბის აღმოფხვრის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია სოციალური დაზღვევა და სოციალური დახმარების პროგრამები, რომ ხალხს თავიდან აარიდონ გაღარიბება მათი ცხოვრების ნირზე სერიოზული დარტყმის მიღების შემთხვევაში.

---

<sup>47</sup> მსოფლიო ბანკი. 2001

55. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტყის რესურსებზე დამოკიდებულ შინამეურნეობებში სოციალური დაზღვევა და შემწეობა უსაფრთხოების მნიშვნელოვან ქსელს წარმოადგენს ეკონომიკური შოკის თავიდან ასარიდებლად. შესაბამისად, ამ პროგრამების მეშვეობით დახმარების მიმართვა მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ ზოგად გავლენას. ამასთანავე, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მართული საწვავი მერქნის ვაუჩერების პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მაცხოვრებელთათვის. სოფლის მაცხოვრებელთა უმეტესობა დამოკიდებულია საწვავი მერქნით გათბობასა და საკვების დამზადებაზე. ამიტომაც, საწვავი მერქნის ხელმისაწვდომობა კრიტიკულია შინამეურნეობის კეთილდღეობისთვის. აგრეთვე, საშუალო შინამეურნეობისთვის ენერჯის ღირებულება მთლიანი შინამეურნეობის ბიუჯეტის 10%-ს წარმოადგენს 2016 წლის შინამეურნეობათა ინტეგრირებული კვლევის თანახმად. ეს წილი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მაღალია ღარიბი შინამეურნეობებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული სატყეო ხელისუფლების საწვავის ვაუჩერი შემწეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ღარიბ შინამეურნეობებში და, შესაბამისად, მერქნული საწვავის ვაუჩერის პროგრამის ეფექტურობას კონკრეტულ მიზნებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ღარიბი შინამეურნეობების დოვლათზე.

56. სოციალური დაზღვევის, შემწეობის პროგრამის და ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამის განაწილებითმა შეფასებამ აჩვენა, რომ სოციალური დახმარების პროგრამები კარგადაა ფოკუსირებული და რეალურად აღწევს ყველაზე გაჭირვებულებს. ამ პროგრამებს ახასიათებს ორივე - მაღალი წვდომა სამიზნე მოსახლეობასთან და სოციალური დახმარების შემოსავლის დიდი წილი ამ მოსახლეობის მთლიან შემოსავალში (ცხრილი 0.2). განაწილება იზომება პროგრამის მიმღებთა პროპორციით შემოსავლის შკალაზე გამოყოფილი ხუთი მეხუთედის მიხედვით. ერთად-ერთი გამონაკლისია შემოსავლის შკალაზე მესამე მეხუთედი, რომელსაც მიმღებთა ყველაზე დიდი პროპორცია აქვს (72%). შემწეობის წილი შემოსავლებში უმაღლესია ყველაზე ღარიბ ჯგუფში (28%) ყველაზე მაღალშემოსავლიან ჯგუფთან შედარებით (1%-ზე ნაკლები).

57. ყველაზე აშკარა დასკვნა გამოდის ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამასთან მიმართებაში. შედეგები აჩვენებს<sup>48</sup>, რომ მაღალშემოსავლიანი ჯგუფი არაპროპორციულად იყენებს ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერის შეღავათებს, სადაც უმდიდრესი ჯგუფის დაახლოებით 50% საწვავ მერქანს იღებს ვაუჩერის პროგრამებით. ამის საპირისპიროდ, შემოსავლის უმდაბლეს ჯგუფს ეროვნული სატყეო სააგენტოს ვაუჩერების პროგრამის ყველაზე მცირე დაფარვის ზონა გააჩნია (35%). ამის შედეგად, უღარიბესი შინამეურნეობების დაახლოებით 46% დამოკიდებულია შეშის ბაზარზე, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი მაღალშემოსავლიანი ჯგუფისთვის მხოლოდ 40%-ია.

**ცხრილი 0.2 სოციალური დახმარების პროგრამების განაწილებითი ანალიზი: შემწეობა, სოციალური დაზღვევა და შეღავათები საწვავ მერქანზე**

	შემოსავლიანობა მეხუთედებში					საშუალო
	1	2	3	4	5	
(1) შემოსავლის მიღება სოციალური დახმარებიდან						
- ლარი, თითო შინამეურნეობაზე, ბოლო 12 წლის განმავლობაში	66.2	41.8	72.6	21.4	32.8	45.6
- საერთო შემოსავლის წილი %	27.8	3.7	2.0	0.7	0.9	7.1
(2) სოციალური დაზღვევის მიღება (მათ შორის ჯანდაცვა), %	82.1	83.9	88.0	94.8	93.5	88.3
(3) საწვავი მერქნის ხელმისაწვდომობა						
- მეტწილად ყიდულობენ ბაზარზე (%)	46.3	50.9	40.7	47.4	40.9	45.7
- მეტწილად იღებენ ვაუჩერისგან (%)	35.8	44.3	36.7	34.5	49.5	40.4

მეხუთედი 1: უმდაბლესი შემოსავალი; მეხუთედი 5: უმაღლესი შემოსავალი

<sup>48</sup> ეს შედეგები სტატისტიკურად შედარებით ნაკლებად სანდოა. დასკვნების დასადასტურებლად უფრო დეტალური ანალიზია საჭირო.

### 6.3. პოლიტიკის ცვლილების განაწილებითი გავლენის ანალიზი: სიმულაცია

58. მიუხედავად იმისა, რომ რთულია ტყის სექტორის პოლიტიკის, რეფორმებისა და საჯარო საინვესტიციო წინადადებების სრული რაოდენობრივი შეფასება, პოლიტიკის სიმულაცია შეიძლება დაგვეხმაროს სხვადასხვა პროგრამის შემოთავაზებათა განაწილების გავლენის სასარგებლო ილუსტრაციაში. ტყის რესურსით სარგებლობის არსებული ნიმუშიდან გამომდინარე, ღარიბი შინამეურნეობები არაპროპორციულ სარგებელს ნახავენ ტყისგან მიღებული შემოსავლების ზრდის შემთხვევაში. მე-7 თავში წარმოდგენილია რამდენიმე განსხვავებული, ზოგადი ვარიანტი ტყის სექტორის განსავითარებლად. მონაცემები არ იძლევა პოლიტიკაში ჩარევების ან კონკრეტული ინვესტიციების დეტალური ანალიზის საშუალებას. ამას უფრო დეტალური ინფორმაცია ჭირდება პოლიტიკის ცვლილებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ასეთი ანალიზი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა გამოკითხვა მეორდება და სერიულ მონაცემებს იძლევა სოფლის მოსახლე შინამეურნეობების შესახებ. არსებული მონაცემები საშუალებას იძლევა პოლიტიკის ერთი გამარტივებული სცენარი წარმოვადგინოთ სავარაუდო განაწილებითი ანალიზის თვალსაჩინოებისთვის, პოლიტიკის გატარების მარტივი სიმულაციის მეშვეობით. ანალიზი პასუხობს კითხვას „ვინ ნახავდა სარგებელს ტყისგან მიღებული შემოსავლების ზრდისას მიმდინარე მოხმარებისა და წარმოების ნიმუშის შემთხვევაში?“ პოლიტიკის სიმულაციის ეს სავარჯიშო ყურადღებას ამახვილებს შემოთავაზებული პროგრამების განაწილებით ანალიზზე შემოსავლის სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში.

60. ცხრილი 0.3 წარმოადგენს პოლიტიკის გავლენის შეჯამებას, რომელიც იზომება საყოფაცხოვრებო შემოსავლის ცვლილებით და იმის გათვალისწინებით, რომ ტყისგან მიღებული შემოსავალი სექტორის რეფორმების შედეგად 20%-ით გაიზარდა და ადგილი არ ჰქონია სცენარის არც ერთი სხვა მახასიათებლის ცვლილებას.

61. უღარიბესი ორი მეხუთედი ნახავდა ყველაზე დიდ სარგებელს; საშუალო შემოსავლები გაიზარდებოდა შესაბამისად 65%-ით და 33%-ით. ზედა ორი მეხუთედის შემთხვევაში კი შედეგი იქნებოდა 3%-იანი ზრდა. ეს შედეგები გასაკვირი არცაა, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ ღარიბი შინამეურნეობები დამოკიდებულნი არიან ტყესთან დაკავშირებულ დაბალშემოსავლიან აქტივობებზე, საშუალო შეძლების შინამეურნეობები კი - ხელფასებსა და პენსიებზე. ეს სიმულაცია საკმაოდ გამარტივებულია. რეალურ ცხოვრებაში, საჯარო ინვესტიციებისა და პოლიტიკის ქმედებების თანამიმდევრულობის განსაზღვრისა და პრიორიტეტიზაციისთვის საჭირო იქნებოდა რეჟიმის დეტალური მოდელირება და ხარჯების სარგებლის ანალიზი.

### ცხრილი 0.3 ტყისგან მიღებული შემოსავლის ზრდის განაწილებითი გავლენის ანალიზი

შემოსავლის მესუთედი	საყოფაცხოვრებო შემოსავალი $T_0$	სიმულირებული შემოსავალი $T_s$	% ზრდა $(T_s - T_0) / T_0$
1	419	690	65%
2	1500	1991	33%
3	3525	3835	9%
4	5307	5475	3%
5	9378	9634	3%
საშუალო	3926	4233	8%

T არის სიმულირებული შემოსავალი პოლიტიკის ცვლილების შედეგად. ტყის სექტორის რეფორმები ფართოდ არის განსაზღვრული და ამ შემთხვევაში მოიცავს ტყის აქტივობებში ჩართული შინამეურნეობების არსებული შემოსავლის 20%-ით ზრდას.

## 7. დასკვნები და რეკომენდაციები

62. ტყე და ტყის რესურსები, თუკი მოხდება მათი მდგრადი მართვა და კარგი რეგულირება, შეიძლება მნიშვნელოვნად წაადგეს სოფლის მოსახლეობის ცხოვრებას ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესების, სოციალური თანასწორობის გაზრდისა და საქართველოში გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშეწყობის სახით. ტყის რესურსები მოსახლეობას უზრუნველყოფს საწვავი მერქნით, გათბობისა და საკვების დასამზადებლად და, აგრეთვე, ტყის არამერქნული რესურსებით. ტყის რესურსები წარმოადგენს ეკონომიკური დივერსიფიკაციის შესაძლებლობას ისეთი საქმიანობების მეშვეობით, როგორცაა ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი, სატყეო მეურნეობა და ტყეზე დაფუძნებული ღირებულების შექმნის სხვა ჯაჭვები. ასევე, ტყე მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ფუნქციას ასრულებს, რომელიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობას, წყალმომარაგებას და ჯანსაღი გარემო პირობების შექმნას. ეს ნაშრომი იყენებს 2016 წლით დათარიღებულ ტყის სიახლოვეს მაცხოვრებელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კვლევას იმისათვის, რომ უპასუხოს ტყის მდგრადი განვითარების პოლიტიკის მთავარ კითხვას: „როგორ შეიძლება ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობისკენ მიმართულ პოლიტიკურ ჩარევას ჰქონდეს „სამმაგი სარგებელი“, რაც მოიცავს სიღარიბის აღმოფხვრას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ტყის მდგრადობას?“ ამ კვლევის ძირითადი დასკვნები და სიღარიბის აღმოფხვრისა და ტყის რესურსების გლობალური კვლევის დიდი ნაწილი ერთმანეთის მსგავს დასკვნამდე მიდის. ეს დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლებ სავარაუდოა *მხოლოდ და მხოლოდ, სხვა ცვლილებებისაგან იზოლირებულად*, ტყის რესურსების მოპოვებაზე (ხე-ტყე და არამერქნული რესურსები) დაყრდნობა იყოს ტყეზე დამოკიდებული თემებისთვის სიღარიბისგან თავის დაღწევის კარგი საშუალება.

63. კვლების შედეგები აჩვენებს, რომ ტყის რესურსები მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც იყენებს მერქნულ პროდუქტებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. გამოყენება უმეტესწილად არაკომერციულია და საარსებო მიზნებისთვის ხდება. ტყის რესურსები არაა მნიშვნელოვანი წყარო დასაქმებისა თუ ეკონომიკური აქტივობის მატებისთვის. 2013 წლით დათარიღებული ტყის ეროვნული კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ ტყეები უნდა განიხილებოდეს როგორც საქართველოს მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი. ტყის რესურსებით სარგებლობის არსებული მაგალითის გათვალისწინებით საეჭვოა მოხერხდება თუ არა ამ მიზნის მიღწევა და გახდება თუ არა ტყე საქართველოს განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა ამ სექტორისა და მისი პოტენციალის მიმართ ორი განსხვავებული მიდგომა. პირველი, რა არის იმის შესაძლებლობა, რომ გაუმჯობესდეს განვითარების გავლენა რესურსების მოხმარების არსებული ნიმუშის შემთხვევაში? და მეორე, რა ცვლილებებია საჭირო, რომ მოხდეს სექტორის გარდაქმნა ისე, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში ტყის ეროვნული კონცეფციით განსაზღვრული ხედვის განხორციელებას.

### ***7.1. კვლევის დასკვნები***

64. საკვლევი ჯგუფი საკმაოდ დიდი იყო და შედგებოდა 950 შინამეურნეობისგან. კვლევა მოიცავდა ფართე მონაცემებს სოფლის მოსახლეობის შემოსავლებისა და ტყის რესურსების გამოყენების შესახებ. ეს იყო საქართველოში ჩატარებული ამ ტიპის პირველი კვლევა და იგი შედგა იმ პერიოდში, როცა ქვეყანა ახორციელებდა ამბიციურ რეფორმებს სატყეო სექტორში. შესაბამისად, კვლევა გვაწვდის 2016 წლის საქართველოში არსებული სიტუაციის სტატისტიკურ სურათს და არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იცვლებოდა აღნიშნული მახასიათებლები დროთა განმავლობაში. ამასთანავე, ცალსახაა, რომ გარკვეული საკითხების დაზუსტებას მეტი ინფორმაცია ესაჭიროება. განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა უკეთ გაგვეგო როგორ იყენებს სოფლის მოსახლეობა ენერჯიას და ფასის ცვლილება რამდენად განაპირობებს საწვავის ტიპის არჩევანს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ტიპის კითხვებს - განსაკუთრებით სატყეო პროდუქტების გაყიდვისგან ფულადი შემოსავლის შესახებ - ცოტა რესპონდენტმა გასცა პასუხი და ეს საკითხი დამატებითი კვლევის საგნად რჩება.

65. საბოლოო ჯამში, საყოფაცხოვრებო კვლევა ეფუძნება ხალხის ცნობიერებას და მათ მიერ საკითხთა აღქმას. ყოველთვის არის კომუნიკაციაში გაუგებრობის ალბათობა და დასმული კითხვების განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა რესპოდენტთა მხრიდან. მაგალითად, გამოკითხული შინამეურნეობების 59% 'ყოველთვის' ან 'ძირითადად' იყენებს მერქანს საკვების დასამზადებლად. საცხოვრებელი ფართისა და წყლის გათბობისთვის მერქანის გამოყენების პროცენტულობა 91% და 54%-ია შესაბამისად. თუმცა, კითხვაზე სარგებლობენ თუ არა ისინი ტყის რესურსებით, მხოლოდ 21%-მა უპასუხა დადებითად. იმ შინამეურნეობების უმეტესობა, რომლებიც მერქანს იყენებს საყოფაცხოვრებო ენერჯის მისაღებად, არ ცნობს იმას, რომ ისინი ტყის რესურსებით სარგებლობენ<sup>49</sup>. თუკი ეს კვლევა უფრო ხშირად განმეორდებოდა, მეტი შანსი იქნებოდა, რომ დროთა განმავლობაში აღმოჩენილიყო განსხვავებები და მომხდარიყო პასუხებში უთანხმოებების გამოვლენა.

66. ამ შეზღუდვების გათვალისწინებითაც კი, კვლევამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომელიც ადრე არ იყო ხელმისაწვდომი. მონაცემები საშუალებას იძლევა ჩავატაროთ სიღარიბისა და ტყის რესურსები გამოყენებით განპირობებული საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის წინასწარი რაოდენობრივი ანალიზი. კვლევა პასუხობს, აგრეთვე, გასატარებელი პოლიტიკის შესახებ ნაშრომის დასაწყისში დასმულ კითხვებს (იხილეთ პარაგრაფი **Error! Reference source not found.** მე-**Error! Bookmark not defined.** გვერდზე). სამივე სტრატეგიულ კითხვაზე რეკომენდაციები ქვემოთაა წარმოდგენილი.

*სტრატეგიული კითხვა 1: საყოფაცხოვრებო შემოსავლის გამოსამუშავებლად რაოდენ მნიშვნელოვანია ტყის რესურსები და შეუძლიათ თუ არა მათ ტყის რესურსებზე დამოკიდებული შინამეურნეობების სიღარიბისგან დახსნა?*

---

<sup>49</sup> ეს ფერმებში ენერჯის მისაღებად ხეების გამოყენებითაც კი არ შეიძლება აიხსნას. ოჯახების 68% მერქან ბუნებრივი ტყეებიდან იპოვებს 20% სხვებისგან ყიდულობს, რისი ნაწილიც აგრეთვე ბუნებრივი ტყეებიდან უნდა მოდიოდეს. ფერმის ხეების წილი დაახლოებით 11% იყო.



67. ტყის და ტყის რესურსების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა საყოფაცხოვრებო შემოსავლის გამომუშავებაში, როცა ანალიზი ჩატარდა *გაწეული სამუშაოსგან მიღებული* შემოსავლის მეთოდით. გამოკითხული შინამეურნეობების თითქმის ნახევარი მონაწილეობას იღებდა ტყის პროდუქტების შეგროვებასა და გაყიდვაში. ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო საწვავი მერქნის და არამერქნული ტყის პროდუქტების შეგროვება საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით. კომერციული, მონეტარიზებული აქტივობა გაცილებით ნაკლებად გავრცელებული იყო და მხოლოდ რამდენიმე შინამეურნეობა იყო ჩართული ტყის პროდუქტებით ვაჭრობაში. თუმცა, ეს ის თემაა, სადაც კვლევამ ვერ შეძლო საკითხის სრული მოცულობის დაფარვა. შინამეურნეობათა საკმაოდ დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ სხვა შინამეურნეობებისგან ჰქონდათ შესყიდული საწვავი მერქანი. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ხდება ხე-ტყით ვაჭრობაც. რატომღაც ეს კვლევაში მკაფიოდ არ გამოვლინდა.

68. ტყის სერვისის წილი მთლიან შემოსავალში ცალსახად ბევრად უფრო მაღალია ღარიბი შინამეურნეობებისთვის, ვიდრე საშუალო შეძლების შინამეურნეობებისთვის. ღარიბთათვის ტყისგან მიღებული შემოსავალი სრულის დაახლოებით მესამედს წარმოადგენდა, როცა საშუალო შეძლების შინამეურნეობებისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2% იყო. საშუალო შეძლების შინამეურნეობებისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო ხელფასი და პენსიები, რაც მიუთითებს იმას, რომ ეს შინამეურნეობები - არცაა გასაკვირი - უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული თანამედროვე სექტორებთან. ამ შინამეურნეობებს შემოსავლის უფრო მრავალფეროვანი წყაროები ჰქონდათ. ღარიბ შინამეურნეობებს ტყის შემოსავლის ამდენ წყაროზე არ მიუწვდებოდათ ხელი და მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ტყის რესურსები და შემწეობა, როგორებიცაა პენსია და სოციალური დახმარება. საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს ტყისგან მიღებული შემოსავალი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ღარიბი შინამეურნეობებისთვის ვიდრე მატერიალურად მათზე ხელგამართული შინამეურნეობებისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ტყეები და ტყის რესურსებისგან მიღებული შემოსავალი სიღარიბის ჩიხია და მოსახლეობას ტყის რესურსებზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა არ შეუძლია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროებს მეტ დეტალს, დროში გადანაწილებულ მონაცემებს და იმ შინამეურნეობების ანალიზს, რომლებმაც მოახერხეს სიღარიბისგან თავის დაღწევა ან პირიქით, ხელახლა გაღარიბდნენ. თუმცა, ზედაპირული ინტერპრეტაციით, ტყისგან მიღებული შემოსავალი იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებსაც სხვა მხრივ ნაკლები შემოსავალი აქვთ, იქცა უსაფრთხოების ქსელად. საზოგადოებრივმა პროგრამებმა შეძლო ამ დამოკიდებულების შერბილება, მაგრამ ისინი მაინც ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლის 20%-ზე ნაკლებს ფარავენ.

69. ტყის პოლიტიკის შეცვლისას აუცილებელია ცვლილებების გავლენის ანალიზი სოფლის უღარიბეს მოსახლეობაზე. ტყის რესურსებისგან მიღებულ შემოსავალში არსებული განსხვავება ღარიბ და საშუალო შეძლების შინამეურნეობებს შორის უზარმაზარია - 39% 2%-თან - და სოფლის მოსახლეობის მასშტაბით საშუალო მონაცემების გამოყენებამ შეიძლება არაოპტიმალურ შედეგებამდე მიგვიყვანოს, თუ ეს განსხვავება არ იქნა გათვალისწინებული.

70. ბუნებრივი კატასტროფები გავლენას ახდენს სოფელში მცხოვრებთა საარსებო წყაროებზე, თუმცა ეს გავლენა არც ისეთი პირდაპირია როგორც მოსალოდნელი იყო. იმ შინამეურნეობების წილი, ვისზეც ბუნებრივმა შოკებმა და კატასტროფებმა უარყოფითი გავლენა იქონია, მაღალია (მაგ. 32% წყალდიდობების და გვალვის, თითქმის 66% კი სურსათის ფასების ზრდის შემთხვევაში). თუმცა, ზიანის გავლენის წილი ღარიბ და საშუალო შეძლების შინამეურნეობებში მცირედ განსხვავდებოდა და ზოგ შემთხვევაში საშუალო შეძლების შინამეურნეობები უფრო მეტად დაზარალდნენ, ვიდრე ღარიბი შინამეურნეობები. ეს დასკვნა მიგვითითებს, რომ მძაფრი გარე ზემოქმედების შედეგები შედარებით თანაბრადაა გადანაწილებული მოსახლეობაში.<sup>50</sup>

*სტრატეგიული კითხვა 2: ამცირებს თუ არა ტყისგან მიღებული შემოსავალი შემოსავლის უთანასწორობას? რაოდენ სარგებლიანია ღარიბი შინამეურნეობებისთვის ტყის რესურსების გამოყენება?*

71. პოლიტიკის სიმულირებამ მოგვცა გარკვეული მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სატყეო პოლიტიკამ გავლენა იქონიოს შემოსავლის განაწილებაზე. ზოგადად, ტყის გაუმჯობესებული მართვასა და ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობას ღარიბი შინამეურნეობებისთვის სასარგებლო განაწილებითი გავლენა აქვს. ეს კვლევა იძლევა ერთჯერად სურათს, ამიტომაც დინამიკური პოლიტიკის სიმულაციებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ამ შეზღუდვის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ტყის რესურსებისგან მიღებული შემოსავლის ზრდა განსაკუთრებით სარგებლიანი იქნება ღარიბი შინამეურნეობებისთვის. თუკი ტყისგან მიღებული შემოსავლები 20%-ით გაიზრდებოდა - მაგალითად, ქვემოთ 0 ქვემოთპუნქტში განხილული ინტერვენციების შედეგად - ეს ყველაზე მეტად უღარიბეს შინამეურნეობებს წაადგებოდათ. შემოსავლის შკალის ქვედა მეხუთედში მყოფი შინამეურნეობების შემოსავალი 65%-ით გაიზრდებოდა, ზედა მეხუთედში არსებული შინამეურნეობებისა კი - მხოლოდ 3%-ით<sup>51</sup>.

<sup>50</sup> მონაცემები არ იძლევა გავლენის სიღრმის შეფასების შესაძლებლობას (რამდენად სავალალო იყო გავლენა ოჯახზე), ხდება მხოლოდ ხდომილების შეფასება(მოექცა თუ არა ოჯახი გავლენის ქვეშ).

<sup>51</sup> თუმცა ეს არ მოიცავს ტექნოლოგიურ ცვლილებებს. ტყის რესურსებისგან მიღებული შემოსავლების გაზრდას სავარაუდოდ სჭირდება ტექნიკის მეტად გამოყენება, სპეციალიზებული მუშახელი და

72. მოხმარების შოკის დინამიკური ზემოქმედების და შემოსავლის თანასწორობის ცვლილების ანალიზი საჭიროებს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში დაკვირვებას და სერიული მონაცემების არსებობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ღარიბი და საშუალო შეძლების შინამეურნეობებისთვის დიდად განსხვავდება ტყის რესურსებისგან მიღებული შემოსავლის მნიშვნელობა. შესაბამისად, რთულია იმის შეფასება შემოსავლის ისეთი სახით ზრდა, რომელიც ტყის რესურსებთან დაკავშირებული არაა - მაგალითად სოციალური შემწეობის მეშვეობით - გამოიწვევდა თუ არა საერთო შემოსავლის მატებას ან შეუწყობდა თუ არა ხელს ჩანაცვლების პროცესებს, როგორცაა მაგალითად ტყის პროდუქტების შექენა და არა შეგროვება.

***სტრატეგიული კითხვა 3: როგორია კომერციული ზაციის დონე? რამდენად არაფორმალურია სატყეო სექტორი?***

73. კვლევიდან ჩანს, რომ კომერციული ფორმალური აქტივობა ტყის სექტორში მხოლოდ მცირე როლს თამაშობს საქართველოს სოფლებში. ეს საქართველოს ფორმალურ მშპ-სა და დასაქმებაში ტყის სექტორის მცირე წილშიც გამოიხატება. შინამეურნეობების მხოლოდ მცირე რაოდენობამ მიიღო ხელფასი ტყესთან დაკავშირებული საქმიანობისგან და გამოკითხულთა 10%-ზე საგრძნობლად ნაკლებმა შინამეურნეობამ (79 შინამეურნეობა 950 შინამეურნეობიდან) აჩვენა ტყის რესურსების გაყიდვებიდან მიღებული რაიმე სახის შემოსავალი და ამ 79 შინამეურნეობის შემთხვევაშიც წმინდა მოგება შედარებით მცირე იყო.

74. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რატომ ხდება ასე და რა ხერხით უნდა მოხდეს კომერციული საქმიანობის მდგრადი ზრდა. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სავარაუდოა მონაცემთა დამალვა. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სადაც ტყის - ან ნებისმიერი რესურსის - მოხმარება პრინციპში არალეგალურია, მოსახლეობას გააჩნია ბუნებრივი ტენდენცია რომ ინფორმაცია ბოლომდე არ გაამხილონ. როგორც ზემოთ განვიხილეთ, შინამეურნეობების 44%-მა თქვა, რომ შესყიდული აქვთ „მთელი“ თავისი შეშა (ეროვნული სატყეო ხელისუფლებისგან მიღებული შეშის გამოკლებით). თუმცა, შეშის მხოლოდ მცირე მიწოდება იყო. ეს აშკარად მიუთითებს იმას, რომ ან შეშის მარკეტი ძლიერ მონოპოლიზებულია მხოლოდ რამდენიმე მიმწოდებლის მიერ, ან მიწოდება არაფორმალურად ხდება. ეს ასევე მეტყველებს სექტორში არაფორმალურობის არსებობის მაღალ დონეზე.

---

სატყეო ეკონომიკის ფორმალიზება. სავარაუდოა, რომ ეს განაწილების გავლენას ღარიბთათვის ნაკლებ სასარგებლოს გახდიდა. მეორეც, ვინაიდან ხის უმეტესი გამოყენება საარსებო მიზნებისთვის ხდება, გარკვეულ ეტაპზე იგი გაჯერების წერტილს აღწევს, მაგალითად, როცა გათბობის ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფზე გავლენა შეიძლება გადაჭარბებული იყოს.

## 7.2. ტრანსფორმაციული ცვლილებების ხედვა: კეთილდღეობისკენ მიმავალი გზები

75. საქართველოში ტყე მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და კვლევის შედეგები ცალსახად აჩვენებს, რომ ტყის რესურსებს პირდაპირი გავლენა აქვს მოსახლეობის ცხოვრებაზე. ასე რომ, რამდენად შეუძლია ტყის რესურსების მდგრადი მართვისკენ მიმართულ ჩარევას პოლიტიკაში განაპირობოს „სამმაგი სარგებელის“ მიღება, რომელიც გულისხმობს სიღარიბის შემცირებას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და ეკონომიკურ განვითარებას? გლობალური მონაცემები გვიჩვენებს, რომ შორეულ ტყეთა სიახლოვეს მაცხოვრებელი შინამეურნეობები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს სტრატეგიები მოიცავს რესურსების მოპოვებას, მიგრაციას, ტყის მართვას სურსათის წარმოების მიზნით, შეშის მოპოვებას და სხვა ეკონომიკურ აქტივობას. საკვანძო კითხვა იმაში მდგომარეობს, შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებს შეუძლიათ თუ არა შეინარჩუნონ სიღარიბის კლება ტყის საფარის შემცირებისა და დეგრადირების გარეშე.<sup>52</sup>

---

<sup>52</sup> Angelsen. 2010; Hecht et al. 2015; Brack et al. 2016

76. ტყის რესურსების ამჟამინდელი მოხმარება - ენერგორესურსის გარდა - მცირეა და არ არის სათანადოდ გამოკვლეული ამ გამოკითხვით და სხვა სტატისტიკებით. ეს შეიძლება გულისხმობდეს, რომ პროდუქციის მოცულობა და მასთან დაკავშირებული დასაქმება ან ძალიან დაბალია, ან უმეტესობა არალეგალურია. ამ არარეგულირებადი გამოყენების გამოკვლევა განსაკუთრებით რთულია. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს არ გააჩნია ტყეების განახლებული ინვენტარიზაცია, რაც რესურსების ბაზაზე საიმედო ინფორმაციას აწარმოებდა. თუმცა, ტყე ფარავს მიწის ფართობის 40%-ს და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ტყის მთელი საფარი - 98% - ნაკლებად ხელმისაწვდომ მთიან უბნებშია, არის სატყეო მეურნეობის მდგრადი წარმოების შესაძლებლობა. ამჟამად ტყის გართობის მეხუთედი ფორმალურად არის გამოყოფილი წარმოებისთვის. რადგან ტყის საფარი ქვეყნის ასეთ დიდ ნაწილს ფარავს, მეტად მოსალოდნელია, რომ უკეთესი ინფორმაცია და ინვესტიციების განხორციელება საწარმოო სატყეო მეურნეობას მდგრადი გზით განავითარებს. თუმცა, ამ ეტაპზე, ამ პოტენციალის ზუსტი შეფასებების გაკეთება შეუძლებელია.<sup>53</sup> მთიანი რელიეფი არ ნიშნავს, რომ ტყის რესურსების გამოყენება შეუძლებელია. მაგალითად, ავსტრალიაში საწვავის ყოველწლიური წარმოება არის 12-13 მილიონი მ<sup>3</sup> და შვეიცარიაში - დაახლოებით 3მ<sup>3</sup>. ამკარაა, რომ ქვეყნები განსხვავდებიან და ამ ქვეყნებმა დიდი ინვესტიცია ჩადეს ხელმისაწვდომობასა და ტყის სხვა ინფრასტრუქტურაში. თუმცა, თუ საწარმოო სატყეო მეურნეობის პოტენციალი არსებობს, და თუკი მისი გამოყენება გვსურს, ეს საჭიროებს როგორც მდგრად მარეგულირებელ გარემოს და ინვესტიციებს ისეთ სფეროებში, როგორცაა ტყის ინფორმაცია (ინვენტარიზაციის ჩათვლით), პროფესიულ მომზადებას, და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას (ტყეებში გზების გაყვანის ჩათვლით).

---

<sup>53</sup> Garforth et al. 2016 მოჰყავს განსხვავებული მონაცემები წინა წლებთან შედარებით. **ეროვნული სატყეო ხელისუბლებამ 2013 წელს ივარაუდა, რომ 1,09 მილიონი მ<sup>3</sup> შეშა მოიჭრებოდა წლიურად, 2015 წელს კი 0.94 მილიონი მ<sup>3</sup> წლიური ნამატი ივარაუდა. 2016 წელს კი განაცხადა, რომ მდგრადი მოპოვება მხოლოდ 0.30 მილიონი მ<sup>3</sup> იქნებოდა. ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ივარაუდა, რომ საქართველოში (აფხაზეთს გამოკლებით) მდგრადი მოპოვება 0.60 მილიონი მ<sup>3</sup> იქნებოდა. ვარაუდების ასეთი ფართე მაჩვენებლები თვალსაჩინოს ხდის განახლებული და სანდო ინვენტარიზაციის მონაცემების სასწრაფო საჭიროებას.**

77. სიღარიბის შემცირებასა და ტყის რესურსების გამოყენებას შორის არსებული კავშირების შესაზებ მონაცემების დიდი კრებული, ამ კვლევისა და თურქეთში ჩატარებული მსგავსი კვლევის თანხლებით, მსგავს დასკვნებს იძლევა: ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მხოლოდ ტყის რესურსებზე დამოკიდებულებამ (მერქნის და არამერქნული რესურსების ჩათვლით) ტყეში მაცხოვრებელი თემები სიღარიბისგან იხსნას<sup>54</sup>. სატყეო რესურსების მოზიდვა ამ თემების სიღარიბისგან დასახსნელად საჭიროებს საზოგადოებრივ ინვესტიციას ტყის მდგრადი მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განმტკიცებისა და ტყის ინდუსტრიაში მიწოდების ჯაჭვებთან და ბაზრებთან დაკავშირების მიზნით. სატყეო პროდუქტების მოპოვება, განსაკუთრებით ტყის რესურსებზე დამოკიდებული ღარიბი შინამეურნეობების მიერ, მეტწილად ემსახურება შემოსავლის შემცირების კომპენსაციას და არა სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისთვის მდგრადი გზის განპირობებას. ეს შესაძლოა სიღარიბის ჩიხი იყოს. მეორე მხრივ, მერქნის მოპოვება და შეშის დამუშავება კომერციულ დონეზე ხშირად ხდება ტყის თემის გარეთ მყოფი პირის მიერ, რადგან მათ უკეთ მიუწვდებათ ხელი თანამედროვე ტექნოლოგიებზე და აქვთ ტრანსპორტირების მეტი შესაძლებლობაც.

78. მდგრადად მართული და რეგულირებული ტყის რესურსები შეიძლება იყოს შემოსავლის მნიშვნელოვანი დამატებითი წყარო სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების მხარდასაჭერად, ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, სოციალური თანასწორობის გასაზრდელად და გარემოს მდგრადობის გასაუმჯობესებლად. ტყის რესურსებს შეუძლია უზრუნველყოს მნიშვნელოვანი შემოსავალი მერქნის მოპოვების მეშვეობით და დააკმაყოფილოს ენერგეტიკული მოთხოვნა ტყის საფარის დეგრადირების გარეშე. ამასთანავე, ტყის რესურსებსა და სერვისებს შეუძლია გააუმჯობესოს ეკონომიკური დივერსიფიკაციის საშუალებები, როგორებიცაა ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი და ტყის მართვაში დასაქმება.

---

<sup>54</sup> E.g. Wunder. 2001; Wunder et al. 2014a, b; World Bank 2017b.

79. 2017 წელს მსოფლიო ბანკმა ტყიან ლანდშაფტებში კეთილდღეობის გზების კონცეპტუალური ჩარჩო წარმოადგინა. ჩარჩო, სახელწოდებით „გზა კეთილდღეობისკენ“ ანუ პ.უ.ი.ბ.ე. (P.R.I.M.E)<sup>55</sup>, ეფუძნება მსოფლიო ბანკის პროექტების ლიტერატურას, პროექტების განხორციელებიდან შემენილ გამოცდილებას და დაგროვილ ფაქტებს, და უკანასკნელ ათწლეულებში ტყის სექტორში გაკეთებულ ინვესტიციებს. ამ ჩარჩოს მთავარი გზავნილი ისაა, რომ ტყეების ლანდშაფტებში სიღარიბის აღმოფხვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აძლებს ადგილობრივ მოსახლეობას დაწესებული პოლიტიკა - ორივე, საჯარო და კერძო - იმის საშუალებას, რომ გამოიყენონ რესურსები, რომლებზეც ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი (მაგ. სამუშაო, მიწა და ტყე) ჩარჩო განსაზღვრავს ხუთ სფეროს, რომლებიც დაინტერესებულმა მხარეებმა - როგორც არიან მთავრობა, განვითარების ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და თავად ტყის რესურსებზე დამოკიდებული თემები - პრიორიტეტულად უნდა ცნონ (ჩანართი 4). პოლიტიკამ ასევე უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც შინამეურნეობებს მისცემს საშუალებას, ისარგებლონ სტრუქტურული ცვლილებებისგან განპირობებული ახალი შესაძლებლობებით, როგორცაა ქალაქის საშუალო კლასის ზრდა, სწრაფად მზარდი გლობალური ტურიზმი და ახალი ტექნოლოგიები (მაგ. ციფრული ტექნოლოგია, ინტერნეტი და ელექტრონული კომერცია).

---

<sup>55</sup> ჩარჩოს საკვანძო კომპონენტებიდან: პროდუქტიულობა, უფლებები, ინვესტიცია, ბაზარი და ეკოსისტემა.

## **ჩანართი 2    პ.უ.ი.ბ.ე. - გზა კეთილდღეობისკენ**

ხუთი ფართო გზა შეიძლება დაეხმაროს ტყეზე დამოკიდებულ ღარიბ შინამეურნეობებს კეთილდღეობის მდგრად გზაზე დადგომაში. ეს გზები განსაზღვრავენ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას და ეფუძნება იმ იდეოლოგიას, რომ თავად ტყე დარჩება ხელშეუხებელი.

**პროდუქტიულობა:** შრომის და რესურსების პროდუქტიულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია. ტყიან ლანდშაფტებში შრომის პროდუქტიულობის გაუმჯობესება შესაძლებელია ტყის მდგრადი მართვის ინდივიდუალური და თემური უნარების გაძლიერებით. რესურსების პროდუქტიულობა შეიძლება გაუმჯობესდეს. რესურსების პროდუქტიულობა შეიძლება გაუმჯობესდეს კაპიტალის საინფუზიო საშუალებებით, როგორცაა პორტატული ხის ქარხნები, ტყის ხანძრებისა და მავნებლების მართვის მეშვეობით, ან ხეების პლანტაციების მეშვეობით. ასოცირებული ტექნოლოგიები, პოლიტიკა და შესაძლებლობის გამაძლიერებელი ქმედება საჭიროა აკმაყოფილებდეს ქალების, მკვიდრი მოსახლეობის და სხვა გამოყოფილი შინამეურნეობების მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს რომ უღარიბესებიც ნახვენ სარგებელს.

**უფლებები:** დოვლათის დაგროვება სიღარიბისგან თავის დაღწევის არსებითი გზაა. ერთი სტრატეგია ისაა, რომ ღარიბი შინამეურნეობების დოვლათი გაიზარდოს ბუნებრივ კაპიტალზე მათი უფლებების განმტკიცებით. ლიტერატურის დიდი ბაზა და ადგილობრივი გარემოსდაცვითი მოძრაობები აღწერენ სიღარიბისგან თავის დაღწევაში თემის უფლებების მნიშვნელოვან ტყის რესურსების გამოყენებასა და გაყიდვასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა და სხვა გამოყოფილი ჯგუფების გაძლიერება ტყის თემებში, რომ მათაც გააჩნდეთ უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

**ინვესტიცია:** ტყეების ლანდშაფტებში სიღარიბის დაძლევა შეუძლებელი იქნება დამატებითი ინვესტიციების და საზოგადო სერვისების გარეშე. ტყის რესურსებთან დაკავშირებული გზა კეთილდღეობისკენ მხოლოდ მაშინაა ეფექტური, თუ ღარიბ მოსახლეობას გააჩნია ინკლუზიური და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის გაფართოების, ტრანსპორტის და მობილური ტელეფონების სერვისები. მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციონალური ღონისძიებების როლი ინფორმაციის მიწოდებაში, ადგილობრივი ინოვაციების დანერგვაში და სადაზღვევო რისკების დაზღვევაში, რომლების რეაგირებენ გენდერულ საკითხებზე.

**ბაზარი:** შემოსავლის გამომუშავება და დივერსიფიცირება მოითხოვს მცირე და საშუალო მერქნის და არამერქნული საწარმოების გაძლიერებას და ბაზრების ხელმისაწვდომობას. მცირე რაოდენობის მაღალი ხარისხის არამერქნული ტყის



პროდუქტების ბაზრები წარმოადგენს ერთ-ერთ გზას, რომელიც სავარაუდოდ ქალებისთვის უფრო მომგებიანია. მერქნის სერტიფიცირება და საექსპორტო ბაზრები ალტერნატიულ, უფრო ფართო მიდგომას გვთავაზობს. ეს გზა შეიძლება საჭიროებდეს ფრთხილ დამუშავებას, რომ პასუხობდეს ქალთა, მკვიდრ მოსახლეთა და ახალგაზრდათა უპირატესობებს, და აგრეთვე აკმაყოფილებდეს კონსერვაციის მოთხოვნებს.

**ეკოსისტემები:** ეკოსისტემები და მათი ფარული სერვისები კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, პოლიტიკის ინსტრუმენტებმა, როგორცაა ეკოტურიზმი, გადასახადები ეკოსისტემების სერვისებისთვის და ნახშირბადის ბაზრები, დაამტკიცეს, რომ წარმოადგენენ საჭირო მექანიზმებს ეკოსისტემების და მათგან მიღებული სარგებლის რეგულაციაში. მნიშვნელოვანია, რომ ეკოსისტემების სერვისებისგან ფულადი და არაფულადი დახმარების მიღების მოთხოვნილება გაღვივდეს ღარიბ შინამეურნეობებში და ამ ღარიბი შინამეურნეობების ქალებში.

SOURCE: [HTTPS://WWW.PROFOR.INFO/CONTENT/PRIME-PATHWAYS-TOWARD-PROSPERITY](https://www.profor.info/content/prime-pathways-toward-prosperity)

80. საყოფაცხოვრებო კვლევები - ისეთი, როგორც საქართველოში ჩატარდა - გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ხსენებული ჩარჩოს არსებითი ელემენტების შესახებ და კეთილდღეობისკენ მიმავალი გზის ძიება უნდა დაიწყოს საყოფაცხოვრებო დონის ყველაზე არსებითი განმაპირობებელი ფაქტორების მამოძრავებელი ძალების ანალიზით. ამჟამად, ტყის რესურსები წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს სოფლის დარიბი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. მაგრამ ტყის რესურსები არ გამხდარა - და არცაა მოსალოდნელი რომ გახდეს - გრძელვადიანი დივერსიფიკაციის და სოფლების ეკონომიკის გამაძლიერებელი ელემენტი. შეიძლება ითქვას, რომ მოხმარების არსებული ნიმუში ჰგავს „დაბალი დონის წონასწორობას“ სადაც არსებული გარემო არ იძლევა ადეკვატურ სტიმულს, რომ მოხდეს ინვესტიცია უფრო მომგებიანი ღირებულების ჯგუფებში, ეკონომიკურ აქტივობაში და სამუშაო ადგილების შექმნაში. პ.უ.ი.ბ.ე. ჩარჩო უზრუნველყოფს ზოგად სტრუქტურას, რათა გამოავლინოს ტყის რესურსებზე დამოკიდებული ეკონომიკის განვითარების განმაპირობებელი ინტერვენციები. საქართველოში ტყის საფარის სიუხვის მიუხედავად, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მხოლოდ ეს რესურსი საკმარისი იქნება სოფლებში სიღარიბის აღმოსაფხვრელად. თუმცა, ტყეს შეუძლია იყოს ეკონომიკური დივერსიფიკაციის ნაწილი, რაც საჭიროა ეკონომიკური მდგრადობისთვის. ტყის ეროვნული პოლიტიკა, პირობები და პარამეტრები - ძლიერი, სუსტი მხარეები და პოლიტიკის მიზნები - განისაზღვრა საქართველოს ტყის ეროვნულ კონცეფციაში (იხილეთ თავი 2 above). დოკუმენტი ითვალისწინებს სასარგებლო ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ტყეების როლის ზრდას. ტყის ეროვნული კონცეფცია გამოავლენს პრობლემებს, პრინციპებს და პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც ასახავს პ.უ.ი.ბ.ე. ჩარჩოში არსებულ ყველა ელემენტს. ამ ელემენტების იდენტიფიცირება ქვემოთ მოცემულ რუკაზეა შესაძლებელი. ეს კავშირები უზრუნველყოფს სავარაუდო სამოქმედო გეგმის ან ტყეზე დაფუძნებული ეკონომიკისა და სოციალური განვითარების რუკის იდენტიფიცირებას.

ცხრილი 0.1 ტყის ეროვნული კონცეფცია და პ.უ.ი.ბ.ე. ჩარჩო


პ.უ.ი.ბ.ე. ელემენტები	ტყის პოლიტიკის ელემენტები ტყის კონცეფციაში		
	პრობლემა	პრინციპი	გადაწყვეტის გზა
პროდუქტიულობა		- სატყეო მეურნეობა მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილია	- ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება
უფლებები		- „ყველა ტყე ლოკალურია“	- ტყის საკუთრება, მართვა და მოხმარების უფლებები
ინვესტიციები	- არაადეკვატური დაფინანსება		
ბაზრები	- არასრულყოფილი კანონმდებლობა, ტყის მართვის სუსტი ინსტიტუტები და ცუდი აღსრულება - სიღარიბის მაღალი დონე		
ეკოსისტემები		- ტყეების მდგრადი მართვის პრინციპი - თავიდან არიდების პრინციპი ტყის დამცავი ფუნქციებისა და მათი ეკოლოგიური ბალანსის შესანარჩუნებლად	- კლიმატის ცვლილების გავლენასთან ადაპტაცია

<p>ზოგადი საკითხები, რომლებიც ვრცელდება ყველა პ.უ.ი.ბ.ე. კომპონენტზე</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- საკანონმდებლო ჩარჩო</li> <li>- სატყეო სექტორის ადმინისტრირება</li> <li>- ტყის მართვის დაწესებულებები</li> <li>- განათლება და მეცნიერება</li> </ul>
--	---

81. პროდუქტიულობა არის ეკონომიკურად მდგრადი ტყით სარგებლობის საფუძველი. კარგად ფუნქციონირებადი ბაზრების და გამოყენებული რესურსების სათანადო გამოყენება შეიძლება განპირობებულ იქნას სწორი პოლიტიკითა და საზოგადოებრივი ინვესტიციებით. პროდუქტიულობა მთელი რიგი ფაქტორების საბოლოო შედეგია. ზოგი ფაქტორი ბაზრის მონაწილეებზეა დამოკიდებული, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებზე, ხოლო დანარჩენი დამოკიდებულია სახელმწიფო ქმედებებზე. შესაბამის საწარმოო ტექნოლოგიებში ინვესტიციები თავად ბიზნესებიდან უნდა გაკეთდეს. თუმცა, ბიზნეს ინვესტიციების დონე დამოკიდებული იქნება ეკონომიკურ და პოლიტიკური სტაბილურობაზე, უფლებამოსილების ვადებზე და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. საჯარო ჩარევით პროდუქტიულობის გაუმჯობესების ერთი კონკრეტული გზაა ტრეინინგი და განათლება. კარგად განათლებული მუშახელი უფრო პროდუქტიულია, ტექნოლოგიურ ცვლილებებს უწყობს ხელს და აუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, ზოგადი პროდუქტიულობის გაუმჯობესება ქმნის კომპრომისს. შრომის პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად საჭიროა კაპიტალური ინვესტიცია, რამაც შესაძლოა მუშახელის შემცირება გამოიწვიოს. ეს შეინიშნება მრავალ ქვეყანაში, სადაც ტყის საქმის მექანიზებამ გამოიწვია ტყის საერთო მუშახელის შემცირება. მაგალითად, შვედეთში საერთო დანაწევრება 25%-ით გაიზარდა 1975-დან 2013-მდე, როცა მუშახელის რაოდენობა განახევრდა (სურათი 0.1) რამაც შრომის პროდუქტიულობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

**სურათი 0.1 დასაქმება და წარმოება შვედეთის სატყეო მეურნეობაში 1975–2013**

(1975=100)



82. ტყის ეროვნული კონცეფცია ხელს უწყობს ტყის მართვის დეცენტრალიზებას და აძლიერებს ადგილობრივი თემების უფლებას გამოიყენონ და ისარგებლონ ტყის რესურსებით. კონცეფცია აგრეთვე ცნობს იმის საჭიროებას, რომ განსხვავებულ ტყეებს განსხვავებული მართვა და საკუთრების სტრუქტურები ესაჭიროება. ზოგი ტყე შეიძლება გადაეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ხელი შეუწყონ ტყის დაცვას და მდგრად გამოყენებას. ტყის განკარგვის უფლება გლობალურად მიჩნეულია, როგორც ტყის მდგრადი მართვის საკვანძო ელემენტი. თუმცა, ტყის განკარგვის უფლება რთული საკითხია და არ გააჩნია ნათელი წესი, რომელიც ყველა სიტუაციას კარგად მოერგება. ზოგიერთ ქვეყანას, მაგალითად ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანას და ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ ნაწილს, აქვთ წარმატებული კერძო სატყეო მეურნეობის პრაქტიკა, სადაც მრავალი მცირე არასამეწარმეო სატყეო მეპატრონე ფართო სატყეო მეურნეობებს ამარაგებს საწვავი ხის კარგად ფუნქციონირებადი ბაზრების ბევრ სხვა ქვეყანაში, მაგალითად აღმოსავლეთ ევროპაში, ტყეების უმეტესობა სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი გამოყენება ორგანიზდება პირდაპირი სახელმწიფო მართვის მეშვეობით, ან კერძო სატყეო საწარმოებთან შეთანხმებით.

83. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მომხმარებელთა უფლებების გადანაწილება და გაძლიერება რამდენიმე გზით შეიძლება მოხდეს, საჭიროა რამდენიმე ძირითადი პრინციპის გათვალისწინება. პირველ რიგში, **უფლება და მოვალეობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და უნდა იყოს დაბალანსებული. ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლება მიბმულია ტყის პროდუქციის მდგრად და ეფექტურ გამოყენებაზე პასუხისმგებლობასთან.** მაგალითად, ტყის რესურსების კომერციულ გამოყენებას თან უნდა სდევდეს ჭრის სათანადო პრაქტიკა. ამდენად, ადგილობრივ საზოგადოებებში მომხმარებელთა უფლებების ზრდა საჭიროებს შესაძლებლობების გაფართოებას, სწავლებას, ცნობიერების ამაღლებას, ეროვნული მასშტაბის პარტნიორობას მთავრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ბიზნეს ასოციაციების ჩათვლით. ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი და საბოლოოდ მიგვიყვანს საქართველოში ტყის რესურსების მოხმარების სახეცვლილ სოციალურ კონტრაქტამდე.

84. **ეკონომიკური აქტივობების განვითარება და ტყის მთელი სექტორის რეფორმა საჭიროებს ინვესტიციებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან.** საქართველოს ტყის მართვის სისტემა და ადმინისტრაცია ტრანსფორმაციულ ცვლილებებს განიცდიან, რასაც დასჭირდება ტყის რესურსების შესახებ ცოდნის გაფართოება. ცოდნის ეს ბაზა მოიცავს როგორც განახლებულ ეროვნულ სატყეო ინვენტარს, რაც მეტად დაგვიანებულია, ასევე ინვენტარის მუდმივად განახლების შესაძლებლობას. წარმატებულ ტრანსფორმაციას სჭირდება ინფორმაციის მართვისა და გავრცელების გაუმჯობესებული შესაძლებლობა და აგრეთვე ტყის რესურსების მართვის განახლებული და ეფექტური მართვის ადამიანური და ფიზიკური რესურსების გაუმჯობესება. ამ უნარების გამომუშავებას საჯარო ინვესტიციები ჭირდება. სათანადო ინვესტიციების გარეშე ფართო და მონაწილეობითი პროცესი, რომელმაც ამჟამინდელ პოლიტიკამდე მოგვიყვანა, სავარაუდოდ ვერ მიაღწევს შედეგებს.

85. საქართველოს ტყეების უმეტესობა მთიან რეგიონებშია და ეს ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ხელმისაწვდომობის პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იქნება ტყის გზების ქსელში ინვესტიცია, რომ შემცირდეს ხე-ტყის ტრანსპორტირების მაღალი ხარჯები, რაც ინდუსტრიას არაკონკურენტუნარიანს ქმნის<sup>56</sup>. ტყის გზების გაუმჯობესებული ქსელით მხოლოდ სატყეო მეურნეობა არ იხეირებს. გზის გაუმჯობესებული სისტემები სარგებელს მოუტანს ტურიზმს და ტყის მართვის სხვადასხვა აქტივობებს, მაგალითად ტყის ხანძრების მართვას. სექტორის რეფორმაციის პროგრამის სრული ხარჯები ჯერ არ შეფასებულა. თუმცა, მეტად მოსალოდნელია, რომ დასჭირდეს შიდა და საერთაშორისო ფინანსების კომბინაცია. შესაბამისად, საჭიროა მონაწილეობა მიიღონ ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორც არის მსოფლიო ბანკი და განვითარების ორმხრივი პარტნიორები, ევროკავშირის ჩათვლით.

86. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინვესტიცია საქართველოს ტყის რესტრუქტურისა და საფუძველს ააშენებს, სატყეო პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავებისთვის აუცილებელია კერძო ინვესტიციები. ეს ინვესტიციები განხორციელდება კერძო პირების მიერ მათ ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ინდივიდუალური ინვესტიციების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფოს მხოლოდ შეზღუდული როლი ექნება. ზოგადად, საქართველო კერძო ბიზნესის წარმართვისთვის ხელსაყრელი ადგილია. თუმცა, ტყის სექტორს გააჩნია მახასიათებლები, რომლებმაც, შესაძლოა, დაამცრონ საბაზრო კვლევის სარწმუნოება. გამორიცხულია არ არის, მაგალითად, სატყეო ინვესტიციების საინვესტიციო კლიმატის შეფასებისას ურბანული მიკროპირების არსებობა.<sup>57</sup> კერძო ინვესტიცია მოდის სხვადასხვა წყაროებიდან, რომლებიც მერყეობს დიდი, საერთაშორისო ფირმებიდან ადგილობრივ, პატარა და საშუალო ზომის მეწარმეებამდე, და შეიძლება მოიცავდეს მეწარმეებს, რომელთაც ხის პატარა საწარმოები აქვთ წამოწყებული ან თვითდასაქმებულნი არიან ხის პროდუქციის წარმოებაში. ყველა ინვესტორი, მნიშვნელობა არ აქვს მათ მასშტაბს და ისტორიას, მიზნად ისახავს მდგრადი და რისკებთან შესაბამეული მოგების ნახვას თავისი ინვესტიციებიდან. ეს კი დამოკიდებულია ინვესტორის ბიზნეს უნარებზე, ბაზრის ზოგად მდგომარეობაზე და ბიზნეს ციკლზე, რომელზეც გავლენის მოხდენა შეუძლებელია. მაგრამ აგრეთვე ბევრია დამოკიდებული მთავრობის პოლიტიკაზე და საჯარო ინვესტიციებზე. ქვემოთ მოყვანილი **Error! Reference source not found.** განიხილავს კერძო ინვესტიციების შეზღუდვებს, რაც საჯარო ინვესტიციებით შეიძლება გაუმჯობესდეს.

<sup>56</sup> Garforth, M. et als. 2015

<sup>57</sup> მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წელს ჩატარებული და ბიზნესის კეთების კვლევა და ფინანსების საერთაშორისო კორპორაცია საქართველოს ბიზნეს გარემოს ევროპისა და ცენტრალური აზიის (ოპეკის ქვეყნების გამოკლებით) ქვეყნებში მე-3 ადგილს ანიჭებს, ზოგადად კი მე-16. ტყის სექტორში ბიზნესის კლიმატის კვლევების განსახილველად იხილეთ Castrén, T., Katila, M., და Lehtonen, P. 2014a.





### ჩანართი 3 პოლიტიკიდან გამომდინარე შეზღუდვები ტყის სექტორში კერძო ინვესტირებისთვის

ბევრ ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის დაფინანსების შეზღუდვები მოიცავს შემდეგს:

- *განვითარებად ქვეყნებში დიდი რეალური და წარმოსახვითი რისკი: ეს რისკები მოიცავს პოლიტიკურ რისკს, მიწის განკარგვის დაუცველი უფლება, ვალუტასთან დაკავშირებულ რისკს, სოციალურ და გარემო რისკებს, აგრეთვე რეპუტაციის რისკს. ამ რისკების შერბილება შესაძლებელია მიწის განკარგვის უფლებების სისტემებისა და მაკროპოლიტიკის გაუმჯობესებით.*
- *შიდა და უცხო კაპიტალის და სესხის დაფინანსების მცირე ხელმისაწვდომობა კომბინირებული ფინანსური ინსტიტუციების შეზღუდულ ცნობიერებასთან სატყეო სექტორის ინვესტიციებთან დაკავშირებით: საერთაშორისო კაპიტალის დაფინანსების მოპოვება რთულია, განსაკუთრებით პატარა პროექტებისთვის. ვალის დაფინანსება ხშირად მხოლოდ საკმარისი კაპიტალის ქონის შემთხვევაში ხდება, ასე რომ კაპიტალის და ვალის დაფინანსება ხშირად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს დაფინანსება ხშირად ტყის პოლიტიკის უშუალო ფარგლებს მიღმაა და მოითხოვს ფინანსების მარეგულირებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობას.*
- *განვითარებადი ეკონომიკის სფეროებში ვალის დაფინანსების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა ადგილობრივი საბანკო სექტორის დაბალი ლიკვიდურობის გამო: სატყეო ბიზნესებს, განსაკუთრებით მდგრადობის გავლენების მიუხედავად მოკლევადიან მოგებაში დაინტერესებულ ბიზნესებს, უაღრესად უჭირთ ფინანსების მოზიდვა. თუკი ვალის შიდა დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება, საპროცენტო განაკვეთი შეიძლება უკიდურესად მაღალი იყოს ადგილობრივ ვალუტაში და ვალის გადახდის პერიოდები კი მეტად მცირე - ექვსი თვიდან სამ წლამდე.*
- *სატყეო რესურსების და ინვესტიციის შესაძლებლობების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია: ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს ინვესტიციის პროექტების საწყისი დანახარჯების გაზრდას და ინვესტიციის ციკლის განმავლობაში ტრანზაქციის მაღალ ხარჯებს პატარა და საშუალო ზომის პროექტებისთვის. მაგალითად, საქართველოში ადჭურვილობის შესახებ მონაცემების არასაკმარისობამ შეიძლება სექტორში კერძო მონაწილეები შეაფერხოს.*
- *ინვესტიციების ზოგიერთი ასპექტის საზოგადოებრივი საქონლის ბუნება არ გამოიხატება ფულადი ნაკადების სარგებლიანობაში: ეს გარემოს სერვისების ბაზრების არასაკმარისი რაოდენობის ბრალია.*

ადაპტირებულია: Castrén, T; Katila, M.; Lehtonen, P. and Lindroos, K. 2014b.

87. საბოლოო ჯამში, თუკი ტყე უნდა გახდეს ძლიერი ეკონომიკური საქმიანობის წყარო, ტყის რესურსების საარსებოდ აუცილებელი მიზნებით გამოყენების მიღმა, საჭიროა ბაზრების მუშაობა სატყეო საქონლისა და ისეთი მომსახურებისთვის, როგორცაა ეკოტურიზმი. ეს ბაზრები აგრეთვე წარმოადგენს ამ სექტორში კერძო კაპიტალის მოზიდვის წინაპირობას. მერქნული პროდუქტების არსებული ბაზრები შედარებით განუვითარებელია და ხასიათდება დაბალი ფასისა და ხარისხის მქონე პროდუქციაზე ორიენტირებით. გარდა ამისა, მშენებლობაში ხეზე მოთხოვნა დაბალია, მერქნით საერთაშორისო ვაჭრობა განუვითარებელი და ადგილობრივი ინდუსტრია არაკონკურენტუნარიანი<sup>58</sup>. არამერქნული პროდუქტების ბაზრები ნაკლებ განვითარებულია და ძირითადად შიდა გაყიდვებზე ორიენტირებული. საბოლოოდ, მოსახლეობას ცოდნის დაბალი დონე აქვს სატყეო პროდუქტებისა და მათი გამოყენების შესახებ.<sup>59</sup>

88. სატყეო პროდუქტებისა და მომსახურების ბაზრების განვითარებას ჭირდება კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობა. მხოლოდ მწარმოებლებმა იციან რა არის ხელმისაწვდომი და რისი წარმოებაა შესაძლებელი. საჯარო სექტორს, ბიზნესს ასოციაციების ჩათვლით, ესაჭიროება მრავალ, ხშირად მცირე მასშტაბის მწარმოებლებთან კოორდინირება. ბაზრის ზოგადი განვითარებაც საჯარო აქტივია და ამიტომაც მოითხოვს საჯარო სექტორის ქმედებას. ეს თანამშრომლობა განაპირობებს სექტორის რეფორმების ეფექტურ რეგულაციას. სათანადო რეგულაციები და ფორმალიზება საჭიროა, რათა უზრუნველყონ კანონიერი, მდგრადობის და რეგულაციის მოთხოვნები. ზედმეტი რეგულაციები თავიდან უნდა იქნას არიდებული.

---

<sup>58</sup> Gartfoth et. als. 2016.

<sup>59</sup> ENPI-FLEG. 2016.

89. ერთი სფერო, სადაც სათანადო რეგულაციებია საჭირო, არის ბუნებრივი გარემოს მდგრადობა, რათა დავრწმუნდეთ, რომ შენარჩუნდება ტყეების მიერ უზრუნველყოფილი ეკოსისტემური მომსახურება. ტყის ეროვნული კონცეფცია ხაზს უსვამს მდგრადობას და გარემოსდაცვით სერვისებს. ეს პრიორიტეტები შეიძლება უკავშირდებოდეს ბაზარზე ორიენტირებულ ინსტრუმენტებს. მაგალითად, ტყის მდგრადი მართვის სერტიფიცირება ტყის სერტიფიცირების ხელშეწყობის პროგრამის (PEFC) და ტყის სამეურვეო საბჭოს (FSC) მეშვეობით, დაეხმარება როგორც ბაზრის განვითარებას, ისე გარემოსდაცვით მდგრადობას<sup>60</sup>. გრძელვადიან პერსპექტივაში, გარემოსდაცვითი სერვისების სხვადასხვა სახის გადასახადები, როგორცაა ნახშირბადის გადასახადი ან წყალშემკრები აუზის დაცვის კომპენსაცია, შეიძლება იყოს კარგი გარემოსდაცვითი მართვის მონეტარიზაციის გზა. თუმცა, ეს ინიციატივები ჯერ დაკვირვების ეტაპზეა და უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შემოსავლის გამომუშავებას ვერ შეძლებს.

90. გარემოსდაცვითი სერვისების მონეტარიზაციის ერთ-ერთი მზარდად მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ეკოტურიზმი და სათავგადასავლო ტურიზმი. ტურიზმი საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობა გახდა და ამის დიდი ნაწილი ქვეყნის ბუნებრივი სილამაზის მიერაა განპირობებული (იხილეთ ჩანართი ქვემოთ). ტურიზმი აგრეთვე მგრძნობიარე და კონკურენტუნარიანი სფეროა. ამდენად, ბუნებრივი რესურსების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება მნიშვნელოვანია ინდუსტრიის გრძელვადიანი წარმატებისთვის.

---

<sup>60</sup> არსებობს იმის საბუთიც, რომ ტყის სერტიფიცირება კომერციულ ბინანსებს უკეთ მოამზადებდა კერძო ინვესტიციებისთვის. იხილეთ ტყის პროგრამა (PROFOR). 2012.

## ჩანართი 6 ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი საქართველოში

ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი - ანუ ეკოტურიზმი - მზარდად არის აღიარებული, როგორც კონსერვაციისა და მდგრადი განვითარების მიღწევის მნიშვნელოვანი გზა. ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი ხშირად განიმარტება, როგორც ტურიზმი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ბუნებრივი გარემოს ხილვა ან მისით დატკბობა. ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი მოიცავს მთამსვლელობას, ჩიტების ყურებას, და უდაბნოებში მოგზაურობას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის ამ სექტორმა სწრაფი ზრდა განიცადა. 2014 წელს, ტურისტული სექტორიდან მიღებული მთლიანი დამატებითი ღირებულება წარმოადგენდა მშპ-ს დაახლოებით 6%-ს, სერვისების ექსპორტის 59%-ს და საერთო დასაქმების 11%-ს.<sup>61</sup> საქართველოს ეროვნული დაცული ტერიტორიების სტუმრობის სტატისტიკური მონაცემებით მელაძე (2014) გვიჩვენებს, რომ ვიზიტების რაოდენობა დაახლოებით 60-ჯერ გაიზარდა 2007-დან 2013 წლამდე, 2007- წელს 5700-დან 2013 წელს 351000-მდე. დაცულ ტერიტორიებში და პერსპექტიულ ტურისტულ ტერიტორიებში (ქვემო ქართლი, ერგუშეთის ქედი, გურიის მთიანი მხარე, ჯავახეთის მხარე) ტურისტული სტატისტიკების თვალის მიდევნების სავსე კვლევების კომბინაციით ხომერიკი და მელაძე (2014) ადასტურებენ, რომ საქართველოს გააჩნია არსებითი ბუნებრივი რესურსები და ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა.

ტურიზმის ბოლო დროის ეროვნული სტრატეგია საქართველოს ბუნებრივ მემკვიდრეობას ცნობს, როგორც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ საკვანძო აქტივს. თუმცა, სტრატეგია იმასაც ცნობს, რომ სრული პოტენციალის მისაღწევად საჭიროა ამ აქტივების დაცვა და გაუმჯობესება. აგრეთვე, საჭიროა დაცული ტერიტორიების ხელმისაწვდომობასა და მართვაში ჩადებული ინვესტიციები. 2013 წელს, ტურისტების ნახევარზე მეტი (52%) ჩართული იყო ბუნებაზე დაფუძნებულ ტურიზმში და კიდევ 13%-მა მიმართა სათავადასავლო ტურიზმს, რაც აგრეთვე დამოკიდებულია კეთილმოწყობილ გარემოზე.<sup>62</sup>

საქართველოში საერთო განვითარებისა და მთავრობის ჩართულობის დონის გათვალისწინებით, გარემოზე დაფუძნებული ტურიზმის ხელშეწყობა შეიძლება იყოს ტყის რესურსებზე დამოკიდებული შინამეურნეობებისთვის მაღალი შემოსავლის მომტანი საქმიანობების დივერსიფიკაციის პოტენციური გზა. თუმცა, მდგრადი ტურიზმის პოტენციალის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ინვესტიციების განხორციელება. ეს მოიცავს სასოფლო ინფრასტრუქტურას, ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობას, საკრედიტო და სხვა დაფინანსების სერვისების ხელმისაწვდომობას და ტყის მდგრადი მართვის გაზრდილ შესაძლებლობას, რომ მოხდეს კონსერვატიული რეგულაციების მონიტორინგი და გაძლიერება.

91. სექტორთაშორისი კავშირები აუცილებელია ტყის სექტორის განვითარების ყველა ელემენტისთვის. საქართველო ადგენს ტყის ახალ კოდექსს, რომელიც 2018 წელს უნდა დამტკიცდეს<sup>63</sup>. კანონმდებლობის განხორციელება დამოკიდებულია პროფესიულ და მაღალკვალიფიციურ სატყეო ადმინისტრაციებსა და მართვის ადმინისტრაციებზე როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე ადმინისტრაციებს კვალიფიციური კადრები ჰყავთ. თუმცა ტყის მართვაში დაგეგმილი პარადიგმის ცვლა, რომელიც მოიცავს ტყის მართვის ფართო გეგმების შემუშავებას, საჭიროებს ახალი კადრების აყვანასა და ძველი კადრების შენარჩუნებას. ვინაიდან ახალი კოდექსი ჯერ არ დასრულებულა, დაბალ დონეზე განხორციელების რეგულაციები ჯერ არ მომზადებულა. აუცილებელია ეს რეგულაციები ტყის ეროვნული კონცეფციის პრინციპებსა და მიზნებს უწყობდეს ხელს. საერთაშორისო გამოცდილება ხშირად არ არის გამამხნეველი. ბევრ ქვეყანაში ტყის სექტორში ზედმეტი რეგულაციებია, რაც იწვევს მუდმივ არაფორმალურობას და კორუფციას. აუცილებელია, რომ რეგულაციების ჩარჩო სათანადო იყოს და არ იწვევდეს ზედმეტ დანახარჯებს. მაგალითად, ბევრ ქვეყანას ტყის პროდუქტების სატრანსპორტო და სავაჭრო რეგულაციები იმაზე ბევრად მეტი აქვს, ვიდრე ფიტოსანიტარიული, უსაფრთხოების ან სამართლებრივი სარწმუნოების დამდგენი რეგულაციები. აუცილებელია, რომ რეგულაციები კარგად იყოს მიმართული, იყოს მიზნის შესაფერისი და არ გამოიწვიოს შემწეობის არასაჭირო ხარჯები.

---

<sup>61</sup> <http://gnta.ge/wp-content/uploads/2016/06/2015-eng..pdf>

<sup>62</sup> ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლის მონაცემების მიხედვით.

<sup>63</sup> ნაშრომის წერის დროს, 2018 წლის მარტში, ჯერ არ არის დამტკიცებული.

92. შესაძლებელია საქართველოში არსებული პოლიტიკის ამოცანების მიზმა კარგ საერთაშორისო პრაქტიკებზე იმის შესახებ, თუ როგორ განვავითაროთ მდგრადი, ტყეზე დაფუძნებული ეკონომიკა. ზემოთხსენებული დისკუსია გარკვეულწილად ზოგად და რიცხობრივ შტრიხებში ითვალისწინებს ტრანსფორმაციული ცვლილებების ვარიანტებს. განხორციელების დეტალური გეგმისა და შესაძლო გავლენის შესაფასებლად საჭირო იქნება დეტალური რიცხობრივი ანალიზის ჩატარება. ეს მაგალითები და საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტყის რესურსებზე დამოკიდებულ ღირებულების ჯაჭვებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საქართველოს განვითარებაში. ღირებულების ეს ჯაჭვები ინვესტიციების და საქართველოს სოფლების ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის. შემდგომი ინვესტიცია სოფლის მეურნეობის, განათლებისა და სოციალური განვითარების სფეროებში საჭირო იქნება. მაგრამ ძირითად მონაწილეებთან ერთად კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ღირებულების ჯაჭვები შეიძლება იყოს პრობლემის გადაჭრის გზის ნაწილი.

93. საქართველოში ტყეებისა და სიღარიბის შესახებ ჩატარებული ეს კვლევა პირველი იყო და, შესაბამისად, ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები. იგი არ მოიცავს დროის სერიებს ან პანელურ მონაცემებს და, შესაბამისად, არ გვამლევს იმის საშუალებას ამოვიცნოთ ცვლილება დროთა განმავლობაში. კვლევა არც პოლიტიკის ცვლილებებისა და მძაფრი გარე ზემოქმედებების გავლენას მოიცავს. გარდა ამისა, კვლევის დიზაინი შედგენილი იყო სხვა ქვეყნების მაგალითზე, სადაც ძირითადი პრობლემები საქართველოსგან განსხვავებულია. ამავდროულად, კვლევა გვაწვდის არსებული სიტუაციის საინტერესო სურათს და შემდგომი გამოკვლევების საფუძველს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კვლევა დროთა განმავლობაში განმეორდეს, რათა მოვიპოვოთ ტყის რესურსების გამოყენებისა და დროთა განმავლობაში გამოყენების ცვლილების უკეთესი გაგება.<sup>64</sup>

---

<sup>64</sup> არ არის საჭირო ყოველ ჯერზე სრულმასშტაბიანი კვლევის ჩატარება. მსოფლიო ბანკმა და ტყის პროგრამამ (PROFOR) შეიმუშავეს განმეორებითი, დაბალხარჯიანი კვლევის მეთოდი. კეთილდღეობის კვლევა ხშირი ზედამხედველობის გამოყენებით მოიცავს 10-15 საკვანძო კითხვას, რაც ტყეზე დამოკიდებულობის ცვლილების შესაფასებლად გამოიყენება. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ლინკი <http://www.profor.info/knowledge/forest-swift-methodology-high-frequency-forest-poverty-data-collection>

94. მონაცემთა სისტემატური შეგროვება და ხელმისაწვდომობა არის კარგად შემუშავებული პოლიტიკის წინაპირობა. ეს ეხება როგორც ბიოფიზიკურ ინფორმაციას, როგორცაა სატყეო ინვენტარიზაცია, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მონაცემებს შინამეურნეობათა გამოკითხვისას და საბაზრო ინფორმაციას წარმოებისა და ფასების შესახებ. მონაცემების სისტემური შეგროვება პოლიტიკის გამტარებლებს დაეხმარება კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და გავლენის სათანადო შეფასებაში. ტყე და ტყეზე დამოკიდებული შინამეურნეობები დაზარალებიან კლიმატის ცვლილებითაც. კლიმატის ცვლილების სავარაუდო გავლენის შეცნობა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ამოცნობაში დაგვეხმარება.



## გამოყენებული ლიტერატურა

- Angelsen, A. (2010). Policies for reduced deforestation and their impact on agricultural production. *Proceedings of the National Academy of Sciences* 107(46): 19639–19644.  
<https://doi.org/10.1073/pnas.0912014107>
- Angelsen, A. et al. (2014). Environmental income and rural livelihoods: A global comparative analysis. *World Development*. 64(S1)
- Brack, D., Glover, A., and Wellesley, L. (2016). Agricultural commodity supply chains: Trade, consumption and deforestation. London: Chatham House. Retrieved from <https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/2016-01-28-agricultural-commodities-brack-glover-wellesley.pdf>
- Butkhuzi, L. (2009). Draft Final Report on Preparation of Final List of Environmental Sustainability Indicators for Georgia, Biodiversity and Forestry. Ministry of Environmental Protection
- Castrén, Tuukka, Marko Katila, and Petri Lehtonen. (2014a). Business Climate for Forest Investments: A Survey . Washington, DC: Program on Forests (PROFOR).
- Castrén, Tuukka, Marko Katila, Karoliina Lindroos, and Jyrki Salmi. (2014b). Private Financing for Sustainable Forest Management and Forest Products in Developing Countries: Trends and drivers. Washington, DC: Program on Forests (PROFOR)
- Deaton, A. and Grosh, M. (2000). Consumption, in designing household survey questionnaires for developing countries: Lessons from 15 years of the Living Standards Measurement Study, M. Grosh and P. Glewwe (Eds), World Bank: Washington, DC.
- ENPI-FLEG (2014). Forest dependency in rural Georgia: a case study in Tianeti municipality.
- ENPI-FLEG (2016). Feasibility Study for Alternative Livelihood of Forest-Depending Rural Population in Georgia –Challenges and Prospects
- ENPI-FLEG (2017). Strategic environmental and Social assessment of draft Forest Code of Georgia (draft report by PEM Consultants)
- FAO (2016). Global forest resources assessment 2015: how are the world’s forests changing?
- Garforth, Michael; Nilsson, S. and Torchinava, P. (2016). Wood Market Study – final report. Integrated Biodiversity Management – South Caucasus. GIZ (Consultant report by GFA Consulting Group)
- Hecht, S.B., Yang, A.L., Sijapati Basnett, B., Padoch, C., and Peluso, N.L. (2015). People in motion, forests in transition: Trends in migration, urbanization, and remittances and their effects on tropical forests. Center for International Forestry Research (CIFOR), Bogor, Indonesia. Retrieved from <http://www.cifor.org/library/5762/people-in-motion-forests-in-transition-trends-in-migration-urbanization-and-remittances-and-their-effects-on-tropical-forests/>
- Khomeriki G. and Meladze, G. (2015). Resources and threats of the eco-tourism development in Georgia, *American Journal of Environmental Protection*, 4(3-1) 180-185
- Malla, S. and Timilsin, G. R. (2014). Household cooking fuel choice and adoption of improved cook stoves in developing countries: A Review

- Meladze, M. (2014). Management of Ecotourism in Georgia. *European Scientific Journal* November 2014. vol.2
- Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia & CENN (2014). National Forest Concept (available at <http://environment.cenn.org/sustainable-forestry/policy-institutions/national-forest-concept-georgia/>).
- Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia (2015). Georgia's Fifth National Report to the Convention on Biological Diversity
- Program on Forests – PROFOR. (2012). Certification, Verification and Governance in Forestry in Southeast Asia. Working Paper. Washington DC: PROFOR.
- Pusch, C. (2004). Preventable losses: Scaling lives and property through hazard risk management, A comprehensive risk management framework for Europe and Central Asia, Washington DC: World Bank
- UDA Consulting (2017). Georgia: Household survey on forest use, poverty and vulnerability to natural hazards: survey design, implementation and analysis (draft report for the World Bank/PROFOR)
- USAID (2014). Household energy end-use survey – Final Report: energy consumption patterns and energy planning in Georgia
- World Bank (2001). World Development Report 2000/2001: Attacking Poverty. World Development Report, New York: Oxford University Press.
- World Bank (2013). Country Economic Memorandum, Rising Georgia
- World Bank (2015). Georgia: country environmental analysis – institutional, economic and poverty aspects of Georgia's road to environmental sustainability
- World Bank (2016). Georgia Poverty assessment
- World Bank (2017a). Proposal for an absolute poverty line for Georgia: an application of the cost basic needs method
- World Bank (2017b). Poverty, Forest Dependence and Migration in the Forest Communities of Turkey: Evidence and policy impact analysis Socio-economic Analysis of the Forest Villagers in Turkey.
- World Bank (2018). Georgia – From Reformer to Performer: A Systematic Country Diagnostic
- WEG – World Experience for Georgia (2015). Georgian Energy Sector in the Context of EU Association, a collection of articles prepared on the basis of presentations made at the public seminars organized by World Experience for Georgia (WEG) in collaboration with Institute of Energy and Sustainability (IES) of Ilia State University
- Wunder, S. (2001). Poverty Alleviation and Tropical Forests—What Scope for Synergies? *World Development* 29(11): 1817–1833. [https://doi.org/10.1016/S0305-750X\(01\)00070-5](https://doi.org/10.1016/S0305-750X(01)00070-5)
- Wunder, S., Angelsen, A. & Belcher, B. (2014a). Forests, livelihoods, and conservation: broadening the empirical base. *World Development*, Vol. 64 (Special Supplement: “Forests, Livelihoods, and Conservation”), pp. S1–11.
- Wunder, S., Börner, J., Shively, G. & Wyman, M. (2014b). Safety nets, gap filling and forests: a global-comparative perspective. *World Dev.*, Vol. 64 (Special Supplement: Forests, Livelihoods, and Conservation), pp. S29–S42.

Zulu, L.C. 2010. The forbidden fuel: Charcoal, urban woodfuel demand and supply dynamics, community forest management and woodfuel policy in Malawi. *Energy Policy* 38 (7):3717-3730.

## დანართები

## დანართი 1: შერჩევის და შეფასების მეთოდოლოგია კვლევის ფარგლებში

### 1. სტრატეგიცირების კრიტერიუმები


i. სტრატეგიცირებული შერჩევა ნიშნავს მოსახლეობის დაყოფას ქვეპოპულაციებად და შემდეგ რანდომული შერჩევის მეთოდების გამოყენებას თითოეული ქვეპოპულაციის მიმართ საცდელი ჯგუფის შექმნის მიზნით. მკვლევარები იყენებენ სტრატეგიცირებულ შერჩევას მოსახლეობის ისეთი ნიმუშის მისაღებად, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოადგენს მთლიან შესასწავლ მოსახლეობას. ამ მეთოდის უპირატესობას წარმოადგენს მინიმუმამდე დაყვანილი არაობიექტურობა ნიმუშის შერჩევისას და უზრუნველყოფა იმისა, რომ მოსახლეობის ზოგიერთი სეგმენტი არ იყოს უფრო მეტად წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი - ნაკლებად.

#### ▪ სტრატეგიცირების პარამეტრი: ტყის საფარი ერთ სულ მოსახლეზე

ii. ერთ სულ მოსახლეზე ტყის საფარის დასადგენად ჩატარდა გის ანალიზი, რომლისთვისაც გამოყენებული იქნა ტყის საფარი და მუნიციპალიტეტის საზღვრების ფორმის ფაილები. ამგვარი ხერხით გამოთვლილი იქნა მუნიციპალიტეტში არსებული ტყის ფართობი. ერთ სულ მოსახლეზე ტყის ფართობი გრაფიკულად მოცემულია ქვემოთ. შემდეგ ტყის მთლიანი ფართობი თითოეულ მუნიციპალიტეტში გაიყო მთლიან მოსახლეობაზე და მუნიციპალიტეტის დონეზე ნაპოვნი იქნა ტყის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე. სოფლებს არ ჰქონდათ ადმინისტრაციული საზღვრები. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ტყის ფართობის დადგენა თითოეულ სოფელზე. მოცემული სოფლისთვის ტყის ფართობის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე დაშვებული იქნა ისეთივე, როგორც მუნიციპალიტეტისთვის მიღებული სიდიდე.

iii. ზღვარი სოფლების დაჯგუფებისთვის შერჩეულია როგორც ტყის 1.6 ჰა ფართობი ერთ სულ მოსახლეზე, ერთ სულ მოსახლეზე ტყის ფართობის საშუალო სიდიდე ყველა სოფლისთვის (3730). ეს ნიშნავს, რომ საქართველოს სოფლების ნახევარი რაოდენობისთვის (1850) ტყის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 1.6 ჰა-ს, ხოლო დანარჩენისთვის - 1.6 ჰა-ზე მეტს. ამგვარად ჩამოყალიბდა შემდეგი ორი ჯგუფი:

- ჯგუფი 1: სოფლები, რომლებსაც აქვთ საშუალოზე ნაკლები ტყის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე (<1.6 ჰა)
- ჯგუფი 2: სოფლები, რომლებსაც აქვთ ტყის საშუალო (>1.6 ჰა) ან საშუალოზე მეტი ფართობი ერთ სულ მოსახლეზე.



**პირობითი ნიშნები**

**ტყის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე (კვ.მ)**

ვარდისფერი - 16 კვ. მ ან ნაკლები

ნაცრისფერი - 16 კვ.მ-ზე მეტი

□ - რეგიონის საზღვრები

▪ **სტრატეგიცილების პარამეტრი: სტიქიური მოვლენების სიხშირე**

iv. სტრატეგიცილების მიზნით გამოყენებული იქნა ისტორიულად დაგროვებული სტიქიური მოვლენების შემთხვევები, რომლებიც მოცემულია მისამართზე <http://drm.cenn.org>. სტიქიურ მოვლენებში შედის მეწყერი, ქვების ცვენა, ზვავი, ღვარცოფი, გვალვა, ძლიერი სეტყვა, ძლიერი ქარი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ცივი ატმოსფერული ტალღა, მეხი და დიდი ხანძარი.

v. დეტალური ინფორმაცია რეგიონებში სტიქიური მოვლენების სიხშირის და მათი გეოგრაფიული განაწილების შესახებ ასევე მოცემულია ცხრილებში და სურათებზე ქვემოთ.


vi. და კვლავ გის ტექნიკის გამოყენებით მოხდა სოფლების დაჯგუფება რეგიონში სტიქიური მოვლენების სიხშირის დონეების მიხედვით, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ:

- ჯგუფი 1: სოფლები ისეთ ადგილებში, სადაც ხშირია სტიქიური მოვლენები
- ჯგუფი 2: სოფლები ისეთ ადგილებში, სადაც იშვიათია სტიქიური მოვლენები

**დანართი. ცხრილი i სტიქიური მოვლენების სიხშირე რეგიონულ დონეზე**

რეგიონის დასახელება	ბოლო 50 წლის მანძილზე დაგროვებული ისტორიული შემთხვევების რაოდენობა	სიხშირე
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5-დან 10-მდე	იშვიათად
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	5-დან 10-მდე	იშვიათად
იმერეთი	5-დან 10-მდე	იშვიათად
გურია	5-დან 10-მდე	იშვიათად
აჭარა	10-დან 25-მდე	იშვიათად
სამცხე-ჯავახეთი	100-ზე მეტი	ხშირად
შიდა ქართლი	100-ზე მეტი	ხშირად
მცხეთა-მთიანეთი	50-დან 100-მდე	ხშირად
კახეთი	25-დან 50-მდე	ხშირად
ქვემო ქართლი	5-დან 10-მდე	იშვიათად
თბილისი	5-დან 10-მდე	იშვიათად

**დანართი. ნახ. ii სტიქიური მოვლენების სიხშირე**



**პირობითი ნიშნები**

**სტიქიური მოვლენების მთლიანი რაოდენობა**

ცისფერი - ხშირი

ნაცრისფერი - იშვიათი

□ - რეგიონის საზღვრები

vii. აღნიშნულის შედეგად საქართველოს სოფლები დაიყო ოთხ სტრატად ზემოთ მოცემული დაჯგუფების განსაზღვრებების მიხედვით:

- სტრატა 1: სოფლები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის ტყის 1.6 ჰა-ზე ნაკლები ფართობი და სადაც ხშირია სტიქიური მოვლენები (მეჩხერი ტყე, საფრთხის მაღალი დონე: LF-HH)
- სტრატა 2: სოფლები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის ტყის 1.6 ჰა-ზე ნაკლები ფართობი და სადაც იშვიათია სტიქიური მოვლენები (მეჩხერი ტყე, საფრთხის დაბალი დონე: LF-LH)
- სტრატა 3: სოფლები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის ტყის 1.6 ჰა ან მეტი და სადაც ხშირია სტიქიური მოვლენები (ხშირი ტყე, საფრთხის მაღალი დონე: HF-HH)
- სტრატა 4: სოფლები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის ტყის 1.6 ჰა ან მეტი და სადაც იშვიათია სტიქიური მოვლენები (ხშირი ტყე, საფრთხის დაბალი დონე: HF-LH)

viii. საქართველოში 4433 სოფელია, პოლიტიკურად მგრძნობიარე ზონებში განლაგებული სოფლების ჩათვლით. საქართველოს ყველა სოფელი იქნა სტრატეგიცირებული ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების მიხედვით. თუმცა პოლიტიკურად მგრძნობიარე ზონებში განლაგებული სოფლების ამოღების შემდეგ სოფლების საერთო რაოდენობა დარჩა 3730, რაც მიღებული იქნა შერჩევის ჩარჩოდ.

ix. სოფლების მთლიანი რაოდენობის გადანაწილება (შერჩევის ჩარჩო) სტრატის მიხედვით მოცემულია დანართის ii ცხრილში ქვემოთ.

**დანართი. ცხრილი ii ტყიანი სოფლების დაჯგუფება**

სტიქიური მოვლენის დონე / ტყის ფართობი	ხშირი სტიქიური მოვლენები	იშვიათი სტიქიური მოვლენები
სოფლებს აქვთ < 1.6 ჰა ტყის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე	სტრატა 1: 827 (22.2%)	სტრატა 2: 1207 (32.4%)
სოფლებს აქვთ ≥ 1.6 ჰა ტყის ფართობი ერთ სულ მოსახლეზე	სტრატა 3: 748 (20.0%)	სტრატა 4: 948 (25.4%)

x. ზემოთ მოყვანილი განაწილება აღებული იქნა სტრატეგიცირებული მოსახლეობის საფუძველად.

**2. კვლევის შერჩევის ნიმუში**

xi. შერჩევის ნიმუში კვლევის ყველაზე კრიტიკული ნაწილია. 950 შინამეურნეობა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა შერჩეულ ტყიან სოფლებს შორის (n = 95). შერჩევის საბოლოო ნიმუშს წარმოადგენს ორსაფეხურიანი სტრატეგიცირებული კლასტერული შემთხვევითი შერჩევის მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება წინამდებარე კვლევაში.



xii. შინამეურნეობათა ნიმუშების შესარჩევად, უპირველესად ყოვლისა, მკვლევარებს სჭირდებათ ნიმუშებისთვის სოფლების შერჩევა შემთხვევითი შერჩევის წესით. ამ მიზნისათვის საჭიროა თითოეულ სოფელში გასაუბრებისთვის შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობის დადგენა. თითოეულ სოფელში გადაწყდა 10 შინამეურნეობის შერჩევა გასაუბრებისთვის. ეს ციფრი აღებული იქნა სოფლების მოსახლეობის რაოდენობის და მსგავს კვლევებში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით. აღნიშნულის შედეგად მთლიანი  $n = 95$  სოფელი განაწილდა თითოეული სტრატის ნიმუშზე ალბათობების შერჩევის გამოყენებით პროპორციული მოცულობის მიმართ.

xiii. თითოეულ სტრატაში სოფლები შეირჩა სისტემატური შერჩევის მეთოდის გამოყენებით. თითოეულ სტრატაში სოფლების გეოგრაფიულად თანაბრად განაწილების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნა გეოსაინფორმაციო სისტემა. შინამეურნეობებისთვის 10 შინამეურნეობის კლასტერის შერჩევა განხორციელდა თითოეულ შერჩეულ სოფელში სერპანტინული რიგითობის მეთოდის გამოყენებით.

▪ **ნიმუშის ზომის გამოთვლის მეთოდები**

xiv. შერჩეული სოფლების რაოდენობის გამოსათვლელად პროპორციისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი ნიმუშის ზომის დროებითი განმსაზღვრელი ფორმულა. სიზუსტის ალტერნატივების კრიტერიუმები ეფუძნება  $E =$  ცდომილების ზღვარი  $(\chi^2_{0.05,1} [se(p)])$  კრიტერიუმის მისაღებ დონეს. (E) განსაზღვრულია როგორც ცდომილების მაქსიმალური დონე, რომლის დაშვებაც შეუძლია კვლევის შედეგების მომხმარებელს.

xv. კვლევის ნებისმიერი მოცემული ცვლადის მოსახლეობის უცნობი პროპორცია აღებულია როგორც  $P = 0.5$  უფრო დიდი ელემენტის ცვლადობის გარანტირების მიზნით, რაც შესაძლებელია მოცემული კვლევისთვის (Kish, 1995; Survey Sampling, John Wiley & Sons). შერჩევის ელემენტების რაოდენობა დადგენილია სანდოობის კოეფიციენტით  $1 - \alpha = 0.95$  (რაც წარმოადგენს 95%-იან ნდობას) და ცდომილების სიზუსტით/ზღვრით  $\alpha = 0.01$ .

xvi. სოფლებისთვის ნიმუშის დროებითი ზომა ამგვარად გამოითვლებოდა:

$$n^* = \frac{\chi^2_{0.05,1} [P(1-P)]}{(E)^2} = \frac{\chi^2_{0.05,1} [P(1-P)]}{(\chi^2_{0.05,1} [se(p)])^2} = \frac{3.841 [(0.5)(0.5)]}{(0.10)^2} = \frac{0.96}{0.01} = 95$$

xvii. სოფლების ნიმუშის საბოლოო ზომების გამოთვლა სოფლების მოსახლეობის გათვალისწინებით ამგვარად ხდებოდა:

$$n = \frac{n^*}{1 + \frac{n^*}{N}} = \frac{95}{1 + \frac{95}{3500}}, \text{ ანუ } 95 \text{ შერჩეული სოფელი}$$

▪ **ნიმუშის განთავსება სტრატაში**

xviii. შერჩეული სოფლების მთლიანი რაოდენობა ( $n = 95$ ) დადგენილია თითოეული სტრატისთვის. თითოეული სტრატისთვის სოფლების რაოდენობა გამოითვლება მათი მოსახლეობის ზომის პროპორციულად. სოფლების რაოდენობა, რომლებიც შერჩეულია პროპორციული განაწილებით და მათი განთავსება ნიმუშების სტრატაში ( $n_h$ )

$$n_h = \left( \frac{N_h}{N} \right) n = (W_h) n$$

- სტრატა 1:  $(827/3730) * 95 = 21$  სოფელი
- სტრატა 2:  $(1207/3730) * 95 = 31$  სოფელი
- სტრატა 3:  $(748/3730) * 95 = 19$  სოფელი
- სტრატა 4:  $(948/3730) * 95 = 24$  სოფელი
- 

xix. გამოყოფილი შერჩეული სიდიდეები წარმოდგენილია როგორც შერჩეული დიზაინის განლაგება ქვემოთ.

**დანართი. ცხრილი iii ნიმუშის ზომის განაწილება თითოეული სტრატისთვის**


სტრატეფიცირება	სოფლები განლაგებული იქ, სადაც ხშირია სტიქიური მოვლენები	სოფლები განლაგებული იქ, სადაც იშვიათია სტიქიური მოვლენები
სოფლები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 1.6 ჰა-ზე ნაკლები ტყე	21	31
სოფლები, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 1.6 ჰა ან მეტი ტყე	19	24

▪ **ნიმუშების აღრიცხვის მეთოდები**

xx. წინამდებარე კვლევის შერჩევის ნიმუში შედგებოდა სტრატეფიცირებული, ორსაფეხურიანი, თანაბარი ზომის კლასტერებისგან. შეთანხმების თანახმად, გასაუბრება უნდა ჩატარებულიყო თითოეული სოფლის 10 შინამეურნეობაში (კლასტერის ზომის). აქედან გამომდინარე, შინამეურნეობათა საერთო რაოდენობა მოცემული ნიმუშის კვლევისთვის იქნება  $h = n * B = (95) * (10) = 950$  შერჩეული შინამეურნეობა.

xxi. თითოეული სტრატისთვის სოფლები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. თუმცა სოფლების გეოგრაფიულად განაწილების მიზნით ყოველ შერჩეულ სოფელს შორის დაცული იყო მინიმალური 5 კმ მანძილი. კვლავ იქნა გამოყენებული გის აპლიკაციები სოფლების შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩევის მიზნით მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. შერჩეული სოფლების გეოგრაფიული მდებარეობა მოცემულია რუკაზე ქვემოთ. გადაწყვეტილება სოფლების სიმაღლესთან დაკავშირებით უკვე მიღებული იყო. სოფლების შერჩევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შერჩეული სოფლების 69% მდებარეობდა 1000 მ-ს ქვემოთ, ხოლო დანარჩენი (31%) - 1000 მ ან მეტ სიმაღლეზე. შერჩეული სოფლების განაწილება ( $n = 95$ ) სიმაღლეების მიხედვით თითქმის იგივეა, რაც ყველა სოფლის განაწილება ( $N = 3730$ ) შერჩევის ფარგლებში. აღნიშნული მიუთითებს, რომ შერჩეული სოფლების განაწილება კარგად ასახავს შერჩევის ფარგლებს სიმაღლის ცვლადის მიხედვითაც.

დანართი. ნახ. iii შერჩეული სოფლების განაწილება



**შერჩევა**

შემთხვევითი შერჩევის მეთოდით სტრატეფიცირებული შერჩევა  
 სტრატეფიცირებული სოფლები

**3. შეფასების მეთოდოლოგია**

xxii. მოსახლეობის და კვლევის ცვლადების განსაზღვრა წარმოდგენილია ნიმუშის თითოეულ სტრატაში ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

დანართი. ცხრილი iv მოსახლეობის და ნიმუშის რაოდენობები შერჩევითი ნიმუშის სტრატაში

მოსახლეობის და ნიმუშის რაოდენობები	სტრატა 1	სტრატა 2	სტრატა 3	სტრატა 4	სულ
<b>N:</b> ქვეყანაში არსებული სოფლების მთლიანი რაოდენობა	N1= 827	N2= 1207	N3= 748	N4= 948	N= 3730
<b>n:</b> ნიმუშად შერჩეული სოფლების რაოდენობა	n1= 21	n2= 31	n3= 19	n4= 24	n= 95

<b>h: ნიმუშად შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა</b>	h1= 210	h2= 310	h3= 190	h4= 240	h= 950
<b>m: ადამიანების რაოდენობა ნიმუშად შერჩეულ შინამეურნეობებში</b>	m1= 671	m2= 1013	m3= 598	m4= 716	m= 2998

▪ **კვლევის გამოთვლების შეფასების მეთოდები**

xxiii. სტრატაში არსებული შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობა შეიძლება გამოითვალოს შემდეგი გზით. აქ კლასტერის ზომა  $B = 10$  აღებულია როგორც მუდმივა ყველა სოფელში.

$$h_h = (B) n_h = (10) n_h$$

- შინამეურნეობების წევრების საანგარიშო რაოდენობა:

$$m_h = (\bar{H}) h_h$$

- აქ,  $\bar{H}$  წარმოადგენს შინამეურნეობის საშუალო რაოდენობას და შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც:

$$\bar{H} = m_h / h_h$$

- y ცვლადის საშუალო კვლევის ნებისმიერი სტრატისთვის შეიძლება გამოითვალოს შემდეგი გზით:

$$\bar{y}_h = y_h / n_h$$

- აქ, y ცვლადის შერჩეული მთლიანი სიდიდე შერჩეულ სტრატაში იქნება:

$$y_h = \sum_{i=1}^I Y_{hi} = \bar{y}_h n_h$$

- კვლევის შეწონილი საშუალო y ცვლადისთვის არის:

$$y_w = \sum W_h \bar{y}_h \quad \text{აქ წონაა } W_h = N_h / N$$

- მოსახლეობის სტრატის შეფასების მეთოდი სულ:

$$\hat{Y}_h = F_h y_h = N_h \bar{y}_h$$

- მოსახლეობის შეფასება, სულ:

$$\hat{Y} = F y = N \bar{y}$$

▪ **სანდოობის ინტერვალი კვლევის გამოთვლებისთვის**

xxiv. სანდოობის ინტერვალი კვლევის შეფასებებისთვის გამოთვლილი იქნა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

- პროპორციისთვის:

$$CI: \Pr \{ p - \chi^2 [se(p)] < P < p + \chi^2 [se(p)] \} = 1 - \alpha$$

- საშუალოსთვის:

$$CI: \Pr \{ \bar{y} - z_{\alpha/2}^2 [se(\bar{y})] < \mu < \bar{y} + z_{\alpha/2}^2 [se(\bar{y})] \} = 1 - \alpha$$

- მთლიანი მოსახლეობა პროპორციისთვის:

$$CI: \Pr \{ \hat{Y} - \chi^2 [se(\hat{Y})] < \pi < \hat{Y} + \chi^2 [se(\hat{Y})] \} = 1 - \alpha$$

- მთლიანი მოსახლეობა დაფუძნებული L-ის საშუალოზე

$$CI: \Pr \{ \bar{Y} - z_{\alpha/2}^2 [se(\hat{Y})] < Y < \bar{Y} + z_{\alpha/2}^2 [se(\hat{Y})] \} = 1 - \alpha$$

$$\alpha=0.05 \quad CI: \Pr \{ lowerbound < \pi < upperbound \} = 0.95$$

▪ **მოსახლეობის ჯამური მაჩვენებლების შეფასება კვლევის შერჩეული ცვლადებისთვის**

xxv. წინამდებარე კვლევაში მოსახლეობის საშუალო გამოთვლილია როგორც იგივე ცვლადის შერჩეული საშუალოს მოსალოდნელი სიდიდე. მეორე მხრივ, ნიმუშის პროპორცია და ნიმუშის ჯამური მონაცემები გადაყვანილია კვლევის მოსახლეობის ჯამურ მაჩვენებელში დაკვირვების ალბათური წონის დახმარებით.

xxvi. ქვემოთ მოცემულია სოფლის შერჩევის წილადები. აქ შერჩევის მთლიანი წილადი (=ნიმუშის შერჩევის ალბათობა) იქნება იგივე ნიმუშის ყველა სტრატაში პროპორციული განთავსების შემთხვევაში.

$$f = \frac{n}{N} = \frac{n_h}{N_h} = f_h \quad \forall h \quad \text{და} \quad f = f_h = \frac{n_h}{N_h} = \frac{1}{F_h}$$

xxvii. სოფლის დაკვირვების ალბათური წონა იქნება ამ დამოკიდებულების საპირისპირო.

$$F_h^{(1)} = \frac{N_h}{n_h} = \frac{N}{n} = F^{(1)} = \frac{3730}{95} = 39.26$$

xxviii. მოსახლეობის ჯამური მაჩვენებლების დაკვირვების ალბათური წონა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ალბათური წონა რეგიონების მიხედვით და მთლიანი მაჩვენებლები თავმოყრილია ქვემოთ.

**დანართი. ცხრილი v კვლევის დაკვირვების ალბათური წონების გამოთვლა შერჩევის ნიმუშის სტრატებში**

შერჩევის ნიმუშის სტრატა	სოფლის დაკვირვების ალბათური წონა $F_h^{(1)}$	შინამეურნეობის დაკვირვების ალბათური წონა $F_h^{(2)}$	ადამიანების დაკვირვების ალბათური წონა $F_h^{(3)}$
სტრატა 1	$F_1^{(1)} = N_1/n_1 = 39.38$	$F_1^{(2)} = h_1/n_1 = 10$	$F_1^{(3)} = m_1/h_1 = 3.20$
სტრატა 2	$F_2^{(1)} = N_2/n_2 = 38.94$	$F_2^{(2)} = h_2/n_2 = 10$	$F_2^{(3)} = m_2/h_2 = 3.27$
სტრატა 3	$F_3^{(1)} = N_3/n_3 = 39.37$	$F_3^{(2)} = h_3/n_3 = 10$	$F_3^{(3)} = m_3/h_3 = 3.15$
სტრატა 4	$F_4^{(1)} = N_4/n_4 = 39.50$	$F_4^{(2)} = h_4/n_4 = 10$	$F_4^{(3)} = m_4/h_4 = 2.98$

დანართი. ცხრილი vi შერჩეული სოფლების, შინამეურნეობების და შინამეურნეობათა წევრების რაოდენობა თითოეულ სტრატაში შეფასების ალბათური წონებით

სტრატის ნომერი h	ნიმუშად შერჩეული სოფლების რ-ბა nh	სოფლის ალბათური წონა $F_h^{(1)}$	შერჩეული შინამეურნეობების რ-ბა hh	შინამეურნეობების წევრთა რ-ბა mh	შინამეურნეობის ალბათური წონა $F_h^{(2)}$	ადამიანების ალბათური წონა $F_h^{(3)}$
1	21	39.38	210	671	10	3.20
2	31	38.94	310	1013	10	3.27
3	19	39.37	190	598	10	3.15
4	24	39.50	240	716	10	2.98
სულ	95	39.26	950	2998	10	3.16

შინამეურნეობის ალბათური წონა იქნება:

$$F_h^{(2)} = \frac{h_h}{n_h} = \frac{h}{n} = F^{(2)} = \frac{950}{95} = 10.0$$

ადამიანების ალბათური წონა იქნება:

$$F_h^{(3)} = \frac{m_h}{h_h} = \frac{m}{h} = \bar{H} = F^{(3)} = \frac{2998}{950} = 3.16$$

ზოგიერთი გავრცელებული ალბათური წონა მოსახლეობის ჯამური მოცულობის გამოთვლისთვის:

**სოფლის ალბათური წონა** = მთლიანად ტყიანი სოფლები / შერჩეული ტყიანი სოფელი = 3730 / 95 = **39.26**

**შინამეურნეობის ალბათური წონა** = შერჩეული შინამეურნეობები / შერჩეული ტყიანი სოფლები = 950 / 95 = **10.0**

**ადამიანების ალბათური წონა** = შინამეურნეობის წევრები / შერჩეული შინამეურნეობები = 2998 / 950 = **3.16**

## დანართი 2

დანართი ცხრილი vii შემოსავლების განსაზღვრის ანალიზი: შემოსავალი წყაროს მიხედვით  
დამოკიდებული ცვლადი = ლოგარითმი (შემოსავალი წყაროს მიხედვით)

	ტყე	სასოფლო მეურნეობა	შინაური ცხოველები	ხელფასები	პენსიები	თვითდასაქმებული	მთლიანი შემოსავალი
<b>აქტივების ცვლადობა</b>							
სმარტფონი	-0.088	0.194	0.028	0.43	-0.096	1.072*	0.199
კომპიუტერი და ინტერნეტი	0.346*	0.076	0.411	0.371	-0.03	-0.104	0.377**
წყლის საქაჩი	0.371	-0.245	-0.529*	0.428	-0.072	0.44	-0.007
გაზის/ელექტროდუმელი	0.053	0.196	0.01	-0.164	0.105	-0.135	0.16**
საჭრელი ინსტრუმენტი	0.024	0.184	0.038	-0.134	0.056	0.392	-0.102
ავტომობილი	-0.25	0.082	-0.131	0.117	0.05	0.303	0.193
პირუტყვის რაოდ. _2	0.048	0.140*	0.109***	0.021	0.006	-0.065	0.073
ცხვრების რაოდ. _2	0.001	0.026	0.003	-0.034*	-0.019	0.025	0.124
ღორების რაოდ. _2	0.034	0.033	0.075**	0.004	-0.036	-0.321	0.067**
ფრინველების რაოდ. _2	-0.009	-0.018	0.018	-0.001	0.008	-0.021	-0.002
სამოვრების ადვილი ხელმისაწვდომობა	-0.149	-0.131	0.385	-0.202	0.072	-0.21	0.025
<b>შინამეურნეობების სოც.- დემოგრ. მახას.</b>							
ფერმაში სამუშაოებში ჩართული	0.119	-0.316	-0.35	0.202	-0.052	-0.26	0.012*
შინამეურნეობის ზომა ასაკი _შინამეურნეობის თავი 2	0.015	0.074	0.009	0.06	-0.001	-0.034	-0.04
0	0	0	-0.001*	0	0	-0.001**	0.019
0.014	0.051	0.136*	-0.012	0.014	0.109**	0.035	
0	0	-0.001*	0	0	-0.001**	0.019	
0.234	1.381***	0.207	0.622	0.327***	0.845*	0	
-0.031	-0.54	-0.111	0.044	-0.109	0.657	0.405***	
-0.165	-0.33	-0.655	0.405	-0.108	0.105	-0.07	
0.009	-0.548	-0.695	-0.033	0.171	-0.334	-0.013	
0.192	-0.829*	-0.386	0.245	0.174	-0.05	-0.198	
<b>სოფელი და მდებარეობა</b>							
საშუალო ზომის სოფელში ცხოვრობს	0.425*	0.104	0.171	0.282	0.201*	0.359	0.328**
დიდი ზომის სოფელში ცხოვრობს	0.207	0.527	0.900**	-0.204	0.151	0.211	0.022



ფიქსირებული რეგიონული შედგის/ზემოქმედების ჩათვლით	2.044***	0.029	-0.166	-0.606	-0.111	0.289	-0.158
დაკვირვებების რაოდენობა	209	95	114	205	325	96	739
R2	0.26	0.46	0.53	0.26	0.43	0.37	0.35

შენიშვნა: სოფლები დაჯგუფებულია მცირე, საშუალო და დიდი ზომის სოფლებად მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

პირობითი აღნიშვნები: \*  $p < 0.05$ ; \*\*  $p < 0.01$ ; \*\*\*  $p < 0.001$